




ხარისხის მართვის სერია: დანერგვის სახელმძღვანელო
მცირე ფირმებისთვის




ნაწილი 3:
მონიტორინგი და რემედიაცია



შინაარსი

შესავალი	4
წინარე ინფორმაცია	4
ამ სერიისა და წინამდებარე ნაწილის მიმოხილვა	5
გრადაცია	6
შემოთავაზებული გეგმა: ეტაპობრივი მიდგომა	7
ამ ნაწილის მიმოხილვა	8
მონიტორინგის და რემედიაციის პროცესი	9
რა არის მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი?	9
როგორ სრულდება მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი?	10
ტექნოლოგიების გამოყენება თქვენს ხმს-ში	10
როდის უნდა გატარდეს მონიტორინგისა და რემედიაციის ღონისძიებები?	11
ნაწილი 1: მონიტორინგის ღონისძიებების შემუშავება და გატარება	12
ვინ უნდა ჩაატაროს მონიტორინგის ღონისძიებები?	13
გარიგებების შერჩევა:	14
ნაწილი 2: აღმოჩენილი ფაქტების შეფასება, ნაკლოვანებების გამოვლენა და გამოვლენილი ნაკლოვანებების შეფასება	15
აღმოჩენილი ფაქტების შეფასება და ნაკლოვანებების გამოვლენა	15
გამოვლენილი ნაკლოვანებების შეფასება	16
ნაწილი 3: გამოვლენილ ნაკლოვანებებზე რეაგირება	19
ცალკეულ გარიგებასთან დაკავშირებით აღმოჩენილი ფაქტები	19



ნაწილი 4: კომუნიკაცია	20
მონიტორინგსა და რემედიაციასთან დაკავშირებული უწყვეტი კომუნიკაცია	20
ხმს-ის შეფასება	21
დასკვნა ხარისხის მართვის სისტემაზე	21
საქმიანობის პერიოდული შეფასებები	24
მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის დოკუმენტირება	25
დანართი ა: შემთხვევის ანალიზი	26
ნაწილი 1: მონიტორინგის ღონისძიებების შემუშავება და გატარება	29
ნაწილი 2: აღმოჩენილი ფაქტების შეფასება, ნაკლოვანებების გამოვლენა და გამოვლენილი ნაკლოვანებების შეფასება	30
ნაწილი 3: გამოვლენილ ნაკლოვანებებზე რეაგირება	31
ნაწილი 4: კომუნიკაცია	31
დანართი ბ: დოკუმენტირების დამხმარე საშუალება - წლიური მონიტორინგი და რემედიაცია და ხმს-ის შეფასება	32
დანართი გ: დოკუმენტირების დამხმარე საშუალება - დასრულებული გარიგებების ციკლური ინსპექტირება	44
დანართი დ: დოკუმენტირების დამხმარე საშუალება - დასრულებული აუდიტის გარიგებების ციკლური ინსპექტირება	50
დანართი ე: დოკუმენტირების დამხმარე საშუალება - დასრულებული კომპილაციური გარიგებების ციკლური ინსპექტირება	57
დანართი ვ: დოკუმენტირების დამხმარე საშუალება - მონიტორინგისა და რემედიაციის ანგარიში	61
დანართი ზ: განმარტებები	66
დანართი თ: რესურსები	70
დანართი ი: დოკუმენტირება - კიდევ ერთხელ	71



შესავალი

წინარე ინფორმაცია

2020 წლის დეკემბერში, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IAASB) გამოაქვეყნა ხარისხის მართვის სამი ახალი და გადასინჯული სტანდარტი, რომლის მიზანია ხარისხის მართვისადმი ფირმის მიდგომების გაუმჯობესება და მოდერნიზება, ესენია:



- ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი 1 (ხმს 1), *ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს* (ყოფილი ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი 11),
- ხმს 2, *გარიგების ხარისხის მიმოხილვა*, და
- ასს 220 (გადასინჯული), *ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის მართვა*.

ხარისხის მართვის ახალი და გადასინჯული სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, თქვენს ფირმაზე მორგებული ხარისხის მართვის სისტემა (ხმს) უნდა იყოს დანერგილი 2022 წლის 15 დეკემბრამდე. ის უნდა შეგემუშავებინათ თქვენი ფირმის ხასიათისა და გარემოებების გათვალისწინებით.

მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი აუცილებელია, რათა თქვენი ხმს განვითარდეს და დროთა განმავლობაში შესაფერისობა არ დაკარგოს. იგი დაგეხმარებათ უზრუნველყოთ უწყვეტი გაუმჯობესების ვალდებულებისადმი ერთგულება.

პროფესიული განსჯის გამოყენება

თქვენი ფირმის ხმს-ის დიზაინი, დანერგვა და ფუნქციონირება მოითხოვს პროფესიული განსჯის გამოყენებას. ზოგიერთი ასპექტი ფოკუსირებულია ფირმაზე, ხოლო სხვები - გარიგების დონეზე. მაგალითად, ზოგიერთი პოლიტიკა და პროცედურა შეიძლება პირდაპირ გარიგების დონეზე დაინერგოს (იხილეთ ასს 220 (გადასინჯული), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის მართვა).



ამ სერიისა და წინამდებარე ნაწილის მიმოხილვა

ხმსს 1 არის სტანდარტი, რომელიც ეხება ფირმის პასუხისმგებლობებს ხმს-ის შექმნის, დანერგვისა და ფუნქციონირების მიმართულებით, ფირმისთვის და მისი გარიგებებისთვის, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ან მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი ან დაკავშირებული მომსახურების გარიგებებისთვის.

სერიის მიზანი: ხარისხის მართვის სერიის მიზანია მცირე ფირმებს, ხმსს 1-ის და მასთან დაკავშირებული სტანდარტებისა და ცვლილებების დანერგვის პროცესში, დაეხმაროს.



ეს პუბლიკაცია მესამეა სამ ნაწილიანი სერიიდან, რომლის მიზანაც სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებით რჩევებისა და მითითებების მიცემაა. იგი შეეხება თქვენი ხმს-ის **მონიტორინგისა და რემედიაციის** პროცესს.

ეს სერია მოიცავს "მცირე ფირმებთან" დაკავშირებული საკითხების განხილვას და შესაბამის საილუსტრაციო მაგალითებს. შეგახსენებთ, რომ "ფირმის" განმარტება ასევე მოიცავს ინდივიდუალურ პრაქტიკოსსაც. მცირე ფირმები ერთმანეთისგან განსხვავდება ზომებისა და ფუნქციონირების სტრუქტურის მიხედვით. ყველა განსხვავებული შესაძლებლობის განხილვა შეუძლებელია, თუმცა მოცემული სერია განიხილავს შემდეგ შესაძლო სცენარებს:

- ინდივიდუალური პრაქტიკოსი თანამშრომლების გარეშე;
- ინდივიდუალური პრაქტიკოსი თანამშრომლებით, და
- ფირმა 2-5 პარტნიორით და თანამშრომლებით

სერიაში წარმოდგენილ ყველა განხილვასა და საილუსტრაციო მაგალითში იგულისხმება, რომ მცირე ფირმები ატარებენ აუდიტს, მიმოხილვას და დაკავშირებულ მომსახურებებს. რა თქმა უნდა, თუ თქვენი ფირმა არ ატარებს, მაგალითად, აუდიტს, თქვენ მაინც შეძლებთ ხმსს 1-ში მოცემულ აუდიტის გარიგებებთან დაკავშირებული რისკებისა და ხარისხის მიზნების ოპტიმიზებას თქვენს საკუთარ ხარისხის მართვის სისტემაში.

ეს სერია არ ეხება ისეთ ფირმებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც ემსახურებიან საფონდო ბირჟაზე კოტირებულ საწარმოებს ან არიან ფირმების ქსელის წევრნი. ეს სერია ორიენტირებულია ისეთ ინდივიდუალურ ფირმებზე, რომლებიც კერძო სუბიექტებს ემსახურებიან. ხმსს 1-ში მოცემულია ქსელის განმარტება ამ სტანდარტის მოქმედების ფარგლებში, მასში ასევე წარმოდგენილია ფირმის ქსელთან კუთვნილების ან ქსელის მომსახურების შესრულების კონკრეტული მოთხოვნები. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ყველა ქსელი ერთნაირი არ არის და თუ თქვენი ფირმა ქსელის წევრია, ეს სერია შესაძლოა თქვენთვისაც გამოსადეგი იყოს, მაგრამ ამასთანავე დაგჭირდებათ, დამატებითი მოთხოვნებისა და სახელმძღვანელო მითითებებისთვის, ხმსს 1-ს მიმართოთ.




ხკსს 1-დან ხმს-ზე გადასვლის საილუსტრაციოდ ამ ნაწილში განხილული იქნება მარსელ მუნის საქმის შესწავლა IFAC-ის პუბლიკაციიდან ["ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო მცირე და საშუალო ფირმებისთვის"](#) (მესამე გამოცემა).

როგორც ამ სერიის მე-2 ნაწილშია აღნიშნული, თუ თქვენს ფირმას რამდენიმე პარტნიორი ჰყავს, მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, თუ როგორ იმოქმედებს ხმს-ის შეფასება იმ პირების შეფასებაზე, რომელთაც ფირმის ხარისხის მართვის სისტემაში წამყვანი როლები და პასუხისმგებლობები აკისრიათ. ხმს-ის შეფასება ამ ნაწილშია განხილული. პარტნიორებზე განაწილებული როლებისა და პასუხისმგებლობების საწყის ეტაპზე იდენტიფიცირება მნიშვნელოვანი ხდება შეფასების პროცესში.

ამ სერიის მიზანია დახმარება გაგიწიოთ ხარისხის მართვის ახალი სტანდარტების დანერგვის პროცესში, თუმცა იგი ვერ ჩაანაცვლებს სტანდარტების წაკითხვის აუცილებლობას. პრაქტიკოსებმა ეს სერია უნდა გამოიყენონ პროფესიული განსჯის საფუძველზე და საკუთარ ფირმასთან დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით. აქ მოცემული მაგალითები არ არის ყოვლისმომცველი და წარმოდგენილია საილუსტრაციო მიზნებისთვის. IFAC უარს ამბობს ნებისმიერ პასუხისმგებლობაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, პირდაპირ ან ირიბად, ამ სერიის გამოყენების შედეგად.

გრადაცია



ხმს 1-ის თანახმად, თქვენი ხმს-ის დიზაინი, დანერგვა და ფუნქციონირება უნდა დაეფუძნოს თქვენი ფირმის ხასიათსა და გარემოებებს და იმ გარიგებებს, რომელსაც ის ასრულებს. ხმს-ის შექმნის, დანერგვის და ფუნქციონირების პროცესში უნდა გამოიყენოთ პროფესიული განსჯა, რომელიც დოკუმენტურად უნდა ასახოთ.

გრადაციასა და ადაპტირებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებები ხმს 1-ის მოთხოვნებში ასახულია რამდენიმე განსხვავებული გზით, რომელიც ამ სერიის მე-2 ნაწილშია განხილული. მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრავს, თუ რა არის საჭირო თქვენს ფირმაში მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის განსახორციელებლად. ხოლო როგორ დანერგავს თქვენი ფირმა ამ პროცესს მორგებული უნდა იქნეს თქვენივე ფირმის გარემოებებზე.

ხმს 1-ის გ144 პუნქტში მონიტორინგის ღონისძიებებთან დაკავშირებულ გრადაციაზე შემდეგი კომენტარია მოცემული:

ნაკლებად რთულ ფირმაში მონიტორინგის ღონისძიებები შესაძლოა მარტივი იყოს, ვინაიდან ინფორმაცია მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის შესახებ შესაძლოა ადვილად ხელმისაწვდომი იყოს ფირმის ხელმძღვანელობის ცოდნის სახით, რომელიც ეყრდნობა ხარისხის მართვის სისტემასთან მათი ურთიერთქმედების სიხშირეს, გატარებული მონიტორინგის ღონისძიებების ხასიათს, ვადებსა და მოცულობას, მონიტორინგის ღონისძიებების შედეგებსა და ამ შედეგებზე რეაგირებისთვის ფირმის მიერ განხორციელებულ ქმედებებს.

მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი არ უნდა იყოს გადაჭარბებულად გართულებული, არამედ უნდა იყოს გრადაციული, ფირმის საჭიროებებიდან გამომდინარე და ასევე ხმს 1-ის მოთხოვნების დაცვით. ხმს-ის გრადაცია სხვა კომპონენტებში უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესში, მაგალითად, ხარისხის რისკების გამოვლენისას, როგორც ეს ამ სერიის წინა ნაწილშია განხილული. თუ სხვა კომპონენტები წარმატებით არის მასშტაბირებული თქვენს ფირმაში, ეს შესაბამის გავლენას მოახდენს მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესზეც.

სტანდარტების გრადაცია ამ სერიაში ნაჩვენებია განხილვებისა და მაგალითების საშუალებით. მაგალითად, ამ ნაწილში მოცემულია მაგალითები, რომლებიც დაკავშირებულია ნაკლებად რთული ფირმების მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესთან, იმის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკა და პროცედურები, ისევე როგორც ხმს-ის განახლების ან შეცვლის პროცესი, შეიძლება უფრო არაფორმალური იყოს. (ეს საკითხი ამ ნაწილშია განხილული).

შემოთავაზებული გეგმა:
ეტაპობრივი მიდგომა

ამ სერიის პირველ ნაწილში
შემოთავაზებული იყო გეგმა შესაბამისი
ეტაპებით/ნაბიჯებით. აღნიშნული
ეტაპების გადახედვა და ცვლილება უნდა
მოხდეს თქვენი ფირმის ხასიათისა და
ზომის შესაბამისად:

ნაბიჯი 1	პროექტის ხელმძღვანელის დანიშვნა
ნაბიჯი 2	მომზადება – წინასწარ წასაკითხი მასალა და მომზადება
ნაბიჯი 3	ხარისხის მიზნებთან დაკავშირებით გონებრივი იერიში და რისკების შეფასება (პირველ ნაწილში შემოთავაზებული შეხვედრა #1)
ნაბიჯი 4	როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილება (პირველ ნაწილში შემოთავაზებული შეხვედრა #2. მოკლედ არის განხილული ამ ნაწილშიც)
ნაბიჯი 5	ინფორმაციის შეგროვება
ნაბიჯი 6	საპასუხო ზომების შემუშავება (პირველ ნაწილში შემოთავაზებული შეხვედრა #3)
ნაბიჯი 7	ხმს-ის დოკუმენტაციის შეფასება და კომუნიკაცია (პირველ ნაწილში შემოთავაზებული შეხვედრა #4)
ნაბიჯი 8	მონიტორინგი და რემედიაცია (პირველ ნაწილში შემოთავაზებული შეხვედრა #5).

შემოთავაზებული ნაბიჯები წარმოდგენილი იყო ამ სერიის პირველ ნაწილში. მე-2 ნაწილში
დეტალურად იყო განხილული მე-3-დან მე-7 ნაბიჯის ჩათვლით. ამ ნაწილში ყურადღებას
გავამახვილებთ მე-8 ნაბიჯზე, იმ დაშვებით, რომ პროექტის ხელმძღვანელი უკვე დანიშნულია, თუ ეს
საჭიროდ ჩაითვალა, და ყველა წინასწარ წასაკითხი და მოსამზადებელი სამუშაო დასრულებულია. (ამ
ნაწილის „თ“ [დანართში](#) კიდევ ერთხელ იხილეთ ბმულები იმ მნიშვნელოვან რესურსებზე, რომლებიც
ასევე წარმოდგენილი იყო 1-ელ და მე-2 ნაწილებში).



ამ ნაწილის მიმოხილვა

ეს ნაწილი შეეხება შემდეგ საკითხებს:

- როგორ შევიშუალოთ ხმს-ის შიდა მონიტორინგის ღონისძიებები, რათა უზრუნველყოთ რელევანტური, სანდო და დროული ინფორმაცია ხმს-ის დიზაინის, დანერგვისა და ფუნქციონირების შესახებ (ფოკუსის გადატანა გარიგების ღონის მონიტორინგიდან). გამახვილებულია ყურადღება იმაზე, რომ მონიტორინგისა და რემედიაციის ღონისძიებების გაუმჯობესებისთვის უმთავრესია პროაქტიული და იტერაქციული მიდგომა.
- მონიტორინგის ღონისძიებების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის განმაპირობებელი ფაქტორები, ე.ი. დასრულებული გარიგებების ინსპექტირებასთან დაკავშირებული მიდგომა. მონიტორინგის ღონისძიებების გატარება შეიძლება დაიწყოს დასრულებული გარიგებების რეგულარული ციკლური ინსპექტირებით, მაგრამ სხვა მიზეზებმა, მაგალითად რისკების შეფასებამ, ასევე გარიგებების მიმდინარეობამ შეიძლება ეს შეცვალოს.
- ჩასატარებელი მონიტორინგის ღონისძიებების მასშტაბი, ტექნოლოგიები/პლატფორმა, რომელიც შეიძლება ამ ღონისძიებებისთვის იქნეს გამოყენებული: რამდენად მნიშვნელოვანი იქნება მონიტორინგის ღონისძიებების შედეგები უწყვეტი გაუმჯობესების უკუკავშირის ჯაჭვისთვის.
- აღმოჩენილი ფაქტების შეფასების, ნაკლოვანებების გამოვლენის და ნაკლოვანებების სერიოზულობისა და ყოვლისმომცველობის შეფასების ჩარჩოს შექმნა, რაც მოიცავს გამოვლენილი ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზ(ებ)ის მოკვლევას.

- როგორ უნდა მოხდეს გამოვლენილ ნაკლოვანებებზე რეაგირება, როგორიცაა:

- გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად რემედიაციის ისეთი ზომების შემუშავება და გატარება, რომლებიც გამომწვევი მიზეზების ანალიზის შედეგ(ებ)ს მიესადაგება.
- შეფასება იმისა, არის თუ არა რემედიაციის ზომები სათანადოდ შემუშავებული, და თუ არა, სათანადო ზომების მიღება.
- შეფასება იმისა, იყო თუ არა ეფექტური რემედიაციის ის ზომები, რომლებიც წინა ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გატარდა, და თუ არა, სათანადო ზომების მიღება.

- კომუნიკაცია მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის შესახებ, მათ შორის, ვისთან არის საჭირო კომუნიკაცია და რა საკითხების შესახებ უნდა მოხდეს ინფორმაციის მიწოდება.
- ხარისხის მართვის სისტემის მუდმივი შეფასება, მინიმუმ წელიწადში ერთხელ, მათ შორის პირველი შეფასება, რომელიც ხმს 1-ის დანერგვას მოჰყვება.






რა არის მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი?

ფირმა საკუთარი ხმს-ის ფარგლებში შეიმუშავებს მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესს, რათა:

- ჰქონდეს რელევანტული, საიმედო და დროული ინფორმაცია ხარისხის მართვის სისტემის დიზაინის, დანერგვისა და ფუნქციონირების შესახებ;
- შეაფასოს აღმოჩენილი ფაქტები და გამოავლინოს ნაკლოვანებები;
- რეაგირება მოახდინოს ნაკლოვანებებზე იმგვარად, რომ მოხდეს ნაკლოვანებების დროული რემედიაცია; და
- მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის შედეგების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამის პირებს.

მონიტორინგსა და რემედიაციასთან დაკავშირებული ხარისხის რისკები და საპასუხო ზომები იდენტიფიცირებული და შეთანხმებული უნდა იყოს ხმს-ის დანერგვის პირველ ეტაპზე (ე.ი.მე-4 შეხვედრაზე, როგორც ეს ამ სერიის წინა ნაწილებშია აღწერილი).

მიუხედავად მისი დინამიური და იტერაციული ბუნებისა, მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი შეიძლება ოთხ ნაწილად დავყოთ:



ეს ნაწილი შეეხება მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის თითოეულ ნაწილს.

IAASB-ის [ხმს 1-ის პირველად დანერგვის სახელმძღვანელოში](#) მოცემულია შემდეგი კომენტარი იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს თქვენი მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის შემუშავებისას:

მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა არსებულ ხკს 1-თან შედარებით, კერძოდ:

- ფოკუსი გადატანილია ხმს-ის, როგორც მთლიანი სისტემის, მონიტორინგზე;
- მოცემულია აღმოჩენილი ფაქტების შეფასებისა და ნაკლოვანებების გამოვლენის, ასევე გამოვლენილი ნაკლოვანებების შეფასებისთვის ახალი ჩარჩო მიდგომა; და
- რემედიაციასთან დაკავშირებით უფრო ცხადი და მტკიცე მოთხოვნები.

მონიტორინგთან და რემედიაციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნები არსებული ხკს 1-ის მსგავსი ანუ უცვლელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით, ხმს 1 მოიცავს მონიტორინგსა და რემედიაციასთან დაკავშირებით უფრო მტკიცე და ნათელ მოთხოვნებს. მათში ყურადღება მახვილდება როგორც:

- თავად ხმს-ზე, ისე
- გარიგებებზე, ძირითადად დასრულებული გარიგებების ინსპექტირებაზე ფოკუსირების პირობებში.

მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი ასევე მოიცავს ხმს-ის გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ გამოვლინდება ნაკლოვანებები ან თუ შეიცვალა პროფესიული სტანდარტები და პრაქტიკა.

როგორ სრულდება მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი?

მონიტორინგის ღონისძიებები ხორციელდება ხარისხის მართვის სისტემაში შესაძლო ნაკლოვანებების გამოსავლენად, რომელთა შეფასების შემდეგ მათზე რეაგირება მოხდება რემედიაციის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების გზით. მონიტორინგის ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს:

- გასაუბრებებს,
- პროცესების თავიდან ბოლომდე გავლის მოკლე ტესტებს, და
- გარიგების ფაილებისა და ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციის ინსპექტირებას. (სხვა დოკუმენტაციის მაგალითებია ტრენინგებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესთან დაკავშირებული ჩანაწერები და დამოუკიდებლობის დასტურები).

მონიტორინგის ღონისძიებების მაგალითები შეიძლება მოიცავდეს პოლიტიკასთან შესაბამისობის მიმოხილვასაც, კერძოდ:

- შესაბამისი შიდა და გარე საგანმანათლებლო და სატრენინგო პროგრამების დასრულებასთან დაკავშირებული პოლიტიკის დაცვის მიმოხილვას;
- პარტნიორებისა და თანამშრომლების ცოდნის შემოწმებას, ასევე ფირმის პოლიტიკისა და პროცედურების აღსრულების მიმოხილვას გარიგების ხარისხის მიმოხილვებთან (გზმ) დაკავშირებით; და
- იმის მიმოხილვას, რომ პარტნიორებსა და თანამშრომლებს ყველა საჭირო დასტურზე ხელმოწერის გარეშე გარიგების შესახებ ინფორმაცია არ გაუვრცელებიათ.



ტექნოლოგიების გამოყენება თქვენს ხმს-ში

შესაბამისი ტექნოლოგიის გამოყენების საკითხი თქვენი ხმს-ის ყველა სხვადასხვა ასპექტის გასაუმჯობესებლად, იქნება ეს მონაცემთა შეგროვება, ანგარიშების გენერირება თუ სხვა, დაგეგმვის საწყის ეტაპზე უნდა გადაწყდეს. ეს შეიძლება იყოს მარტივი ტექნიკა, როგორიცაა ამ სერიაში შემოთავაზებული სამუშაო წიგნები, ან უფრო რთული და ინტეგრირებული პლატფორმები.

შეხსენება: მთავრად ტექნოლოგიები თქვენს ფირმას! თქვენი ხმს-ის დანერგვისა და დოკუმენტირების პროცესში შესაძლებელია თქვენს ფირმაში უკვე არსებული ტექნოლოგიებიც კი გამოგადგეთ. ინდივიდუალური პრაქტიკოსისთვის, როგორც წესი, არ არის საჭირო სპეციფიკური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება. თუმცა, თქვენ უნდა განსაზღვროთ ინფორმაციის/მონაცემების წყარო. თქვენს ხელთ უკვე არსებული მონაცემების გამოყენებისას სხვადასხვა მეთოდოლოგიებისა და სისტემების დამუშავება ნაკლებად რთულ ფირმებში შესაძლებელია ხელით მოხდეს, ხოლო აპლიკაციების გამოყენება და პროცესების ავტომატიზაცია შედარებით დიდ ფირმებში უფრო ეფექტური იქნება. მაგალითად, მონაცემები ვადებისა და ანგარიშფაქტურების, გარიგებების ტიპების და ა.შ. შესახებ შეიძლება ელექტრონულად იყოს ხელმისაწვდომი თქვენი შიდა სისტემებიდან. მონიტორინგის ღონისძიებების გატარებისას ინფორმაციის ეფექტურად გაზიარება სასარგებლო იქნება. მაგალითად, თანამშრომელთა აღრიცხვის სისტემაში შესაძლებელია თვალი ადევნოთ დაქირავებული თანამშრომლების მიერ გავლილ პროფესიულ საგანმანათლებლო კურსებს. ამ გზით თქვენს ხელთ იქნება შესაბამისი მონაცემები თანამშრომლების ტექნიკური კომპეტენციის შენარჩუნების მოთხოვნასთან შესაბამისობის შესაფასებლად. თუ მოხდება ნაკლოვანებების აღრიცხვა და შეფასება, შესაძლებელი იქნება მათი ინტეგრირება თანამშრომლებთან შესაბამისი კომუნიკაციის პროცესში.

როდის უნდა გატარდეს მონიტორინგისა და რემედიაციის ღონისძიებები?

ფირმამ მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი უნდა შეიმუშაოს, მონიტორინგის ღონისძიებების დიზაინისა და დანერგვის საფუძველზე, შეფასების სავალდებულო თარიღამდე. პირველი შეფასება უნდა განხორციელდეს 2022 წლის 15 დეკემბრიდან ერთი წლის განმავლობაში (ე.ი. 2023 წლის 15 დეკემბრამდე) და შემდგომში შეფასებები უნდა ჩატარდეს მინიმუმ წელიწადში ერთხელ.

რჩევა: მონიტორინგისა და რემედიაციის ღონისძიებები დაგეგმეთ წლის შესაბამის პერიოდში. დროის შერჩევისას გაითვალისწინეთ ზოგადად ფირმისთვის პერიოდის დატვირთულობა. ეს დაგეხმარებათ პროცესისთვის საკმარისი დროისა და რესურსების ეფექტურად განაწილებაში.

მონიტორინგის ღონისძიებები	
ხმს-ის ყოველწლიური მონიტორინგი	დასრულებული გარიგებების ციკლური ინსპექტირება
ხმს-ის პირველი შეფასების განხორციელება სავალდებულო იყო 2022 წლის 15 დეკემბრიდან ერთი წლის განმავლობაში. დასაშვები იყო წლის განმავლობაში თარიღის შერჩევა, თუმცა შეფასება არ უნდა გადადებულიყო დანერგვიდან ერთ წელზე მეტი ხნის შემდეგ. შემდგომში, შეფასება უნდა მოხდეს მინიმუმ წელიწადში ერთხელ. შესაძლოა არსებობდეს შემთხვევები, როდესაც ცვლილებებმა, ნაკლოვანებებმა ან სხვა გარემოებებმა მოითხოვოს შეფასების უფრო ადრე ჩატარება, ვიდრე წლიურ ჭრილში იყო დაგეგმილი.	შეგიძლიათ განახორციელოთ დასრულებული გარიგებების ციკლური მონიტორინგი მანამდე არსებული ხარისხის კონტროლის პოლიტიკის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ან დაიწყეთ დასრულებული ფაილების პირველი მიმოხილვა თქვენს პირველ ყოველწლიურ მონიტორინგთან ერთად. შენიშვნა: დასრულებული გარიგებების ციკლური მონიტორინგი შესაძლოა თქვენთვის ახალი კონცეფცია არ იყოს, თუმცა თქვენ კიდევ ერთხელ უნდა გადახედოთ პროცესს და საჭიროების შემთხვევაში განაახლოთ იგი ხმსს 1-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ხშირად დასმული კითხვა

როგორ შემიძლია დასრულებული გარიგებების ინსპექტირება ციკლურ საფუძველზე?

ფირმას დასრულებული გარიგებების ციკლურ საფუძველზე შესამოწმებლად შეუძლია ისეთი პოლიტიკისა და პროცედურების დაწესება, რომლებიც:

- ადგენს სტანდარტულ პერიოდს ინსპექტირების ციკლისთვის, მაგალითად, გარიგების თითოეული პარტნიორის მიერ დასრულებული გარიგების ინსპექტირება მინიმუმ სამ-ხუთ წელიწადში ერთხელ.
- ადგენს კრიტერიუმებს დასრულებული გარიგებების შესარჩევად.
- უზრუნველყოფს დასრულებული გარიგების ფაილების შერჩევას ისეთი მეთოდით, რომელიც არ არის პროგნოზირებადი.
- ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც შეიძლება სტანდარტული პერიოდის გადახედვა. მაგალითად, გარიგების პარტნიორების შერჩევა შეგიძლიათ პოლიტიკით განსაზღვრულ სტანდარტულ პერიოდთან შედარებით უფრო ხშირად, როდესაც:
 - ბევრი ისეთი ნაკლოვანება გამოვლინდა, რომელიც შეფასდა მნიშვნელოვან ნაკლოვანებად და თქვენ გადაწყვეტთ, რომ აუცილებელია გარიგების ყველა პარტნიორის უფრო ხშირი ციკლური ინსპექტირების ჩატარება.
 - გარიგების პარტნიორი გარიგებას ასრულებს ისეთი დარგის სუბიექტებისთვის, რომლისთვისაც დამახასიათებელია მაღალი დონის სირთულე ან განსჯა.
 - გარიგების პარტნიორის მიერ შესრულებულ გარიგებასთან დაკავშირებით ჩატარდა მონიტორინგის სხვა ღონისძიებები და ამ ღონისძიებების შედეგები არ იყო დამაკმაყოფილებელი.
 - გარიგების პარტნიორმა ისეთი დარგის სუბიექტისთვის შეასრულა გარიგება, სადაც გარიგების პარტნიორს მუშაობის მწირი გამოცდილება აქვს.
 - გარიგების პარტნიორი ახლადდანიშნულია გარიგების პარტნიორად ან ფირმაში ახალი გადმოსულია სხვა ფირმიდან ან იურისდიქციიდან.

ნაწილი 1: მონიტორინგის ღონისძიებების შემუშავება და გატარება

(ხმს 1-ის 36, 37 და გ139 - გ150 პუნქტები)

მონიტორინგის ღონისძიებების შემუშავება და გატარება ხარვეზების გამოვლენის საფუძველია. მის დიზაინში გათვალისწინებული უნდა იყოს **როდის** ტარდება მონიტორინგის ღონისძიება და **ვინ** უნდა შეასრულოს იგი.

მონიტორინგის ღონისძიებების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის დადგენისას ფირმამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები:

ხარისხის რისკებზე მინიჭებული შეფასებების მიზეზები;
საკასუხო ზომების დიზაინი;
ფირმის რისკის შეფასების პროცესისა და ასევე მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის დიზაინი;
ხმს-ის ცვლილებები;
ადრინდელი მონიტორინგის ღონისძიებების შედეგები, ადრინდელი მონიტორინგის ღონისძიებები ისევ შესაფერისია თუ არა ფირმის ხმს-ის შესაფასებლად და ეფექტური იყო თუ არა გამოვლენილი ნაკლოვანებების მიმართ გატარებული რემედიაციის ღონისძიებები; და
სხვა შესაფერისი ინფორმაცია, მათ შორის საჩივრები და ბრალდებები იმის თაობაზე, რომ სამუშაო არ შესრულდა პროფესიული სტანდარტებისა და შესაფერისი საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად, ან/და ფირმის მიერ დაწესებული პოლიტიკის ან პროცედურების შესაბამისად, ასევე გარე ინსპექტირებისა და მომსახურების პროვაიდერებისგან მიღებული ინფორმაცია.



IAASB-ის ხმს 1-ის პირველად დანერგვის სახელმძღვანელო მოიცავდა შემდეგ კომენტარს უწყვეტი და პერიოდული მონიტორინგის ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა სასარგებლო იყოს მონიტორინგის პროცესის შემუშავებისას:

მონიტორინგის უწყვეტი და პერიოდული ღონისძიებები

ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება უფრო შესაფერისი იყოს მონიტორინგის უწყვეტი ღონისძიებები, ხოლო სხვა შემთხვევებში - მონიტორინგის პერიოდული ღონისძიებები. მონიტორინგის უწყვეტი და პერიოდული ღონისძიებების კომბინაციას შეუძლია მთლიანობაში ეფექტური მონიტორინგი უზრუნველყოს.

მონიტორინგის უწყვეტი ღონისძიებები	მონიტორინგის პერიოდული ღონისძიებები
<i>რუტინული პროცედურები, რომლებიც ფირმის პროცესებშია ინტეგრირებული და ტარდება რეალური დროის რეჟიმში, რეაგირებს ცვალებად პირობებზე.</i>	<i>გარკვეული ინტერვალებით გატარებული ღონისძიებები</i>
მაგალითი ფირმის საინფორმაციო ტექნოლოგიური (სტ) აპლიკაციიდან ყოველთვიურად გენერირდება დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ანგარიშები. მათ მიმოიხილავს პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს ოპერატიული პასუხისმგებლობა დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებაზე. ეს პირი იყენებს ანგარიშს, რათა გამოავლინოს ანომალიები და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ფირმის პოლიტიკასთან ან პროცედურებთან შეუსაბამობები.	მაგალითი დასრულებული გარიგებების ან ტრენინგების ჩანაწერების ინსპექტირება იმის დასადაგენად, რომ პერსონალმა საჭირო ტრენინგები გაიარა.

სასარგებლო მინიშნებები: გათვალისწინებულია, ფირმამ შეიმუშაოს მონიტორინგის ისეთი პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მოიცავს შემდეგი საკითხების ობიექტურ განხილვასა და შეფასებას:

- ხარისხის მართვის პოლიტიკასთან და პროცედურებთან შესაბამისობის ხარისხი, ასევე პროფესიული სტანდარტების, მარეგულირებელი და სამართლებრივი მოთხოვნების დაცვა;
 - ხარისხის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების რელევანტურობა და ადეკვატურობა;
 - არის თუ არა პოლიტიკა და პროცედურები განახლებული, თანმიმდევრული და შეესაბამება თუ არა პროფესიის განვითარებას;
 - ფირმის ხარისხისა და ეთიკის კულტურა (მათ შორის მტკიცებულება იმისა, რომ არსებობს წერილობითი დადასტურება დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროცედურების შესრულების შესახებ);
 - პროფესიული განათლებისა და განვითარების ღონისძიებების ეფექტიანობა;
- სახელმძღვანელო მასალებისა და ტექნიკური რესურსების შესაფერისობა;
 - ფირმის შიდა ინსპექტირების პროცესები;
 - ხარისხის მართვის საკითხებთან დაკავშირებით ფირმის წევრებთან კომუნიკაციის შინაარსი, ვადები და ეფექტიანობა (მათ შორის ინფორმაცია სისტემაში გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ და ნებისმიერი გამოსასწორებელი ქმედებების შესახებ, ასევე შეფასების შედეგად ხმს-ის გაუმჯობესების შეთავაზებები); და
 - პროცესის დასრულების შემდეგ შემდგომი ქმედებების ეფექტიანობის განსაზღვრა (მაგალითად, ხორციელდება თუ არა საჭირო ცვლილებები დროულად).

ვინ უნდა ჩაატაროს მონიტორინგის ღონისძიებები?

ხარისხის, ეთიკის, პროფესიული სტანდარტებისა და შიდა სტანდარტების შესრულებისა და მონიტორინგის არაოფიციალურად ჩატარებისას თქვენი ფირმა უნდა დაეყრდნოს ყველა პარტნიორსა და თანამშრომელს, ყველა დონეზე. მონიტორინგი პროფესიული საქმიანობის ყველა ასპექტის განუყოფელი ნაწილია. გადაწყვეტილების მიღების ან სხვების სამუშაოს ზედამხედველობის უფლებამოსილების მქონე პარტნიორებსა და თანამშრომლებს უფრო დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

ფირმამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი უკუკავშირი, რომელსაც მიიღებს შესაბამისი პროფესიული ორგანიზაციის ან მარეგულირებლის ინსპექტირებისა და ლიცენზირების სისტემის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხორციელების შედეგად. თუმცა, ეს ფირმის საკუთარ შიდა მონიტორინგის პროგრამას ვერ ჩაანაცვლებს.

ფირმამ უნდა დააწესოს ისეთი პოლიტიკა ან პროცედურები, რომლებიც:

- მოითხოვს, რომ პირებს, რომლებიც მონიტორინგის ღონისძიებებს ატარებენ, უნდა გააჩნდეთ სათანადო კომპეტენცია და შესაძლებლობები, მათ შორის საკმარისი დრო მონიტორინგის ღონისძიებების ეფექტიანად განსახორციელებლად; და
- ეხება იმ პირთა ობიექტურობას, რომლებიც ატარებენ მონიტორინგის ღონისძიებებს. ამგვარი პოლიტიკა ან პროცედურები გარიგების გუნდის წევრებს ან გარიგების ხარისხის მიმომხილველს უნდა უკრძალავდეს ამ გარიგების ნებისმიერი სახის ინსპექტირების ჩატარებას. (იხილეთ ხმს 1-ის 39 და გ155 - გ156 პუნქტები)

დამოუკიდებელ მხარესთან კონტრაქტის გაფორმების ან შიდა მონიტორინგის სისტემის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება და მისი პირობები განსხვავებული იქნება ფირმების მიხედვით. იგი ასევე დამოკიდებული იქნება ინსპექტირების დროს ფირმაში ხელმისაწვდომ რესურსებზე და მის უნარზე, ეფექტიანად განახორციელოს პროგრამა.

ამ გადაწყვეტილებას, როგორც წესი, მონიტორინგის ყოველი ციკლის დროს იღებს ფირმაში ამ უფლებამოსილების მქონე პირი, ყველა პარტნიორთან კონსულტაციის შედეგად.

მცირე ფირმების შემთხვევაში, გარე პირებმა (პროფესიონალებმა) (ე.ი. მომსახურების პროვაიდერებმა) შეიძლება მონიტორინგისა და შეფასების სხვადასხვა კომპონენტები განახორციელონ, იმ პირობით, თუ ისინი სათანადოდ კვალიფიციურები იქნებიან. ვინაიდან ხმს 1-ის თანახმად საქმიანობის შეფასება მოითხოვება, ეს შეიძლება ის მთავარი სფერო იყოს, სადაც მიზანშეწონილია მომსახურების პროვაიდერის გამოყენება ხარისხის მართვის სისტემაში მონაწილე პირ(ებ)ის საქმიანობის ობიექტური შეფასებისთვის.



ხშირად დასმული კითხვა

საჭიროა თუ არა, რომ ფირმას ჰყავდეს გარე პირი, რომელიც ჩართული იქნება ხმს-ის მონიტორინგისა და რემედიაციის კომპონენტში?

გარე პირის გამოყენება არ არის სავალდებულო, თუმცა, თუ თქვენ არ გყავთ პერსონალი, რომელსაც გააჩნია მონიტორინგის ღონისძიებების ჩასატარებლად აუცილებელი კომპეტენცია, შესაძლებლობები, დრო ან ობიექტურობა (მაგალითად, მცირე, ნაკლებად რთული ფირმის შემთხვევაში), ფირმას შეუძლია მონიტორინგის ღონისძიებების ჩასატარებლად გარე პირი (ე.ი. მომსახურების პროვაიდერი) გამოიყენოს.

გარე პირების გამოყენება მონიტორინგის ღონისძიებების ჩასატარებლად შეიძლება სასარგებლო იყოს, რადგან ასე შეიძლება უფრო ობიექტური ინფორმაცია მიიღოთ თქვენი ხმს-ის შესახებ, რაც დაგეხმარებათ მიმართულებების გამოვლენაში, რაც გაუმჯობესებას საჭიროებს. ფირმას, რომელსაც საკმარისი რესურსები აქვს იმისთვის, რომ როლები გაანაწილოს, შეუძლია მონიტორინგი და რემედიაცია შიდა რესურსების გამოყენებით განახორციელოს. თუმცა, ინდივიდუალურმა პრაქტიკოსმა შეიძლება ყველა ფუნქციისთვის ობიექტურობის მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილოს.

(იხილეთ ხმს 1-ის გ156 პუნქტი)

გარიგებების შერჩევა:

გარიგებებისა და გარიგების პარტნიორების შერჩევისას ფირმამ უნდა:

- გაითვალისწინოს მონიტორინგის ღონისძიებების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის განსაზღვრისას გამოყენებული მოსაზრებები;
- განიხილოს ფირმის მიერ განხორციელებული მონიტორინგის სხვა ღონისძიებების ხასიათი, ვადები და მოცულობა, ასევე გარიგებები და გარიგების პარტნიორები, რომლებიც მონიტორინგის ასეთ ღონისძიებებს ექვემდებარებიან; და
- შეარჩიოს თითოეული გარიგების პარტნიორის მინიმუმ ერთი დასრულებული გარიგება ფირმის მიერ განსაზღვრულ ციკლურ საფუძველზე. (იხ. ხმსს 1-ის გ141, გ151–გ154 პუნქტები)

დასრულებული გარიგებების წინა ინსპექტირებების შედეგებთან ერთად, დასრულებული გარიგებების ინსპექტირებისთვის შერჩევის პროცესში შესაძლებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

პირობები, მოვლენები, გარემოებები, ქმედებები ან აკრძალვები, რომლებიც ხარისხის რისკებს წარმოშობს	სხვა შესაფერისი ინფორმაცია
• ფირმის მიერ შესრულებული გარიგებების ტიპები და ფირმის გამოცდილების დონე ამ ტიპის გარიგებების შესრულებაში. • იმ სუბიექტების ტიპები, რომლებისთვისაც სრულდება გარიგებები, მაგალითად: – სუბიექტები, რომლებიც ახლად აღმოცენებულ დარგებში საქმიანობენ. – ისეთი დარგების სუბიექტები, რომლებთანაც დაკავშირებულია მაღალი დონის სირთულე ან განსჯა. – ისეთი დარგის სუბიექტები, რომელიც ფირმისთვის ახალია. – სუბიექტები, რომლებიც რეგულირებად სექტორებში საქმიანობენ. • გარიგების პარტნიორების პარტნიორებად ყოფნის ვადა და გამოცდილება.	• საჩივრები და ბრალდებები გარიგების პარტნიორის შესახებ. • გარე ინსპექტირების შედეგები, მათ შორის გარიგების თითოეული პარტნიორისთვის. • ფირმის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები, რომელიც ეხება გარიგების თითოეული პარტნიორის ხარისხის მიმართ ერთგულებას. • გარიგების განსახილველი სუბიექტის ან დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული ცნობილი მოთხოვნები ან ბრალდებები.

ნაწილი 2: აღმოჩენილი ფაქტების შეფასება, ნაკლოვანებების გამოვლენა და გამოვლენილი ნაკლოვანებების შეფასება

აღმოჩენილი ფაქტების შეფასება და ნაკლოვანებების გამოვლენა

აღმოჩენილი ფაქტები

აღმოჩენილი ფაქტები, ხმს-თან მიმართებაში, განისაზღვრება შემდეგნაირად: მონიტორინგის ღონისძიებებიდან, გარე ინსპექტირებისა და სხვა შესაფერისი წყაროებიდან მიღებული, დაგროვილი ინფორმაცია ხმს-ის დიზაინის, დანერგვის და ფუნქციონირების შესახებ, რომელიც აჩვენებს, რომ შეიძლება ერთი ან მეტი ნაკლოვანება არსებობდეს.

ნაკლოვანებები

ფირმის ხმს-ში ნაკლოვანებებია, როდესაც:

- ხმს-ის მიზნების მისაღწევად საჭირო ხარისხის მიზანი არ არის დადგენილი;
- არ არის გამოვლენილი ხარისხის რისკი ან რისკების ერთობლიობა ან ისინი სათანადოდ არაა შეფასებული;
- საპასუხო ზომა ან საპასუხო ზომების ერთობლიობა მისაღებად დაბალ დონემდე არ ამცირებს შესაბამისი ხარისხის რისკის წარმოქმნის ალბათობას, რაც იმიტომ ხდება, რომ საპასუხო ზომ(ებ)ი არაა სათანადოდ შემუშავებული, დანერგილი ან ისინი ეფექტურად არ ფუნქციონირებენ; ან
- ხმს-ის სხვა ასპექტი არ არსებობს, ან არ არის სათანადოდ შემუშავებული, დანერგილი ან ის ეფექტურად არ ფუნქციონირებს, რაც იწვევს ხმსს 1-ის მოთხოვნის შეუსრულებლობას.

ყველა აღმოჩენილი ფაქტი უნდა შეფასდეს იმის დასადგენად, იწვევენ თუ არა ისინი ნაკლოვანებებს. ბევრი ფაქტორი შეიძლება განვიხილოთ იმის დასადგენად, იწვევს თუ არა აღმოჩენილი ფაქტი ნაკლოვანებას, ისე, როგორც ეს ქვემოთაა განხილული.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია: ყველა აღმოჩენილი ფაქტი ნაკლოვანება არაა! იმისათვის, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა ნაკლოვანებები, ფირმამ აღმოჩენილი ფაქტები უნდა შეაფასოს.

რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფაქტორების მაგალითები, რომლებიც ფირმამ შეიძლება გაითვალისწინოს იმის დასადგენად, იწვევს თუ არა აღმოჩენილი ფაქტები ნაკლოვანებას:

ხარისხობრივი ფაქტორები:	რაოდენობრივი ფაქტორები ან მონიტორინგის ღონისძიების და აღმოჩენილი ფაქტების მოცულობა:
თუ აღმოჩენილი ფაქტები უკავშირდება საპასუხო ზომას: როგორ არის შემუშავებული საპასუხო ზომა, მაგალითად, საპასუხო ზომის ხასიათი, მისი წარმოშობის სიხშირე (თუ ეს შესაფერისია) და საპასუხო ზომის შედარებითი მნიშვნელობა ხარისხის რისკ(ებ)ზე რეაგირებისა და ხარისხის იმ მიზნ(ებ)ის მიღწევის კონტექსტში, რომელსაც ის უკავშირდება.	მონიტორინგის იმ ღონისძიების მოცულობა, რის შედეგადაც ფაქტების აღმოჩენა მოხდა, მათ შორის შერჩევის რაოდენობა ან ზომა.
ხარისხის იმ რისკის ხასიათი, რომელსაც უკავშირდება საპასუხო ზომა და რამდენად მიუთითებს აღმოჩენილი ფაქტები იმაზე, რომ ხარისხის რისკი აღმოფხვრილი არ ყოფილა.	აღმოჩენილი ფაქტების მოცულობა მონიტორინგის ღონისძიებით მოცული შერჩევის მიმართ და გადახრის მოსალოდნელი მაჩვენებლის მიმართ. მაგალითად, გარიგებების ინსპექტირების შემთხვევაში, შერჩეული გარიგებების რაოდენობა, სადაც აღმოჩენილი ფაქტები გამოვლინდა, შერჩეული გარიგებების საერთო რაოდენობასთან შედარებით და ფირმის მიერ დადგენილი გადახრის მოსალოდნელი მაჩვენებელი. ასეთი სახის რაოდენობრივი ანალიზი იმდენად რელევანტური არ იქნება ინდივიდუალური პრაქტიკოსისთვის მაშინ, როდესაც შერჩეული ფაილების რაოდენობა დაბალია. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, პროფესიული განსჯა და ხარისხობრივი ფაქტორები გაცილებით უფრო რელევანტური ხდება.
აღმოჩენილი ფაქტების ხასიათი და მათი ყოვლისმომცველობა: მაგალითად, ხელმძღვანელობის ქმედებებთან და ქცევასთან დაკავშირებით აღმოჩენილი ფაქტები შეიძლება თვისებრივად/ხარისხობრივად მნიშვნელოვანი იყოს, იმის გათვალისწინებით, რომ მას ყოვლისმომცველი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ხმს-ზე, მთლიანობაში.	
აღმოჩენილი ფაქტები, სხვა ასეთ ფაქტებთან ერთად, მიაწოდებს თუ არა ტენდენციას ან სისტემურ პრობლემას. მაგალითად, ერთმანეთის მსგავსი აღმოჩენილი ფაქტები, რომლებიც ბევრ გარიგებაში ვლინდება, შეიძლება სისტემურ პრობლემას მიუთითებდეს.	

გამოვლენილი ნაკლოვანებების შეფასება

ფირმამ გამოვლენილი ნაკლოვანებების მნიშვნელოვნება და ყოვლისმომცველობა უნდა შეაფასოს შემდეგი ღონისძიებების მეშვეობით:

- გამოვლენილი ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზ(ებ)ის გამოკვლევა. გამომწვევი მიზეზ(ებ)ის გამოსაკვლევად პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის დასადგენად ფირმამ უნდა გაითვალისწინოს გამოვლენილი ნაკლოვანებების ხასიათი და მათი შესაძლო მნიშვნელოვნება;
- გამოვლენილი ნაკლოვანებების ხმს-ზე ინდივიდუალური და აგრეგირებული გავლენის შეფასება.

გამომწვევი მიზეზების ანალიზი

ხმს 1 ნორმის სახით არ ადგენს განსაზოგცილებელი პროცედურების ტიპებს ან იმას, თუ ვინ უნდა განახორციელოს ისინი. გამომწვევი მიზეზ(ებ)ის ყველა ტიპის მოკვლევა არ საჭიროებს ინტენსიური ან მკაცრი პროცესის გავლას - ზოგ შემთხვევაში პროცედურები შეიძლება ძალიან მარტივი იყოს. შედეგად, პირებმა, რომლებიც გამომწვევ მიზეზ(ებ)ს იკვლევენ, იმ პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის განსაზღვრისას, რაც ნაკლოვანების გამომწვევი ძირეული გარემოებების სათანადოდ გასაგებადაა საჭირო, პროფესიული განსჯა უნდა გამოიყენონ.

ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზ(ებ)ის გამოკვლევისას შეიძლება გამოავლინოთ:

- ნაკლოვანება მრავალი გამომწვევი მიზეზით, რომელიც შეიძლება ხმს-ის მრავალ კომპონენტში ან ასპექტში იყოს, და
- მრავალი ნაკლოვანება, რომელზეც ერთი და იგივე გამომწვევი მიზეზი ახდენს გავლენას.

შესაბამისად, გამომწვევი მიზეზების ანალიზის მიმართ მიდგომის და დოკუმენტირების მრავალი გზა არსებობს. მნიშვნელოვანია არ ეძებოთ დაუყოვნებელი პასუხები ან არ სცადოთ საკუთარი მოსაზრებების თვითდადასტურებას, არამედ გამომწვევი მიზეზების გამოვლენის მიზნით დასვათ კითხვა - "რატომ მოხდა ეს", რამდენჯერმეც კი. 1-ელ ნიმუშში შემოთავაზებულია ამის ერთ-ერთი მაგალითი. გამომწვევი მიზეზების მაგალითები შეიძლება მოიცავდეს ფირმის ხელმძღვანელობის ქმედებებს და ქცევას, პროექტის ცუდად მართვას, არასათანადო პოლიტიკასა და პროცედურებს და თანამშრომლების არასათანადო ზედამხედველობას.



ნიმუში 1 - გამომწვევი მიზეზის ანალიზის დოკუმენტირება

აღწერეთ ნაკლოვანება	განსაზღვრეთ რატომ წარმოიქმნა ნაკლოვანება (შეეცადეთ გამოავლინოთ 5 "რატომ" (მიზეზი) გამოკითხვის/განხილვების/რეფლექსიის გზით)
	რატომ #1
	რატომ #2
	რატომ #3
	რატომ #4
	რატომ #5

განსაზღვრეთ რემედიაციის ის ღონისძიება/ღონისძიებები, რომელსაც სიტუაციის თავიდან არიდება ან გაუმჯობესება შეეძლო

დოკუმენტურად ასახეთ იმ ხმს-ში ან გარიგებაში მონაწილე პირ(ებ)ის გამოკითხვა, სადაც ნაკლოვანება გამოვლინდა (გარიგების გუნდი, გარიგების ხარისხის მიმომხილველი და სხვა შესაბამისი პირები, როგორებიცაა სპეციალისტები, თუ ეს შესაფერისია) (მიუთითეთ სახელი, თარიღი და მოკლე შეჯამება), ასევე სხვა ნებისმიერი შესაბამისი დოკუმენტაცია:


დასკვნა:


შემსრულებელი: _____

თარიღი: _____

ხმს-ის შესახებ უწყვეტი ჩანაწერები/დოკუმენტაცია

დანერგვის პირველ წელს ხმს-ის დოკუმენტაცია აქტუალური და ეფექტურია. დროთა განმავლობაში, პოლიტიკა და პროცედურები შეიცვლება, შესაბამისად უნდა მოხდეს ამ ცვლილებების შესახებ ჩანაწერების გაკეთება. ხმს-ის დოკუმენტირება და მონიტორინგი დროის კონკრეტულ მონაკვეთებში განხორციელდება. ცვლილებების თვალყურის სადევნებლად, შეგიძლიათ წლების განმავლობაში არსებული ნაკლოვანებების მუდმივი რეესტრი აწარმოოთ. თუ თავდაპირველი დოკუმენტაცია წაიშლება ან ჩანაცვლდება, რთული იქნება კავშირების დამყარება გამოვლენილ ნაკლოვანებებსა და მონიტორინგის დროს არსებულ პოლიტიკასა და პროცედურებს შორის. დოკუმენტების მიმდინარე მდგომარეობის ასლის შექმნა მნიშვნელოვანია, ასევე უნდა მოხდეს მათი დაარქივება წლების მიხედვით.





ხმს-ის ცვლილებები

მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის შედეგად შეიძლება ცვლილებები შევიდეს თქვენს ხმს-ში. გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხო ქმედებების განხილვამდე, მიზანშეწონილია განიხილოთ თქვენი ფირმის ხმს-ზე მათი გავლენა. ხმსს 1 არ განსაზღვრავს რამდენად ხშირად უნდა შეაფასოს ხელახლა ფირმამ საკუთარი ხარისხის მიზნები, ხარისხის რისკები და პოლიტიკა/პროცედურები, ვინაიდან ისინი პროაქტიულად განიცდიან ცვლილებას, როდესაც ისეთი ცვლილებები ხდება, რომლებიც ხმს-ზე ახდენენ გავლენას, ან როდესაც ნაკლოვანებები გამოვლინდება. ხარისხის მიზნების, ხარისხის რისკებისა და შესაბამისი პოლიტიკის/პროცედურების დადგენა იტერაციული/განმეორებადი პროცესია. შესაბამისად, შესაძლოა საჭირო გახდეს ხარისხის მიზნების, ხარისხის რისკების ან პოლიტიკის/პროცედურების ცვლილება:

- თქვენი ფირმის ან მისი გარიგებების ხასიათისა და გარემოებების ცვლილებებიდან გამომდინარე
- თქვენი ფირმის ხმს-ში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად საჭირო რემედიაციული ღონისძიებებიდან გამომდინარე
- შესაბამისი პროფესიული სტანდარტების ან მოქმედი კანონებისა და რეგულაციების ცვლილებებიდან გამომდინარე

მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესში გამოვლინდება თქვენს ხმს-ში საჭირო ისეთი ცვლილებები, რომელიც რემედიაციის ღონისძიებებითაა განპირობებული. ხოლო ნებისმიერი ცვლილების საჭიროების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც შესაბამისი პროფესიული სტანდარტების ან მოქმედი კანონებისა და რეგულაციების ცვლილებები განაპირობებს, უნდა შეგროვდეს ამ ცვლილებების ისეთი გარე წყაროების მიერ განხორციელებული განახლებების რეგულარული მიმოხილვით, როგორიცაა პროფესიული ან მარეგულირებელი ორგანოები. თუმცა, თქვენ უნდა შეაგროვოთ ინფორმაცია გარემოებების ან გარიგებების იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც შეიძლება ხარისხის მიზნების/რისკების/პოლიტიკის ცვლილებას საჭიროებდეს. ამისათვის თქვენ უნდა შექმნათ მიმოხილვის პოლიტიკა ან პროცესი, რომლის მასშტაბირებას თქვენი ფირმის ზომისა და სირთულის მიხედვით მოახდენთ:

ინდივიდუალური პრაქტიკოსი	ფირმა 2-5 პარტნიორით
როგორც ინდივიდუალურ პრაქტიკოსს, თქვენ შეიძლება საკუთარი ფირმის ან მისი გარიგებების შესახებ ინფორმაციის გამოსავლენად არაფორმალური პოლიტიკა ან პროცედურები გქონდეთ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირ(ებ)ს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ხარისხის მიზნების დადგენაზე, ხარისხის რისკების გამოვლენასა და შეფასებაზე და მათზე რეაგირებისთვის საპასუხო ზომების შემუშავებასა და დანერგვაზე, ასეთი ინფორმაციის იდენტიფიცირება მათი საქმიანობის ნორმალური მსვლელობისას შეუძლიათ.	2-5 პარტნიორიან ფირმაში შესაძლოა საჭირო გახდეს პროცესის დოკუმენტირება, რათა თქვენი ფირმის ან მისი გარიგებების ხასიათისა და გარემოებების ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გამოსავლენად ყველა პარტნიორისგან შეგროვდეს ინფორმაცია. მარტივი მიდგომაა თუ პარტნიორთან თითოეული რეგულარული შეხვედრისას დღის წესრიგს დაამატებთ პუნქტს, როდესაც თქვენ ნებისმიერი ასეთ ცვლილებას განიხილავთ. ამის ალტერნატივაა, თუ თქვენ ყოველთვიურად დაარიგებთ კითხვარს, რისი საშუალებითაც ცვლილებების შესახებ ინფორმაციას მიიღებთ. ასე შეძლებთ ამ ინფორმაციის ცენტრალიზებულად თავმოყრას. მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, რომ ეს უნდა იყოს რეგულარული პროცესი და ნებისმიერი საჭირო მოქმედება ხმს-ის ყოველწლიურ მიმოხილვამდე არ უნდა გადადოთ.

ნაწილი 3: გამოვლენილ ნაკლოვანებებზე რეაგირება

გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად შემდეგი ნაბიჯია რემედიაციის ისეთი ღონისძიებების შემუშავება და დანერგვა, რომლებიც გამომწვევი მიზეზების ანალიზის შედეგებს მიესადაგება. ამის შემდეგ, პირ(ებ)მა, რომელსაც (რომლებსაც) პასუხისმგებლობა აკისრია(თ) მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესზე, უნდა შეაფასონ, რემედიაციის ზომები:

(ა) სათანადოდ არის თუ არა შემუშავებული გამოვლენილ ნაკლოვანებებსა და მათ გამომწვევ მიზეზებზე რეაგირების თვალსაზრისით და დაადგინონ, გატარდა თუ არა ისინი; და

(ბ) რომლებიც ადრე გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად გატარდა, ეფექტურია თუ არა.


თუ შეფასებიდან ჩანს, რომ რემედიაციის ზომები სათანადოდ შემუშავებული და გატარებული არ არის, ან არ არის ეფექტური, პირ(ებ)მა, რომელსაც (რომლებსაც) ოპერატიული პასუხისმგებლობა აკისრიათ მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესზე, უნდა მიიღოს (მიიღონ) სათანადო ზომა იმის დასადგენად, რომ რემედიაციის ზომები სათანადოდ შეიცვალა და ახლა ეფექტურია.



ცალკეულ გარიგებასთან დაკავშირებით აღმოჩენილი ფაქტები

თუ არსებობს ისეთი გარემოება, როდესაც აღმოჩენილი ფაქტი მიანიშნებს, რომ არსებობს ერთი ან რამდენიმე ისეთი გარიგება, რომლებისთვისაც მოთხოვნილი პროცედურები არ ჩატარდა გარიგების შესრულებისას ან გაცემული ანგარიში შესაძლოა არ იყოს ადეკვატური, ფირმის შეუძლია შემდეგი ზომები გაატაროს:


- კონსულტაციის გავლა სათანადო პირებთან შესაძლო სათანადო ქმედების შესახებ.
- საკითხის განხილვა სუბიექტის ხელმძღვანელობასთან ან მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთან.
- გამოტოვებული პროცედურების ჩატარება.
- როდესაც ანგარიში შეუსაბამოდ/არაადეკვატურად ითვლება, შედეგების განხილვა და შესაბამისი ზომების მიღება, მათ შორის იმის განხილვა, საჭიროა თუ არა იურიდიული რჩევის მიღება.



ნაწილი 4: კომუნიკაცია

მონიტორინგსა და რემედიაციასთან დაკავშირებული უწყვეტი კომუნიკაცია

ხმს 1 მოიცავს მონიტორინგსა და რემედიაციასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების მინიმალურ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები ფირმისა და მონაწილე პირების ხასიათის მიხედვით განსხვავებული იქნება:



ინდივიდუალური პრაქტიკოსი	ფირმა 2-5 პარტნიორით
ინდივიდუალურ პრაქტიკოსს (თანამშრომლების ან მომსახურების პროვაიდერების გარეშე) აკისრია ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება. ეს მოიცავს როგორც ოპერატიულ პასუხისმგებლობას, ისე მონიტორინგსა და რემედიაციას. ასეთ გარემოებებში მონიტორინგსა და რემედიაციასთან დაკავშირებით უწყვეტი კომუნიკაციის საჭიროება არ დგას.	2-5 პარტნიორიან ფირმაში, მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესზე პასუხისმგებელმა პირ(ებ)მა, დროულად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია იმ პირ(ებ)ს, ვისაც ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება აკისრიათ (ასევე ოპერატიული პასუხისმგებლობის მქონე პირ(ებ)ს). აღნიშნული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგს: • ჩატარებული მონიტორინგის ღონისძიებების აღწერას • გამოვლენილ ნაკლოვანებებს, მათ შორის ასეთი ნაკლოვანებების მნიშვნელოვნებასა და ყოვლისმომცველობას • რემედიაციის ღონისძიებებს გარიგების გუნდებისთვის და პერსონალისთვის (რომლებიც მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, თავიანთი პასუხისმგებლობების ფარგლებში, დროულ და შესაბამის ზომებს იღებენ) მიწოდებული ინფორმაცია შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს. მაგალითად: ა) გარიგების გუნდები - გარიგების გუნდისთვის მიწოდებული ინფორმაცია შეიძლება ფოკუსირებული იყოს გარიგების დონეზე გამოვლენილ ნაკლოვანებებსა და რემედიაციის შესაბამის ღონისძიებებზე. ბ) პერსონალი - მთელი პერსონალისთვის მიწოდებული ინფორმაცია შეიძლება უკავშირდებოდეს დამოუკიდებლობის ნაკლოვანებებს და რემედიაციის ღონისძიებებს.



ხმს-ის შეფასება

შეხსენება: ხმს-ის შეფასებისა და ხმს-ის მიზნების მიღწევის თვალსაზრისით მისი ეფექტურობის შესახებ დასკვნის გაკეთება ხმს 1-ის ახალი მოთხოვნაა. შეფასება ფირმის შიგნით ხდება; ფირმას საკუთარი ხმს-ის ეფექტურობის შესახებ დამოუკიდებელი რწმუნების მიღება არ მოეთხოვება. ხმს-ის შეფასება, ფირმის სახელით, უნდა განახორციელონ ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების მქონე პირ(ებ)მა. ეს შეფასება უნდა ჩატარდეს დროის კონკრეტულ მომენტში და წელიწადში მინიმუმ ერთხელ მაინც.

ნაკლოვანება შეიძლება წარმოიშვას, როდესაც არ ჩატარებულა შეფასება, ან ის სათანადოდ არ შეიმუშავეს, დანერგეს ან სათანადოდ არ ფუნქციონირებდა.

მცირე ფირმებში, ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების მქონე პირ(ებ)ი შეიძლება უშუალოდ იყვნენ ჩართულნი მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესში. ამ პირებს შეიძლება ჰქონდეთ ინფორმაცია, რომელიც ხმს-ის შეფასებაში დაეხმარებათ. შედეგად, შეიძლება ხმს-ის შეფასებასთან დაკავშირებით ნაკლები პოლიტიკა და პროცედურები გახდეს საჭირო.

დასკვნა ხარისხის მართვის სისტემაზე

დასაბუთებული რწმუნება – ხმს 1-ის კონტექსტში - რწმუნების მაღალი, მაგრამ არა აბსოლუტური დონე.

დასაბუთებული რწმუნება მოიპოვება მაშინ, როდესაც ხმს მისაღებად დაბალ დონემდე ამცირებს ხარისხის მიზნების მიღწევის რისკს. დასაბუთებული რწმუნება არ არის რწმუნების აბსოლუტური დონე, რადგან ხმს-ში არსებობს თანდაყოლილი/შინაგანი შეზღუდვები. ასეთი შეზღუდვები მოიცავს იმ ფაქტს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ადამიანური განსჯა შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს, ან ფირმაში შეიძლება ხმს-ის ფუნქციონირების შეფერხება მოხდეს, მაგალითად, ადამიანური შეცდომის ან მისი ქცევის ან სტ აპლიკაციების წარუმატებლობის გამო.

ხმს 1 ხმს-ის შეფასების სამ შესაძლო დასკვნას განიხილავს:

მინიმუმ წელიწადში ერთხელ თქვენ უნდა შეაფასოთ საკუთარი ხმს. შეიძლება გამოიტანოთ შემდეგი შესაძლო დასკვნები:		
“მიღწეულია”	“გარდა”	“არ არის მიღწეული”
ხმს თქვენს ფირმას უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ, რომ ხმს-ის მიზნები მიღწეულია. (შესაბამისი ახსნა-განმარტებითი მასალა: გ191 პუნქტი)	იმ საკითხებისა გარდა, რომლებიც დაკავშირებული იყო ისეთ გამოვლენილ ნაკლოვანებებთან, რომლებიც სერიოზულ გავლენას ახდენს ხარისხის მართვის სისტემის შექმნაზე, დანერგვასა და ფუნქციონირებაზე, მაგრამ არა ყოვლისმომცველს, სხვა დანარჩენ შემთხვევაში ხმს ფირმას უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმისა, რომ ხმს-ის მიზნები მიღწეულია (შესაბამისი ახსნა-განმარტებითი მასალა: გ192 პუნქტი)	ხმს ფირმას ვერ უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ, რომ ხარისხის მართვის სისტემის მიზნები მიღწეულია. (შესაბამისი ახსნა-განმარტებითი მასალა: გ192-გ194 პუნქტები)
		
კომუნიკაციის გარდა სხვა დამატებითი ქმედება არ არის საჭირო.	მიიღეთ სწრაფი და შესაბამისი ზომები და მიაწოდეთ ინფორმაცია: - გარიგების გუნდებს და სხვა პირებს, რომლებსაც ევალებათ ხმს-ში თავიანთი პასუხისმგებლობისთვის შესაფერისი ქმედებების განხორციელება; და - გარე მხარეებს, ფირმის პოლიტიკის ან პროცედურების შესაბამისად.	

IAASB-ის [ხმსს 1-ის პირველად დანერგვის](#)

[სახელმძღვანელო](#) მოიცავდა შემდეგ მითითებებს, რაც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს დასკვნის გამოტანისას პროფესიული განსჯის გამოყენების თვალსაზრისით:

მარჯვნივ მოცემული ცხრილში საილუსტრაციოდ ნაჩვენებია როგორ გამოიყენოთ პროფესიული განსჯა შესაბამისი დასკვნის გამოტანისას. მაგალითად:

- პროფესიული განსჯის გამოყენება საჭიროა ნაკლოვანებების მნიშვნელოვნებისა და ყოვლისმომცველობის შეფასებისას.
- პროფესიული განსჯის გამოყენება საჭიროა, როდესაც აფასებთ, შეიმუშავა და დანერგა თუ არა ფირმამ რემედიაციის ღონისძიებები, და რამდენად ეფექტურია რემედიაციის ღონისძიებები შეფასების მომენტისთვის (იხილეთ ზემოთ მოცემული ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამის გათვალისწინება, ასევე პროფესიული განსჯის ჩართვა).
- პროფესიული განსჯის გამოყენება საჭიროა, როდესაც აფასებთ, სათანადოდ გამოსწორდა თუ არა გამოვლენილი ნაკლოვანებების ზეგავლენა ხმს-ზე. მაგალითად, შეიძლება არსებობდეს გარემოებები, როდესაც ნაკლოვანებების ეფექტი ნაწილობრივ გამოსწორდა (მაგ., მხოლოდ ზოგიერთ გარიგებასთან დაკავშირებული საკითხები გამოსწორდა, სხვა გარიგებებთან დაკავშირებით კი კვლავ მიმდინარეობს). ასეთ შემთხვევებში საჭიროა გამოიყენოთ პროფესიული განსჯა იმის განხილვისას, რამდენად გამოსწორდა გამოვლენილი ნაკლოვანებ(ებ)ის გავლენა, და როგორ ახდენს ეს გავლენას დასკვნაზე ხმს-ის ეფექტურობის შესახებ, მაგალითად, ნაკლოვანების ხასიათისა და ეფექტის გათვალისწინებით, ასევე ნაკლოვანების ზეგავლენის გამოსასწორებლად ფირმის მიერ განხორციელებული ქმედებების ხასიათისა და ვადების გათვალისწინებით.

#	ნაკლოვანებები (შენიშვნა 1)		შემუშავებული და დანერგილი რემედიაციის ღონისძიებები, ასევე ისინი, რომლებიც შეფასების დროისთვის გატარებულია, ეფექტურია	ნაკლოვანებების ზეგავლენა სათანადოდ გამოსწორდა (შენიშვნა 2)	შენიშვნა	დასკვნა	საჭიროა დამატებითი ქმედება ხმსს 1-ის 55-ე პუნქტის შესაბამისად?
	მნიშვნელოვანი	ყოვლისმომცველი					
1	არა	არა	შეიძლება არ იყოს რელევანტური ხმს-ის შესახებ დასკვნის გამოტანისას			ხმს ფირმას უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ, რომ ხმს-ის მიზნები მიღწეულია (ხმსს 1-ის 54(ა) პუნქტი)	არა
2	დიახ	არა	დიახ	დიახ			
3	არა	დიახ	შეიძლება არ იყოს რელევანტური ხმს-ის შესახებ დასკვნის გამოტანისას		შენიშვნა 3		
4	დიახ	დიახ	დიახ	დიახ			
5	დიახ	არა	არა	არა		იმ საკითხებისა გარდა, რომლებიც დაკავშირებული იყო ისეთ გამოვლენილ ნაკლოვანებებთან, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხარისხის მართვის სისტემის შექმნაზე, დანერგვასა და ფუნქციონირებაზე, მაგრამ არა ყოვლისმომცველს, სხვა დანარჩენ შემთხვევაში ხმს ფირმას უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმისა, რომ ხმს-ის მიზნები მიღწეულია (ხმსს 1-ის 54(ბ) პუნქტი)	დიახ
6	დიახ	არა	არა	დიახ			
7	დიახ	არა	დიახ	არა	შენიშვნა 4		
8	დიახ	დიახ	არა	არა	შენიშვნა 5	ხმს ფირმას ვერ უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ, რომ ხმს-ის მიზნები მიღწეულია (ხმსს 1-ის 54(გ) პუნქტი)	დიახ
9	დიახ	დიახ	დიახ	არა	შენიშვნა 4 შენიშვნა 5		
10	დიახ	დიახ	არა	დიახ	შენიშვნა 5		

შენიშვნა 1: ხმს 1-ის 41-ე პუნქტის თანახმად, ფირმამ გამოვლენილი ნაკლოვანებების სერიოზულობა და ყოვლისმომცველობა უნდა შეაფასოს გამოვლენილი ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზის(ებ)ის გამოკვლევის შედეგად,, ასევე ხმს-ზე გამოვლენილი ნაკლოვანებების ინდივიდუალური და აგრეგირებული გავლენის შეფასებით. თითოეული გამოვლენილი ნაკლოვანების ინდივიდუალურად შეფასების შემდეგ, ფირმამ ასევე უნდა შეაფასოს ნაკლოვანებების აგრეგირებული სერიოზულობა და ყოვლისმომცველობა. ცხრილში ასახულია შესაძლო შედეგები მას შემდეგ, რაც ფირმამ შეფასება ხმს 1-ის 41-ე პუნქტის შესაბამისად ჩაატარა. მაგალითად:

- მე-5, მე-6 და მე-7 სტრიქონები მაშინ შეიძლება იყოს შესაფერისი, როდესაც შეფასება ისეთ გამოვლენილ ნაკლოვანებაზე მიუთითებს, რომელიც ინდივიდუალურად სერიოზულია, მაგრამ არა ყოვლისმომცველი, ან ისეთ გამოვლენილ ნაკლოვანებებზე, რომლებიც აგრეგირებულად სერიოზულია, მაგრამ არა ყოვლისმომცველი.
- მე-8, მე-9 და მე-10 სტრიქონები მაშინ შეიძლება იყოს შესაფერისი, როდესაც შეფასება ისეთ გამოვლენილ ნაკლოვანებაზე მიუთითებს, რომელიც ინდივიდუალურად სერიოზულიცაა და ყოვლისმომცველიც, ან ისეთ გამოვლენილ ნაკლოვანებებზე, რომლებიც აგრეგირებულად სერიოზულიცაა და ყოვლისმომცველიც.

შენიშვნა 2: ეს ეხება ხმს 1-ის 45-ე პუნქტს, რომელიც ფირმას ავალდებულებს რეაგირება მოახდინოს ისეთ გარემოებებზე, როდესაც აღმოჩენილი ფაქტები მიანიშნებს, რომ არსებობს ერთი ან რამდენიმე ისეთი გარიგება, რომლებისთვისაც მოთხოვნილი პროცედურები არ ჩატარდა გარიგების შესრულებისას ან გაცემული დასკვნა შესაძლოა არ იყოს ადეკვატური. როგორც ცხრილამდე მოცემულ აბზაცებშია ხაზგასმული, საჭიროა გამოიყენოთ პროფესიული განსჯა იმის განხილვისას, რამდენად გამოსწორდა გამოვლენილი ნაკლოვანებ(ებ)ის გავლენა, და როგორ ახდენს ეს გავლენას დასკვნაზე ხმს-ის ეფექტურობის შესახებ.

შენიშვნა 3: მე-3 სტრიქონი შეიძლება დაუკავშიროთ იმ გამოვლენილ ნაკლოვანებას, რომელიც ინდივიდუალურად ყოვლისმომცველია, მაგრამ არ არის სერიოზული. ან მრავალ ნაკლოვანებას, რომლებიც აგრეგირებულად ყოვლისმომცველია, მაგრამ არ არის სერიოზული (იხილეთ ასევე შენიშვნა 1). დანარჩენი სვეტები შეიძლება არ იყოს შესაფერისი ხმს-ზე დასკვნის გამოსატანად, რადგან ნაკლოვანებ(ებ)ის ეფექტი/გავლენა არ არის სერიოზული (ე.ი. დასკვნა ხმს 1-ის 54(ა) პუნქტის შესაბამისად). თუმცა, შეიძლება არსებობდეს გარემოებები, როდესაც არსებობს მრავალი ნაკლოვანება, რომელსაც ფირმა აფასებს, როგორც ინდივიდუალურად ყოვლისმომცველს, მაგრამ არა სერიოზულს. მაგრამ აგრეგირებულად ისინი სერიოზულიცაა და ყოვლისმომცველიც. თუ ნაკლოვანებები აგრეგირებულად სერიოზული და ყოვლისმომცველია, მაშინ მე-4, მე-8, მე-9 ან მე-10 სტრიქონები შეიძლება შესაფერისი იყოს (ე.ი. დასკვნა ხმს 1-ის 54(ა) ან 54(გ) პუნქტების შესაბამისად).

შენიშვნა 4: სათანადო დასკვნის განხილვისას საჭიროა პროფესიული განსჯის გამოყენება, ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე. ამ შემთხვევაში სათანადო დასკვნა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სათანადოდ არის გამოსწორებული ნაკლოვანებების ეფექტი/გავლენა (იხილეთ ცხრილის წინ მოცემული ახსნა-განმარტება, რომელიც ეხება პროფესიულ განსჯას, რომელიც დაკავშირებულია ნაკლოვანებების ეფექტის სათანადოდ გამოსწორების ხარისხთან და იმ ფაქტორებთან, რომლებმაც შეიძლება ამ განსჯაზე გავლენა მოახდინონ). როდესაც რემედიაციის ღონისძიებები, რომლებიც შემუშავებულია და ხორციელდება და შეფასების მომენტშიც ეფექტურია, ასევე ფირმა ჯერ კიდევ ნაკლოვანებების ეფექტის გამოსწორების პროცესშია, შეიძლება არსებობდეს გარემოებები, როდესაც ფირმამ შეიძლება დაადგინოს, რომ ხმს მას უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით, რომ ხმს-ის მიზნები მიღწეულია (ე.ი. სანაცვლოდ ცხრილის მე-2 ან მე-4 სტრიქონი შეიძლება იქნას გამოყენებული).

შენიშვნა 5: ხმს 1-ის გ194 პუნქტის თანახმად, ფირმას შესაძლოა გარკვეული დრო დასჭირდეს გამოვლენილი სერიოზული და ყოვლისმომცველი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. თუ ფირმა აგრძელებს გამოვლენილი ნაკლოვანებების მიმართ რემედიაციის ზომების გატარებას, ამგვარი გამოვლენილი ნაკლოვანებების ზემოქმედების არეალი შესაძლოა შემცირდეს და ფირმამ დაადგინოს, რომ ეს ნაკლოვანებები სერიოზული კი არის, მაგრამ სერიოზულთან ერთად აღარ არის ყოვლისმომცველი. ასეთ შემთხვევაში, პირ(ებ)ს, რომელსაც (რომლებსაც) საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება აკისრია(თ) ხმს-ზე შეუძლია(თ) დაასკვნას (დაასკვნან), რომ იმ საკითხების გარდა, რომლებიც დაკავშირებული იყო ისეთ გამოვლენილ ნაკლოვანებებთან, რომლებიც ხმს-ის დიზაინზე, დანერგვასა და ფუნქციონირებაზე სერიოზულ გავლენას ახდენს, მაგრამ არა ყოვლისმომცველს, სხვა დანარჩენ ასპექტებში ხმს ფირმას უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ, რომ ხმს-ის მიზნები მიღწეულია (ე.ი. ფირმის ხმს-ის შემდგომ შეფასებაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცხრილის მე-5, მე-6 ან მე-7 სტრიქონები).

საქმიანობის პერიოდული შეფასებები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხმს 1-ის თანახმად, ფირმამ ხმს-ის შეფასებასთან ერთად, პერიოდულად უნდა შეაფასოს ის პირ(ებ)ი, რომელთაც ხმს-ზე აკისრიათ:

- საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება, და
- ოპერატიული პასუხისმგებლობა.

ამ პირების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ხმს-ის ყოველწლიური შეფასება. თუ თქვენს ფირმაში ხმს-ში მონაწილე პირთა რაოდენობა შეზღუდულია, ან თქვენ ინდივიდუალური პრაქტიკოსი ხართ, ამ პროცესში უფრო მეტად რეფლექსიისა/თვითანალიზისა და დოკუმენტირების საკითხებს მიექცევა ყურადღება.

ინდივიდუალური პრაქტიკოსი	2-5 პარტნიორიანი ფირმა
ინდივიდუალური პრაქტიკოსისთვის, რომელსაც არ ჰყავს თანამშრომლები ან არ იყენებს მომსახურების პროვაიდერებს, არ მოიაზრება ფირმაში სხვადასხვა პირების „შეფასება“. ეს უფრო მეტად შეეხება თვითანალიზს და ასეთი ანალიზის დოკუმენტირების საკითხებს. თუ თქვენს ფირმას ჰყავს თანამშრომლები, ან იყენებთ მომსახურების პროვაიდერებს, რომლებიც ხმს-ის კომპონენტებში არიან ჩართულნი, მაშინ თვითანალიზის პროცესი მათზეც უნდა გავრცელდეს. როგორც ადრე განვიხილეთ, ფირმის მიღმა არსებული პირი უფრო ობიექტური იქნება. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიმართულება, სადაც შეიძლება მომსახურების პროვაიდერს მიმართოთ შეფასებისთვის ან თუნდაც ინდივიდუალური პრაქტიკოსის მიერ მომზადებული თვითანალიზის მიმოხილვისთვის.	2-5 პარტნიორიანი ფირმისთვის, ხმს-ის კომპონენტების ფარგლებში დაკისრებული პასუხისმგებლობები სავარაუდოდ გადანაწილებულია. შესაბამისად, შეფასების დიზაინი და დანერგვის საკითხები შემუშავების საწყის ეტაპზევე უნდა შეთანხმდეს შესაბამის პირებთან და მიეწოდოთ მათ სათანადო ინფორმაცია. ეს შეფასების ეტაპზე მათ მიმართ არსებულ მოლოდინებს უფრო ცხადს გახდის. მაგალითად, ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში ნებისმიერი სანქციის სახე პარტნიორის მიმართ, ადრეულ ეტაპზევე უნდა განისაზღვროს.





მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის დოკუმენტირება

მიზანშეწონილი და რეკომენდებულია ყველა დოკუმენტში სტანდარტების ტერმინოლოგია გამოიყენოს. თქვენი ხმს-ის მონიტორინგისა და რემედიაციის კომპონენტის დოკუმენტირებისას შეგიძლიათ ხმსს 1-ის განმარტებების განყოფილებასთან ერთად ამ ნაწილის „ზ“ დანართში მოცემული მითითებები გამოიყენოთ. მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესთან დაკავშირებული განმარტებები ამ ნაწილში ცალკეა გამოყოფილი.

ეს ნაწილი ასევე მოიცავს დოკუმენტირების დამხმარე საშუალებებს, რომლებიც ხმსს 1-ის მოთხოვნების შესრულებაში დაგეხმარებათ. მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის მიზანია:

- ხმს-ის დიზაინის, დანერგვისა და ფუნქციონირების შესახებ რელევანტური, სანდო და დროული ინფორმაციის მიწოდება, და
- გამოვლენილი ნაკლოვანებების მიმართ სათანადო საპასუხო ზომების გატარება მათი დროული რემედიაციის მიზნით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ხმსს 1-ის მოთხოვნები მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის დოკუმენტირებასთან დაკავშირებით, ასევე ამ ნაწილში წარმოდგენილი დოკუმენტირების დამხმარე საშუალებები:

მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:	დოკუმენტირების დამხმარე საშუალებების შეჯამება
• მონიტორინგის ჩატარებული ღონისძიებების მტკიცებულებას • აღმოჩენილი ფაქტების, გამოვლენილი ნაკლოვანებების და მათი გამომწვევი მიზეზ(ებ)ის შეფასებას • გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებელ რემედიაციის ღონისძიებებს და ასეთი ღონისძიებების დიზაინისა და დანერგვის შეფასებას • მონიტორინგისა და რემედიაციის შესახებ კომუნიკაციას • ხმს-ის შეფასების დასკვნას	მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის დოკუმენტირების მოთხოვნები განხილულია ამ ნაწილში და წარმოდგენილია დოკუმენტირების ხუთი დამხმარე საშუალება: • „ზ“ დანართი შეიძლება დაგეხმაროს ხმს-ისთვის წლიური მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის დოკუმენტირების, ასევე ხმს-ის შეფასების პროცესში. • „გ“ დანართი შეიძლება დაგეხმაროს დასრულებული გარიგებების ციკლური ინსპექტირების დოკუმენტირების პროცესში (როგორც მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის ნაწილი) • „დ“ დანართი შეიძლება დაგეხმაროს დასრულებული აუდიტის გარიგებების ინსპექტირების დოკუმენტირების პროცესში (როგორც მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის ნაწილი). • „ე“ დანართი შეიძლება დაგეხმაროს დასრულებული კომპილაციური გარიგებების ინსპექტირების დოკუმენტირების პროცესში (როგორც მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის ნაწილი). • „ვ“ დანართის გამოყენებით შეიძლება გაგიადვილდეთ მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის შესახებ ინფორმაციის მიწოდების და დოკუმენტირების პროცესი, კერძოდ, დახმარებას გაგიწევთ მონიტორინგის განმახორციელებელი პირის ანგარიშის კომპონენტების მომზადებაში.

დოკუმენტირების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, ამ ნაწილის „ი“ დანართში კიდეც ერთხელ (ამ სერიის ყველა ნაწილის ინფორმაციის შეჯამების სახით) არის განხილული დოკუმენტირებასთან დაკავშირებით ხმსს 1-ში მოცემული მოთხოვნები.

დანართი ა: შემთხვევის ანალიზი

შემთხვევის ანალიზი: გაგრძელება

შემთხვევის ანალიზი თავდაპირველად წარმოდგენილი იყო ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოში მცირე და საშუალო ფირმებისთვის (IFAC-ის აღნიშნული სახელმძღვანელოს მე-3 გამოცემა). ამ სერიაში ხელახლა განვიხილავთ მოცემული შემთხვევის ანალიზს, იმის საჩვენებლად თუ როგორ შეიძლება ხკსს 1-დან ხმსს 1-ზე გადასვლა. გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული შემთხვევის ანალიზი თავდაპირველად ხკსს 1-ის დანერგვის საილუსტრაციოდ მომზადდა, ამჯერად გადავწყვიტეთ შეგვეცვალა გარკვეული ფაქტები და გაგვეკეთებინა გარკვეული განსხვავებული დაშვებები. არ არის საჭირო მკითხველი თავდაპირველ შემთხვევას გაეცნოს, თუმცა, მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფირმამ უკვე დანერგა ხკსს 1 და ახლა ხმსს 1-ის დანერგვას გეგმავს. ამ ნაწილში, მიჩნეულია, რომ ხმსს უკვე დანერგილია და გამოგონილი ინდივიდუალური პრაქტიკოსი, მარსელი, ახლა ხმსს-ის მონიტორინგისა და რემედიაციის კომპონენტის ასრულებს.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აქ წარმოდგენილი შემთხვევის ანალიზი მხოლოდ საილუსტრაციო ხასიათისაა. მონაცემები, ანალიზი და კომენტარები არ მოიცავს ყველა იმ გარემოებასა და გასათვალისწინებელ საკითხს, რომელთან შეხებაც ფირმას კონკრეტულ სიტუაციაში მოუწევს. როგორც ყოველთვის, თქვენ უნდა მიმართოთ პროფესიულ განსჯას, თუ ამ შემთხვევის ანალიზის გამოყენებას გადაწყვეტთ.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია გამოგონილი ინდივიდუალური პრაქტიკოსის – მარსელ მუნის – შესახებ, რომელიც „მ.მ და პარტნიორების“ სახელით საქმიანობს.

მ.მ და პარტნიორები

ზოგადი

მარსელ მუნი ინდივიდუალური პრაქტიკოსია, რომელიც საქმიანობს „მ.მ და პარტნიორების“ სახელით და ჰყავს ოთხი თანამშრომელი:

- დებორა დე ალესანდრო, რომელსაც ფირმაში მუშაობის სამწლიანი გამოცდილება აქვს და იმედოვნებს, რომ მალე მიიღებს პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციას;
- ბობ მორტონი, ბუღალტერი, რომელსაც ერთწლიანი გამოცდილება აქვს და ფირმაში ოთხი თვის წინ დაიწყო მუშაობა;
- ორი სტუდენტი, რომლებიც ახლახან ჩაირიცხნენ პროფესიონალი ბუღალტრის სასწავლო პროგრამაზე და ფირმაში ახლახან დაიწყეს მუშაობა.

ფირმა ასრულებს დიდი რაოდენობით მიმოხილვის გარიგებებს (რომელთაგან ზოგიერთი ოჯახის წევრებთან და ახლო მეგობრებთანაა დაკავშირებული), რამდენიმე მცირე საწარმოს აუდიტს და სამი საშუალო ზომის საწარმოს აუდიტს. ყველაზე მნიშვნელოვანი დამკვეთები კი არიან: პენსიონერთა სახლი, ადგილობრივი სახელმწიფო უწყება და ქალაქში მოტოციკლების უმსხვილესი დილერი.

ადგილობრივი სახელმწიფო უწყება უახლოეს პერიოდში უწყების მაღალი რანგის ხელმძღვანელების მიმართ კორუფციის ბრალდების საფუძველზე საზოგადოებაში უარყოფითი რეპუტაციით სარგებლობს. მარსელი უკვე მრავალი წელია იცნობს ამ ხელმძღვანელებს და ფიქრობს, რომ ეს ბრალდებები უსაფუძვლოა. პენსიონერთა სახლს თითქმის ერთწლიანი ვადაგადაცილება აქვს გასული წლის აუდიტის საზღაურის გადახდასთან დაკავშირებით, ხოლო ფირმას უკვე მალე მოუწევს სავსე სამუშაოების დაგეგმვა.

მარსელი 48 წლისაა და ფირმა 15 წლის წინ დააარსა თანამშრომლების გარეშე. წლების განმავლობაში ფირმის დამკვეთთა ბაზა, შემოსავლები და თანამშრომელთა რაოდენობაც თანდათან გაიზარდა. მარსელი ენერგიული პიროვნებაა, რომელიც ცდილობს ოფისში მუშაობა საინტერესო გახადოს. ის შესანიშნავი მარკეტერია და ყველგან, სადაც მიდის, ფირმას აქტიურ პოპულარიზებას უწევს. მარსელი კარგ შემოსავალს იღებს და უახლოეს მომავალში კარიერის დასრულებას არ გეგმავს. ის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული და ფიქრობს, რომ ხმსს-ის დანერგვა დაეხმარება სტრუქტურირებულად და დოკუმენტურად უზრუნველყოს ფირმაში რისკების შეფასების ის პროცესი, რომელსაც აქამდე არაოფიციალურად ატარებდა.

ხკსს 1-ის დანერგვისას მარსელმა შექმნა ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო. ეს სახელმძღვანელო ეფუძნებოდა დოკუმენტს, სათაურით „ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს ნიმუში: ინდივიდუალური პრაქტიკოსი (რომელიც მოცემულია IFAC-ის ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოში მცირე და საშუალო ფირმებისთვის (მესამე გამოცემა)). თუმცა მასში მინიმალური ცვლილებები და განახლებები შევიდა, პრაქტიკაში თითქმის არ გამოიყენებოდა და სახელმძღვანელო უბრალოდ „თაროზე იყო შემოდებული“.

მარსელი აცნობიერებს, რომ მისი ვალდებულებაა ხელი შეუწყოს ფირმაში ხარისხის მართვის კულტურის დანერგვას. თუმცა, მას ამ დრომდე არ დაუწერია განვითარების ოფიციალური გეგმა. მაგალითად, მარსელი და მისი თანამშრომლები არ ჩართულან პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რეგულარულ აქტივობებში. ისინი მხოლოდ საგადასახადო კანონმდებლობის განახლებებს ეცნობოდნენ. არ დასტურდება, რომ თანამშრომლები იცნობენ IESBA კოდექსს. ასევე ეთიკის საკითხებზე ღია დისკუსია იშვიათად მიმდინარეობს. მარსელი მიიჩნევს, რომ საჭიროა ფირმისთვის მისიის განსაზღვრა. მას სურს ამ საკითხში გაითვალისწინოს თანამშრომლების მოსაზრებები, ასევე მათთან განიხილოს მათი პროფესიული მიზნები.

მარსელს გარკვეულწილად ემინია, რომ ფირმის უწყვეტი ფუნქციონირება შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს, თუ მას რაიმე შეემთხვევა, რადგან ამჟამად არავინ არის ისეთი, ვინც მის არყოფნაში ფირმის მართვის პასუხისმგებლობას აიღებს.

მარსელი ხშირად ეძებს ფირმის ეფექტურობის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. მას სჯერა, რომ ხმს-ის დანერგვა ხელს შეუწყობს ფირმის რეპუტაციის ამაღლებას მომსახურების ხარისხის თვალსაზრისით, რაც პროფესიონალ ბუღალტერთა ფირმის მარკეტინგული უპირატესობა გახდება.

დაგეგმვის პროცესი ფირმაში

მარსელი ყოველწლიური გეგმების შედგენის მიზნით წელიწადში ერთ დღეს გამოყოფს, თუმცა იგი აქამდე მხოლოდ საოპერაციო და ფინანსურ ფაქტორებზე ამახვილებდა ყურადღებას. იგი არ ეხებოდა ფირმის განვითარების სტრატეგიულ გეგმებს. მიუხედავად იმისა, რომ მარსელი ითვალისწინებდა ფირმის დამკვეთებთან დაკავშირებულ რისკებს, იგი არასოდეს ასახავდა დოკუმენტურად რისკების შეფასების პროცესს და მხოლოდ გარიგებაზე დათანხმების/გაგრძელების საკონტროლო კითხვარს იყენებდა.


როგორც აღინიშნა, დაგეგმვის პროცესი მოიცავს ერთ დღეს, როდესაც მარსელი გასულ წელს აანალიზებს და ამზადებს მარტივ ბიუჯეტს. ბიუჯეტი, როგორც წესი, გასული წლის მონაცემებს ეფუძნება და მისი კორექტირება დამკვეთთა აყვანისა და დაკარგვის შესახებ ინფორმაციის გათვალისწინებით ხდება. მასში ასევე გათვალისწინებულია კაპიტალის მოთხოვნები, თანამშრომელთა ხარჯები და საოფისე დანახარჯები. ვინაიდან ქალაქში არსებული კონკურენტი ფირმები აუდიტისა და მიმოხილვის გარიგებებს ნაკლებად ასრულებენ, მარსელი მიიჩნევს, რომ ეს არის შესაძლებლობა გაზარდოს საკუთარი ფირმის წილი მარწმუნებელი მომსახურების ბაზარზე. მარსელმა შემოსავლის სტრატეგიაზე საუბარი დეზორასთან დაიწყო, რადგან მას უფრო მეტი გამოცდილება უგროვდება და ისინი ერთად გეგმავენ თანამშრომელთა რაოდენობასა და რესურსებთან (მაგალითად, ტექნიკური აღჭურვილობის, ტექნოლოგიებისა და საოფისე ავეჯის საჭიროებებს მომდევნო წლისთვის) დაკავშირებულ საკითხებს.

ადამიანური რესურსები

დასაქმების პროცესი არაფორმალურია. როდესაც რომელიმე თანამშრომელი გააჟღერებს, რომ ფირმიდან წასვლას აპირებს, მარსელი ან ვაკანსიას აცხადებს, ან ათვალიერებს ახლახან მიღებულ რეზიუმეებს იმ კანდიდატებისგან, ვინც სამუშაოს ეძებს. პოტენციურ კანდიდატთან გასაუბრებას თავად ატარებს და შემდგომ იღებს მისი დასაქმების გადაწყვეტილებას. მარსელი ცდილობს, გადაამოწმოს კანდიდატების რეკომენდაციები და კვალიფიკაცია, მაგრამ ზოგჯერ ამას ვერ ახერხებს, რადგან დამკვეთებთან შეხვედრები და გარიგებები მის დროსა და ყურადღებას მოითხოვს. მარსელს დეზორა ეხმარება თანამშრომელთა განრიგის შედგენაში, როდესაც დროშია წინააღმდეგობა, შედარებით ნაკლებ დატვირთულ თანამშრომლებს უნაწილებს საქმეს.

ფირმას გამოწერილი აქვს სფეროსთან დაკავშირებული რესურსების ბიბლიოთეკა, მათ შორის აუდიტისა და მიმოხილვის სახელმძღვანელო, რომელიც სტანდარტული ნიმუშების მაგალითებს მოიცავს.

ფირმას აქამდე არასოდეს მიუღია საჩივრები ან ბრალდებები. დამკვეთთა უმრავლესობა კმაყოფილია ფირმის მომსახურებით.



ხმს-ზე გადასვლა - გაგრძელება

მარსელმა ხმს-ის დანერგვის ფარგლებში დაასრულა რისკის შეფასების ოფიციალური პროცესი, რითაც უზრუნველყოფს ხარისხის მუდმივად შენარჩუნებას და ფირმის რისკებზე რეაგირებას.

მარსელმა SWOT-ანალიზის (მლიერი მხარეების/სუსტი მხარეების/შესაძლებლობების/საფრთხეების ანალიზის) გამოყენებით შეაფასა ფირმის სტრატეგია. დებორა, მისი ყველაზე გამოცდილი თანამშრომელი, ჩართული იყო ფირმის ხმს-ის დანერგვის გეგმის შედგენის პროცესში და მას დაეკისრა ხმს-ზე ოპერატიული პასუხისმგებლობა.

მას შემდეგ, რაც მარსელმა და დებორამ ხარისხის რისკის შეფასება დაასრულეს, მათ გამოვლენილ ხარისხის რისკებზე საპასუხო ზომებიც დოკუმენტურად ასახეს, ასევე ხმს-ის დანერგვის დეტალების შესახებ ყველა თანამშრომელს მიაწოდეს ინფორმაცია.

მე-8 ნაბიჯი - ამ ნაწილში განვიხილავთ ერთ-ერთ შესაძლო მიდგომას, რომელიც მარსელს შეუძლია მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის შემუშავებისა და განხორციელებისას გამოიყენოს. (ეს იქნება მე-8 ეტაპის განხორციელება, ამ სერიაში წარმოდგენილი ეტაპების გამოყენებით. 1-დან 7-მდე ეტაპები განხილული იყო მე-2 ნაწილში).

ქვემოთ მოცემული განხილვა ეფუძნება „ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს ნიმუშს: ინდივიდუალური პრაქტიკოსი (რომელიც მოცემულია IFAC-ის [ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოში მცირე და საშუალო ფირმებისთვის](#) (მესამე გამოცემა)). მარსელმა შეიძლება აღმოაჩინოს, რომ ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს ზოგიერთი ნაწილი მისთვის გამოსადეგია. მონიტორინგის საკითხი განხილულია ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს ნიმუშის მე-6 ნაწილში. მონიტორინგთან დაკავშირებით მასში მოცემული ზოგიერთი პოლიტიკა/პროცედურა შეიძლება შეიცვალოს/გადაკეთდეს.

ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოში მოცემული იყო შემდეგი პოლიტიკა/პროცედურები:

ინდ. პრაქტიკოსი და მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ასევე გაითვალისწინებენ [ჩასვით შესაბამისი პროფესიული ასოციაციის ან ინსტიტუტის] მხრიდან ინსპექტირებისა და ლიცენზირების განხორციელების შედეგად მიღებულ უკუკავშირს. თუმცა, ეს ვერ ჩაანაცვლებს ინდ. პრაქტიკოსის საკუთარ მონიტორინგის სისტემას.

ინდ. პრაქტიკოსმა და თანამშრომლებმა უნდა ითანამშრომლონ მონიტორინგის განმახორციელებელ პირთან და მათ უნდა გაიაზრონ, რომ ეს პირი ხარისხის კონტროლის სისტემის აუცილებელი ნაწილია. უთანხმოება, მონიტორინგის განმახორციელებელი პირის დასკვნებთან შეუსაბამობა ან უგულვებელყოფა უნდა გადაწყდეს ინდ. პრაქტიკოსის დავების გადაწყვეტის პროცესის მეშვეობით.

სათანადო კვალიფიციის მქონე გარე პირ(ებ)ი, რომლებიც მიმოხილვას ატარებენ, უნდა გაჰყვნენ ინდ. პრაქტიკოსის მიერ დადგენილ მონიტორინგის პროცედურებს. (ინდ. პრაქტიკოსი = ინდივიდუალური პრაქტიკოსი)

დებორასთან განხილვისას, მარსელმა გადახედა და მცირედით შეასწორა არსებული პოლიტიკა, ახალი ხმს-თვის პოლიტიკის დოკუმენტაციის შექმნის პროცესში:

მარსელ მუნი ასევე გაითვალისწინებს [ჩასვით შესაბამისი პროფესიული ასოციაციის ან ინსტიტუტის] მხრიდან ინსპექტირებისა და ლიცენზირების განხორციელების შედეგად მიღებულ უკუკავშირს. თუმცა, ეს ვერ ჩაანაცვლებს ფირმის მიერ საკუთარი დასრულებული გარიგებების მონიტორინგის ჩატარების სისტემას.

მარსელმა და ყველა თანამშრომელმა უნდა ითანამშრომლონ დასრულებული გარიგების მონიტორინგის განმახორციელებელ პირთან. მათ უნდა გაიაზრონ, რომ ეს პირი ხმს-ის აუცილებელი ნაწილია. უთანხმოება, დასრულებული გარიგების მონიტორინგის განმახორციელებელი პირის დასკვნებთან შეუსაბამობა ან უგულვებელყოფა დავების გადაწყვეტის პროცესის მეშვეობით გადაწყდება.

სათანადო კვალიფიციის მქონე გარე პირ(ებ)მა, რომლებიც დასრულებული გარიგების მონიტორინგს ატარებენ მონიტორინგისთვის დადგენილი პროცედურები უნდა შეასრულონ.

ეს მნიშვნელოვანი ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორ შეიძლება გარკვეული ეფექტურობის უზრუნველყოფა ხარისხის კონტროლის არსებული სახელმძღვანელოს გამოყენებით. თუმცა, მარსელმა და დებორამ შენიშნეს, რომ ეს მხოლოდ პროცესის დასაწყისი იყო და ეს პოლიტიკა საკმარისი არ იქნებოდა მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესთან დაკავშირებით ხმსს 1-ის უფრო მკაფიო და მკაცრი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მიზანშეწონილი იქნებოდა მონიტორინგისა და რემედიაციის კომპონენტი ამ სერიაში მოცემული რესურსების გამოყენებით შეემუშავებინათ. (იხილეთ „თ“ დანართი). ახალი ხმს-ის მონიტორინგისა და რემედიაციის კომპონენტის შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ თავად ხმს-ის მონიტორინგის, ნაკლოვანებების რემედიაციის გეგმისა და კომუნიკაციის გარეშე, გაუმჯობესებული ხმს-ისგან ფირმა სარგებელს ვერ მიიღებდა. საბოლოო ჯამში, ამის გარეშე ხარისხის მართვა შეუძლებელი იქნებოდა.

მარსელის ერთ-ერთი ადრეული გადაწყვეტილება იყო იმ პირის მოძიება, რომელსაც შეეძლო დასრულებული გარიგების მონიტორინგის განმახორციელებელი პირის როლი შეესრულებინა ახალ ხმს-ში. მარსელი შეხვდა ჰარპერ სიტსონს, სერტიფიცირებულ საჯარო ბუღალტერს, რომელთანაც მარსელი მრავალი წლის წინ მუშაობდა. მათ ხმსს 1-ის დანერგვის საკითხი განიხილეს. ჰარპერი ასეთ მომსახურებას სხვა ინდივიდუალურ პრაქტიკოსებს უწევდა და, ასევე ჩართული იყო სტანდარტების დანერგვის პროცესშიც.

მონიტორინგი და რემედიაცია

ნაწილი 1: მონიტორინგის ღონისძიებების შემუშავება და გატარება

მარსელმა უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს მონიტორინგის ისეთი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ნაკლოვანებების გამოვლენას. მონიტორინგის ღონისძიებებმა უნდა მოიცვას შემდეგი:

- **უწყვეტი მონიტორინგი** და კომუნიკაცია მარსელის და დებორასა და ყველა თანამშრომლის მხრიდან, რომელიც ინტეგრირებული იქნება ფირმის პროცესებში და შესრულდება რეალური დროის რეჟიმში. ეს საშუალებას მისცემს მარსელს და დებორას, მოახდინონ პოლიტიკისა/პროცედურების ადაპტირება, ასევე დროულად მოაგვარონ საქმიანობის შესრულების საკითხები და ასახონ ნებისმიერი ცვლილება, საჭიროებისამებრ. ეს შეიძლება მოიცავდეს პოლიტიკისა და პროცედურების დაცვასთან დაკავშირებით დაკვირვებასა და დოკუმენტირებას. მარსელმა მუდმივად უნდა გამართოს განხილვები და გაუზიაროს გამოვლენილი ფაქტები თანამშრომლებს.
- **პერიოდული მონიტორინგი** მარსელის და დებორას მიერ, რომელიც სრულდება დაკვირვების, შეხვედრებისა და ანგარიშების მიმოხილვის გზით. მაგალითად:
 - ყოველწლიურად (ან კვარტალურად/თვიურად) უნდა მოხდეს დამოუკიდებლობის საკითხებთან შესაბამისობის მიმოხილვა, რომელსაც დებორა გააკეთებს.
 - ყოველწლიურად უნდა შემოწმდეს ტრენინგის ჩანაწერები, რათა დადგინდეს, დაასრულა თუ არა ყველა თანამშრომელმა, მათ შორის მარსელმა, შესაბამისი ტრენინგი ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტები, ქცევის კოდექსი და ა.შ.

- დასრულებული გარიგებების ინსპექტირება – შეთანხმება ბატონ სიტსონთან დასრულებული გარიგებების ინსპექტირების ჩასატარებლად, ისე, რომ დასრულებული გარიგება შემოწმდეს მინიმუმ ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მაინც.
- ხმს-ის **ყოველწლიური შეფასება**, რომელიც უწყვეტ და პერიოდულ მონიტორინგს ეფუძნება, უნდა შეასრულოს მარსელმა, ვინაიდან მას აკისრია ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება. ასეთი ყოველწლიური შეფასებისას მარსელმა უნდა განიხილოს ყველა ნაკლოვანება, რომელიც უწყვეტი (და პერიოდული) მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, და განიხილოს რემედიაციის განხორციელებული ღონისძიებები. მარსელმა უნდა შეაფასოს დებორას საქმიანობაც, რომელსაც ხმს-ზე ოპერატიული პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება აკისრია. ბატონმა სიტსონმა კი მარსელის საქმიანობა უნდა შეაფასოს. ყოველწლიური შეფასების დოკუმენტაციას შეიძლება ჰქონდეს მემორანდუმის სახე, ან შეიძლება დოკუმენტურად აისახოს „ბ“ დანართში მოცემული ცხრილის შევსების და დოკუმენტირების ამ დახმარე საშუალების „ე“ ნაწილში წარმოდგენილ ინფორმაციაზე ხელმოწერის გზით.

ქვემოთ მოცემულია ხმს-ის მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესთან დაკავშირებული როლების შესახებ შემაჯამებელი ინფორმაცია:

მ.მ და პარტნიორები: ხმს-ზე პასუხისმგებლობა	პირ(ებ)ის სახელები, თუ ეს შესაფერისია
პირ(ებ)ი, რომლებსაც ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ეკისრებათ	<i>მარსელ მუნი</i>
პირ(ებ)ი, რომლებსაც ხმს-ზე ოპერატიული პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ეკისრებათ	<i>დებორა დე ალსესანდრო</i>
პირ(ებ)ი, რომლებსაც მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესზე ოპერატიული პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ეკისრებათ	<i>მარსელ მუნი</i>
პირ(ებ)ი, რომლებსაც მონიტორინგზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ – ხმს-ის წლიური მონიტორინგი "წლიური/უწყვეტი მონიტორინგის განმახორციელებელი პირი"	<i>მარსელ მუნი ჰარპერ სიტსონთან ერთად</i>
პირ(ებ)ი, რომლებსაც მონიტორინგის პასუხისმგებლობა ეკისრებათ – დასრულებული გარიგებების ციკლური მონიტორინგი/ინსპექტირება "დასრულებული გარიგებების მონიტორინგის განმახორციელებელი პირი"	<i>ჰარპერ სიტსონი</i>
პირი, რომელიც ატარებს საქმიანობის შედეგების წლიურ შეფასებას	<i>მარსელ მუნი ჰარპერ სიტსონთან ერთად</i>

(ფორმატი მიჰყვება „ბ“ დანართის პირველ ნაწილს, დოკუმენტირების დამხმარე საშუალება)

ნაწილი 2: აღმოჩენილი ფაქტების შეფასება, ნაკლოვანებების გამოვლენა და გამოვლენილი ნაკლოვანებების შეფასება

იმის გათვალისწინებით, რომ ეს ხმს-ის დანერგვის შემდგომი პირველი წელია, რაც ზემოთ ჩამოთვლილი პასუხისმგებლობები განაწილდა, ჰარპერ სიტსონს, ფირმის ციკლური მონიტორინგის პოლიტიკიდან გამომდინარე, ამ წელს არცერთი ფაილი არ შეუმოწმებია. თუმცა, ჰარპერი დაეხმარა მარსელს წლიური მონიტორინგისა და საქმიანობის შედეგების შეფასების პროცესში.

ჰარპერმა დაასრულა ხმს-ის დოკუმენტაციის მიმოხილვა და დაადგინა, რომ ფირმაში არსებობს ხარისხის რისკის შეფასების, საპასუხო ზომებისა და მონიტორინგის ღონისძიებების დიზაინის ადეკვატური დოკუმენტაცია. წლის განმავლობაში ხმს-ში ცვლილებები არ შესულა.

ამონარიდები ჰარპერის ანგარიშიდან:

	აღმოჩენილი ფაქტი	შეფასება და მარსელის ინფორმირება
1	არ მოიპოვება დოკუმენტაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმოიხილეს მარსელმა და დებორამ პროფესიულ სახელმძღვანელო მითითებებში შესული ცვლილებები. ეს შეიძლება მიუთითებდეს ხმს-ის გადახედვის ან განახლების აუცილებლობაზე.	გარე ფაქტორების, მაგალითად, პროფესიული სტანდარტების ცვლილებების, განხილვა მნიშვნელოვანია და ეს დოკუმენტურად უნდა აისახოს. დისკუსიის შედეგად გამოვლინდა, რომ დებორა მარსელს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას ყველა განახლების შესახებ, ასევე განიხილება ხმს-ის შედეგები. გარდა ამისა, რადგან ეს დანერგვის პირველი წელია, ხმს-ში მნიშვნელოვანი განახლების გამოტოვების შანსი, პროფესიული სტანდარტების ცვლილებების გამო, დაბალია. შეფასება: აღმოჩენილი ფაქტი ნაკლოვანებად არ ითვლება.
2	ფირმას აქვს ხარისხის რისკი იმისა, რომ მარსელი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს საკმარისი მიმართულების მიცემას, ზედამხედველობასა და მიმოხილვას. ხარისხის ამ რისკის საპასუხო ზომა იყო სახელმძღვანელო მითითების შემუშავება, რომლის მიხედვითაც მარსელის დრო უნდა შეადგენდეს მთლიანი საათების 15%-დან 20%-მდე, უმეტეს გარიგებებში, წარსული გამოცდილების საფუძველზე. შიდა ანგარიშში, რომელშიც მოცემული იყო თანამშრომელის მიერ ერთ გარიგებაზე დახარჯული დროის შეჯამება, აღნიშნული იყო, რომ ადგილი ჰქონდა ორ შემთხვევას, როდესაც ზედამხედველობის დრო ამ ზღვრის ქვემოთ იყო და შეუსაბამოა არ გამოკვლეულა.	გამოვლენილი ხარისხის რისკის სამართავად მარსელის მიერ მიმართულების მიცემა და ზედამხედველობა მნიშვნელოვანია. პროფესიული განსჯის საფუძველზე, მაშინ, როდესაც სხვა ახსნა-განმარტება ან დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი, ასევე ქვემოთ მოცემული ანალიზის საფუძველზე, და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკიდან გადახრა არ იყო გამოკვლეული, ეს აღმოჩენილი ფაქტი ნაკლოვანებად მიიჩნევა. აქედან გამომდინარე, მარსელს რეგულაციის ღონისძიების დაგეგმვა მოეთხოვება.
3	ფირმა ატარებს მიმოხილვის გარიგებებს მარსელის ოჯახის წევრებისა და ახლო მეგობრებისთვის, რაც IESBA კოდექსის დამოუკიდებლობის მოთხოვნებს არღვევს.	დარღვევა ნაკლოვანებად ითვლება, რადგან გონიერმა და ინფორმირებულმა მესამე მხარემ შეიძლება დაასკვნას, რომ ოჯახის წევრებისა და ახლო მეგობრებისთვის მიმოხილვის გარიგებების შესრულების გამო მარსელის პატიოსნება, ობიექტურობა ან პროფესიული სკეპტიციზმი კომპრომეტირებულია. ინდივიდუალური პრაქტიკოსის შემთხვევაში არ არსებობს პოტენციური დამცავი ზომა, რომელიც სათანადო რეაგირებას მოახდენდა ასეთ საფრთხეებზე. ამიტომ, რეგულაციის ღონისძიების სახით, მარსელი უნდა გამოვიდეს აღნიშნული მიმდინარე მიმოხილვის გარიგებებიდან და დამკვეთებთან ურთიერთობაზე და კონკრეტულ გარიგებებზე დათანხმებასა და მათ გაგრძელებასთან დაკავშირებით ახალი პოლიტიკა და პროცედურები უნდა დააწესოს.

...გაგრძელება (სხვა აღმოჩენილი ფაქტები შეჯამებულია)

ნაწილი 3: გამოვლენილ ნაკლოვანებებზე რეაგირება

მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ავლენს ნაკლოვანებებს და შემდეგ აფასებს მათ. გარიგების ფაილების ციკლური მონიტორინგის წელს, მიუთითებს დოკუმენტაციაზე (როგორიცაა ამ ნაწილის „გ“ დანართი), ან აქ აჯამებს ნაკლოვანებებს.



ნაკლოვანების აღწერა	გამომწვევი მიზეზის ანალიზი დასრულებულია (იხილეთ „გ“ ნაწილი ქვემოთ) (დიახ/არა)	მნიშვნელოვანი? (დიახ/არა)	ყოვლისმომცველი? (დიახ/არა)	რემედიაციის ღონისძიებების აღწერა, კომენტარი გამომწვევი მიზეზის ანალიზის ეფექტიანობის შესახებ და რემედიაციის ღონისძიების ძალაში შესვლის თარიღი	აღწერეთ ნებისმიერი შემდგომი ქმედება
გარიგების პარტნიორის დრო, რომელიც პოლიტიკით არ იყო გათვალისწინებული, არ იყო მოკვლეული ან დოკუმენტირებული.	დიახ	არა	არა	დებოდა გადახედვას ანგარიშს მარსელის მიერ ყოველთვიურად დახარჯული დროის შესახებ და მარსელთან ერთად ამ საკითხს რეგულარულად განიხილავს.	დოკუმენტაციის საბოლოოს მომზადება და 3 თვის განმავლობაში მისი შესრულების გადამოწმება.
(სხვა ნაკლოვანებები დაემატება საჭიროებისამებრ)					

(ეფუძნება „გ“ დანართის მე-2 ნაწილს, პრაქტიკაში დამხმარე საშუალება)

ნაწილი 4: კომუნიკაცია

მარსელი (პირი, რომელსაც ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ეკისრება) და დებოდა (პირი, რომელსაც ხმს-ზე ოპერატიული პასუხისმგებლობა ეკისრება) მისტერ სიტსონის მიერ მომზადებულ მონიტორინგის ანგარიშს დროულად განიხილავენ იმ მიზნით, რომ გაატარონ რემედიაციის ღონისძიებები და გაუწიონ შემდგომი მონიტორინგი.

მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის დასასრულს, რემედიაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი შესაბამისი პუნქტის შესახებ ინფორმაცია, ანგარიშის სახით, საჭიროებისამებრ, ყველა თანამშრომელს მიეწოდება.

(კომუნიკაციასთან დაკავშირებით, იხილეთ „ვ“ დანართში მოცემული მონიტორინგის ანგარიშის მაგალითი)

დანართი ბ:
დოკუმენტირების
დამხმარე საშუალება -
წლიური მონიტორინგი
და რემედიაცია და ხმს-
ის შეფასება

მიზანი: დოკუმენტირების ამ დამხმარე საშუალების მიზანია ხელი შეუწყოს შემდეგი პროცესის დოკუმენტირებას:

(ა) მონიტორინგისა და რემედიაციის ღონისძიებების შესრულება, და
(ბ) ხმს-ის შეფასება

მონაწილე პირ(ებ)ის სია:

მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესთან დაკავშირებით ხმსს 1-ის მოთხოვნები ზოგჯერ პირზე ან "ფირმაზე" მიმართული. "ფირმას" არ შეუძლია ქმედებების განხორციელება, ამას შესაბამისი პირები/ადამიანები აკეთებენ. თუმცა, როდესაც სტანდარტებში სურთ განსაზღვრონ "ვინ" უნდა შეასრულოს გარკვეული ქმედება, სტანდარტები კონკრეტული პირების პასუხისმგებლობას ეხება. თუ ხმსს 1 არ ცდილობს კონკრეტული პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას, მასში გამოყენებულია ტერმინი "ფირმა".

გახსოვდეთ: "ფირმა" მოიცავს ინდივიდუალურ პრაქტიკოსს:

ხმსს 1-ის 16(ი) პუნქტში მოცემულია შემდეგი განმარტება:

(ი) ფირმა - ინდივიდუალური პრაქტიკოსი პროფესიონალი ბუღალტერი, პროფესიონალ ბუღალტერთა ამხანაგობა ან კორპორაცია, ან პროფესიონალ ბუღალტერთა სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სუბიექტი, ანდა სახელმწიფო სექტორის ანალოგიური სტრუქტურული ერთეული.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მკაფიოდ განსაზღვროთ შესაბამისი პირების როლები და პასუხისმგებლობები, თუ ისინი გამოყოფილი/დელეგირებული გაქვთ. შემდეგი ჩამონათვალი ამაში დაგეხმარებათ:

	პირ(ებ)ის სახელები, თუ ეს შესაფერისია
პირ(ებ)ი, რომლებსაც ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ეკისრებათ	
პირ(ებ)ი, რომლებსაც ხმს-ზე ოპერატიული პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ეკისრებათ	
პირ(ებ)ი, რომლებსაც მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესზე ოპერატიული პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ეკისრებათ	
პირ(ებ)ი, რომლებსაც მონიტორინგზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ – ხმს-ის წლიური მონიტორინგი "წლიური/უწყვეტი მონიტორინგის განმახორციელებელი პირი"	
პირ(ებ)ი, რომლებსაც მონიტორინგის პასუხისმგებლობა ეკისრებათ – დასრულებული გარიგების ციკლური მონიტორინგი/ინსპექტირება "დასრულებული გარიგების მონიტორინგის განმახორციელებელი პირი"	
პირი, რომელიც ატარებს საქმიანობის შედეგების წლიურ შეფასებას	

ამ მიზნების მისაღწევად, დოკუმენტირების ეს დამხმარე საშუალება შვიდ (7) ნაწილად არის დაყოფილი:

ნაწილი ა: ხმს-ის წლიური მონიტორინგი (სრულდება წლიური/უწყვეტი მონიტორინგის განმახორციელებელი პირის მიერ)

ნაწილი ბ: ნაკლოვანებების შეჯამება (სრულდება წლიური/უწყვეტი მონიტორინგის განმახორციელებელი პირის მიერ, ასევე დასრულებული გარიგების მონიტორინგის განმახორციელებელი პირ(ებ)ის მიერ ციკლური მონიტორინგის წელს)

ნაწილი გ: გამომწვევი მიზეზების ანალიზი

ნაწილი დ: ნაკლოვანებებზე რეაგირება (სრულდება წლიური/უწყვეტი მონიტორინგის განმახორციელებელი პირის მიერ, ასევე დასრულებული გარიგების მონიტორინგის განმახორციელებელი პირ(ებ)ის მიერ ციკლური მონიტორინგის წელს, ხმს-ზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან ან/და ხმს-ის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან ერთად)

ნაწილი ე: ხმს-ის შეფასება (სრულდება იმ პირ(ებ)ის მიერ, რომლებსაც ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ეკისრებათ)

ნაწილი ვ: საქმიანობის შედეგების შეფასება (სრულდება ობიექტური პირის მიერ, რომელიც შეიძლება იყოს დასრულებული გარიგების მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ან სხვა პირი).

ნაწილი ზ: კომუნიკაცია

ნაწილი ა - ხმს-ის წლიური მონიტორინგი

უნდა შესრულდეს წლიური/უწყვეტი მონიტორინგის განმახორციელებელი პირის მიერ (შიდა პირი ან მომსახურები პროვაიდერი).

მონიტორინგი შეიძლება იყოს უწყვეტი ან პერიოდული.

შესრულდა თუ არა წლიური ან უწყვეტი მონიტორინგის რომელიმე ნაწილი ფირმის მიღმა მყოფი სხვა მხარის მიერ?	დიახ ☐ არა ☐
თუ დიახ, მიუთითეთ გარიგების წერილზე.	

მონიტორინგის დასრულების თარიღ(ებ)ი: _____

მონიტორინგის განმახორციელებელი პირის სახელი: _____

მოკლედ აღწერეთ მონიტორინგის განმახორციელებელი პირის კვალიფიკაცია:
<i>[აღწერამ უნდა აჩვენოს, რომ პირს მონიტორინგის ღონისძიებების ეფექტურად შესასრულებლად აქვს სათანადო კომპეტენცია და შესაძლებლობები, მათ შორის საკმარისი დრო.]</i>

ხარისხის მართვის მთლიანი სისტემის
წლიური მონიტორინგი

ქვემოთ მოცემული კითხვები დაგეხმარებათ მონიტორინგის ღონისძიებების დოკუმენტირებაში. თუმცა, შესაძლოა უფრო სასარგებლო იყოს დოკუმენტირების ამ დამხმარე საშუალებასთან ერთად გამოიყენოთ მემორანდუმი, რომელიც ეხება (ან უთითებს) იმ ღონისძიებებს ან კონკრეტულ პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებიც მიმოხილვას ექვემდებარებიან. ამ მიზნით შეგიძლიათ "კომენტარების/დოკუმენტაციის" სვეტი გამოიყენოთ. მაგალითად, თქვენი ყოველწლიური მონიტორინგის ფარგლებში, შეგიძლიათ აირჩიოთ ადამიანური რესურსების ჩანაწერების ნიმუში, რათა შეაფასოთ რამდენად დაკმაყოფილდა საჭირო პროფესიული განვითარების მოთვვნა. ამის დეტალური აღწერა შეიძლება დოკუმენტურად აისახოს მემორანდუმში ან ნაკლებად რთული ფორმებისთვის, დაემატოს კომენტარი.

	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
1. მოიპოვეთ და ასახეთ თუ არა დოკუმენტურად მტკიცებულებები, რათა როგორც მონიტორინგის განმახორციელებელ პირს:				
• არ გაქვთ ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც მონიტორინგს უკავშირდება, • არ გეზღუდებათ მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელების მასშტაბი, • გაქვთ შესაბამისი უფლებამოსილება და კომუნიკაციაზე წვდომა ფირმაში.				
2. გაითვალისწინეთ თუ არა პროფესიაში და ავტორიტეტულ პროფესიულ სახელმძღვანელო მითითებებში შესული ისეთი ცვლილებები, რამაც შეიძლება საჭირო გახადოს ხმს-ის გადახედვა ან განახლება?				
3. დადგენილია თუ არა შესაბამისი ხარისხის მიზნები, გამოვლინდა და შეფასდა თუ არა ხარისხის რისკები და შემუშავებულია და დანერგილია თუ არა საპასუხო ზომები ხმსს 1-ის შესაბამისად? მოხდა თუ არა მათი მიმოხილვა და შესწორება (საჭიროების შემთხვევაში) მიმდინარე წელს?				
4. აჩვენა თუ არა ხარისხის მიზნების ან რისკების მიმოხილვამ, რომ გამოტოვებულია ხარისხის ისეთი შესაბამისი მიზნები ან რისკები, რომლებიც ფირმისა და შესრულებული გარიგებების ხასიათსა და გარემოებებს ეხება?				
5. გაქვთ თუ არა წვდომა (მიმოხილვის მიზნით) ხმს-ის საკმარის დოკუმენტაციაზე, რაც ხმს-ის შესახებ სრულყოფილ ცოდნას და წარმოდგენას შეგიქმნით? მათ შორის, შემდეგი ინფორმაციის ამსახველ დოკუმენტაციაზე:				
• პირი, რომელსაც ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობა, ანგარიშვალდებულება და ოპერატიული პასუხისმგებლობა ეკისრება. • ხარისხის მიზნები და ხარისხის რისკები თითოეული კომპონენტისთვის. • გამოვლენილი ხარისხის რისკების მიმართ არსებული საპასუხო ზომები (პოლიტიკა/პროცედურები). • მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი, მათ შორის მონიტორინგის ჩატარებული ღონისძიებების მტკიცებულება, აღმოჩენილი ფაქტების შეფასება, გამოვლენილი ნაკლოვანებები და მათი გამომწვევი მიზეზ(ებ)ი, ასევე რემედიაციის ღონისძიებები და კომუნიკაცია მონიტორინგისა და რემედიაციის შესახებ. • ხმს-ის დოკუმენტაციის შენახვის პერიოდი.				



	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
6. თქვენი მონიტორინგის ღონისძიებების ხასიათში, ვადებსა და მასშტაბში გათვალისწინებულია თუ არა შემდეგი: (ა) ხარისხის რისკებზე მინიჭებული შეფასებების მიზეზები; (ბ) საპასუხო ზომების დიზაინი; (გ) ფირმის ხარისხის მართვის სისტემის შეფასებისა და მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის დიზაინი; (დ) ხარისხის მართვის სისტემის ცვლილებები; (ე) ადრინდელი მონიტორინგის ღონისძიებების შედეგები, კვლავ შესაფერისია თუ არა ადრინდელი მონიტორინგის ღონისძიებები ფირმის ხარისხის მართვის სისტემის შესაფასებლად და იყო თუ არა ეფექტური ადრე გამოვლენილი ნაკლოვანებების მიმართ გატარებული რემედიაციის ღონისძიებები; და (ვ) სხვა შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის საჩივრები და ბრალდებები იმის თაობაზე, რომ სამუშაო არ შესრულდა პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად ან ფირმის მიერ ხმს 1-ის შესაბამისად დადგენილი პოლიტიკის ან პროცედურების შეუსრულებლობა, ასევე გარე ინსპექტირებისა და მომსახურების პროვაიდერებისგან მიღებული ინფორმაცია.				
7. სათანადოდაა თუ არა გათვალისწინებული ხმს-ში თანამშრომლებისა და პარტნიორების ხელმისაწვდომობა და კომპეტენცია, მაგალითად, არსებობს თუ არა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკა ან პროცედურები: • გარიგების პარტნიორებისა და სხვა უფროსი პერსონალის მიერ დახარჯული საათების რაოდენობის ინსპექტირება და ასეთი საათების საკმარისობის შეფასება. • უწყვეტი პროფესიული განვითარების მოთხოვნების დაცვა. • სავალდებულო ტრენინგზე დასწრების ჩანაწერების შემოწმება. • შეფასებების შედეგები. • გარე რესურსების ან კონტრაქტორების გამოყენება გუნდებში.				
8. მოიცავს თუ არა ხმს ისეთი ნაბიჯებს, რომელიც უზრუნველყოფს: • სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც მთელი პერსონალის (რომლებსაც დამოუკიდებლობა მოეთხოვებათ) მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას. • ნებისმიერი შესაბამისი ინტერესისა და ურთიერთობის შესახებ ინფორმაციის დეკლარირებას. • ნებისმიერი წარმოქმნილი რისკის გასაწესებლად შესაფერისი ზომების მიღებას იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემური საკითხი.				

	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
9. არის თუ არა გათვალისწინებული ხმს-ში ისეთი პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფს ნებისმიერი ისეთი დისციპლინური საკითხის მოკვლევასა და გადაჭრას, რომელიც დაკავშირებულია თანამშრომლებთან და ნებისმიერ საჩივართან და ბრალდებასთან, რომელიც პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების (მათ შორის დამკვეთების მოთხოვნების) შესაბამისად სამუშაოს შეუსრულებლობას ეხება. თუ რაიმე მსგავსი პრობლემური საკითხი გამოვლინდა, მიღებულ იქნა თუ არა ზომები მათ გამოსაკვლევად და მსგავსი მომავალი რისკების სამართავად.				
10. მოიცავს თუ არა ხმს დასრულებული გარიგებების ციკლურ ინსპექტირებასთან დაკავშირებულ პოლიტიკას? მიუთითეთ პოლიტიკასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე ან ეს პოლიტიკა მოკლედ შეაჯამეთ აქ:				
11. აღწერეთ ციკლური მონიტორინგის განრიგი (ან მიუთითეთ შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტაციაზე). თუ ციკლური მონიტორინგი ამ წელს დასრულდა, გეგმაში გაითვალისწინებთ „გ“ დანართის შესრულება.				
12. მოხდა თუ არა მონიტორინგის რომელიმე ღონისძიების დელეგირება? თუ ასეა, გადანაწილდა თუ არა დელეგირებული ღონისძიებები სათანადო კომპეტენციისა და შესაძლებლობების მქონე პირებზე. <i>[პირის კომპეტენცია, რომელსაც ეკისრება წლიური და დასრულებული ფაილების ინსპექტირების პასუხისმგებლობა, შეიძლება განსხვავდებოდეს და ამის დოკუმენტირებაც უფრო დეტალურად უნდა მოხდეს, რამდენადაც ეს შესაფერისია და მიეთითოს აქ]</i>				
13. ყველა პირ(ებ)ი, რომელსაც მონიტორინგის ღონისძიების განხორციელება დაევალა, ობიექტურია?				
14. პირ(ებ)ს, რომელსაც მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელება დაევალა, აქვს თუ არა საკმარისი დრო დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. შეხსენება: ფირმის პოლიტიკით გარიგების გუნდის წევრებს ან გარიგების ხარისხის მიმოხილველს, თუ ეს შესაფერისია, უნდა ეკრძალებოდეთ საკუთარი დასრულებული გარიგებების ინსპექტირება.				

	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
15. მრავალპარტნიორიანი ფირმებისთვის, ჩატარდა თუ არა ინტერვიუები იმ პარტნიორებთან, რომლებიც ხმს-ის სხვადასხვა ასპექტზე არიან პასუხისმგებელნი. ინტერვიუებში გამოსაყენებელი კითხვების მაგალითებია: ა) მოხდა თუ არა რაიმე ისეთი ცვლილება თქვენს პასუხისმგებლობის კომპონენტ(ებ)ში/სფერო(ებ)ში, რომელიც ხმს-ის ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ცვლილებას მოითხოვს? ბ) გაქვთ თუ არა ინფორმაცია რაიმე ისეთი ცვლილების შესახებ, რომელიც მომდევნო წლის განმავლობაში შეიძლება მოხდეს და რომელიც ახლავე უნდა გავითვალისწინოთ? გ) გაქვთ თუ არა ინფორმაცია რაიმე ისეთი მნიშვნელოვანი დარღვევის ან სხვა მოვლენის შესახებ, რომელიც თქვენი პასუხისმგებლობის კომპონენტ(ებ)ში/სფერო(ებ)ში ხდება და რომელიც ხმს-ის ნაკლოვანებაზე მიუთითებს? დ) გაქვთ თუ არა ინფორმაცია რომელიმე ისეთი პარტნიორის ან თანამშრომლის შესახებ, რომელსაც ფირმის პოლიტიკის/პროცედურების დაცვის მიმართულებით კითხვის ნიშნები უჩნდება (ყოყმანობს)? შენიშვნა: ეს შეკითხვა არ ეხება ინდივიდუალურ პრაქტიკოსს.				
16. გათვალისწინებულია თუ არა თქვენი მონიტორინგის ღონისძიებებში ფირმის პოლიტიკის/პროცედურების დიზაინის, დანერგვისა და ფუნქციონირების საკითხები და ხმს-ის საერთო ეფექტიანობა. ამ საკითხის განხილვისას უნდა გაითვალისწინოთ შემდეგ ფაქტორებთან (და არა მხოლოდ) დაკავშირებული პოლიტიკა და პროცედურები: • სათანადო ეთიკური მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებული საფრთხეების გამოვლენა, შეფასება და მათზე რეაგირება • სათანადო ეთიკური მოთხოვნების დარღვევების გამოვლენა, მათზე ინფორმაციის მიწოდება, შეფასება და მათ შესახებ ანგარიშის მომზადება, ასევე მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების სათანადოდ და დროულად განხილვა • დამკვეთთან გარიგებებზე დათანხმება და მათი გაგრძელება • შემდგომი ინფორმაცია, რომელიც გავლენას მოახდენს დამკვეთთან გარიგებაზე დათანხმების შესაძლებლობაზე • მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან და სხვებთან კომუნიკაცია • გარკვეული გარიგებებისთვის გარიგების ხარისხის მიმოხილვის საჭიროება (მაგ. როდესაც ეს კანონით ან რეგულაციებით მოითხოვება)				
17. შეაფასა თუ არა ფირმამ აღმოჩენილი ფაქტები, რათა დაედგინა, არსებობს თუ არა ნაკლოვანებები. თუ ასეა, შეაფასა თუ არა გამოვლენილი ნაკლოვანებების სერიოზულობა და ყოვლისმომცველობა გამომწვევი მიზეზ(ებ)ის გამოკვლევის და ამ ნაკლოვანებების ხმს-ზე ინდივიდუალური ან აგრეგირებული გავლენის შეფასების გზით? [ქვემოთ წარმოდგენილი „ბ“ ნაწილი]				
18. გამოვლენილ ნაკლოვანებებზე რეაგირების მიზნით შეიმუშავა და დანერგა თუ არა ფირმამ რემედიაციის ეფექტური ღონისძიებები (მათ შორის გამოვლენილი ნაკლოვანებების გამომწვევ მიზეზების გათვალისწინებით). [ქვემოთ წარმოდგენილი „დ“ ნაწილი]				

ნაწილი ბ – ნაკლოვანებების
შეჯამება და შეფასება


მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა დაამატოს გამოვლენილი ნაკლოვანებები და შემდეგ შეაფასოს ისინი. გარიგების ფაილების ციკლური მონიტორინგის წლის შემთხვევაში, იხილეთ „გ“ დანართი, ან აქ წარმოადგინეთ ნაკლოვანებები.



ნაკლოვანების აღწერა	გამომწვევი მიზეზის ანალიზი დასრულებულია (იხილეთ „გ“ ნაწილი ქვემოთ) (დიახ/არა)	სერიოზული? (დიახ/არა)	ყოვლისმომცველი? (დიახ/არა)	რემედიაციის ლონისძიებების აღწერა, კომენტარი გამომწვევი მიზეზის ანალიზის ეფექტიანობის შესახებ და რემედიაციის დინისძიების ძალაში შესვლის თარიღი	აღწერეთ ნებისმიერი შემდგომი ქმედება
#1					
#2					

(საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ დამატებითი დოკუმენტი)

ნაწილი გ - გამომწვევი მიზეზების ანალიზი




	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
1. განისაზღვრა თუ არა ყველა მნიშვნელოვანი ნაკლოვანების გამომწვევი ძირეული მიზეზები?				

განახორციელეთ მონიტორინგი ნაკლოვანების შესაფასებლად. ამისათვის გააანალიზეთ გამომწვევი მიზეზები. ქვემოთ ასახეთ დოკუმენტურად გამომწვევი მიზეზების ანალიზი, ან, თუ ეს შესაფერისია, მიუთითეთ სხვა დოკუმენტაციაზე.

გამომწვევი მიზეზის ანალიზი: ზემოთ გამოვლენილი თითოეული მნიშვნელოვანი ნაკლოვანებისთვის, გააანალიზეთ და ასახეთ დოკუმენტურად:

აღწერეთ ნაკლოვანება	გამოავლინეთ რამ გამოიწვია ნაკლოვანება (სცადეთ დაადგინოთ 5 "რატომ" შეკითხვების/დისკუსიების/რეფლექსიის (თვითანალიზის) გზით) და გააკეთეთ საბოლოო შეფასება მისი სერიოზულობისა და ყოვლისმომცველობის შესახებ
ნაკლოვანება #1:	ანალიზი: დასკვნა:

ნაწილი დ - გამოვლენილ
ნაკლოვანებებზე რეაგირება



	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
1. შეიმუშავა და განხორციელა თუ არა ფირმამ რემედიაციის ღონისძიებები, რომლებიც გამოვლენილი ნაკლოვანებების გამომწვევ მიზეზს პასუხობს? შენიშვნა: რემედიაციის ღონისძიებების დოკუმენტირება უნდა მოხდეს ზემოთ, „ბ“ ნაწილის მიხედვით ან/და მითითება უნდა გაკეთდეს ცალკე დოკუმენტზე, თუ ეს შესაფერისია.				
შემდეგ კითხვასთან დაკავშირებით შეფასება უნდა გააკეთოს იმ პირ(ებ)მა, რომელსაც მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესზე ოპერატიული პასუხისმგებლობა ეკისრება.				
2. რემედიაციის ღონისძიებები • სათანადოდაა შემუშავებული გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და მათი გამომწვევი მიზეზ(ებ)ის საპასუხოდ? • განხორციელდა?				
3. ეფექტურია მანამდე გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გატარებული რემედიაციის ღონისძიებები?				
4. თუ შეფასება მიუთითებს, რომ რემედიაციის ღონისძიებები სათანადოდ არ არის შემუშავებული და დანერგული ან ისინი არაეფექტურია, მიღებულ იქნა თუ არა შესაბამისი ზომ(ებ)ი, იმ მიზნით, რომ რემედიაციის ღონისძიებები სათანადოდ მოდიფიცირებულიყო (შეცვლილიყო) მისი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.				
5. დროულად ეცნობა თუ არა საკითხები იმ პირ(ებ)ს, რომლებსაც ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება აკისრია(თ) და იმ პირ(ებ)ს, რომლებსაც ხმს-ზე ოპერატიული პასუხისმგებლობა აკისრია(თ), თუ ისინი განსხვავებული პირები არიან. ეს შეიძლება გაკეთდეს მონიტორინგის ღონისძიებების აღწერილობასთან ერთად დოკუმენტირების ამ დამხმარე საშუალებაში მოცემული დეტალების მიწოდებით.				
6. თუ აღმოჩენილი ფაქტი მიუთითებს, რომ არსებობს გარიგება/გარიგებები, რომლისთვისაც გარიგების/გარიგებების შესრულებისას საჭირო პროცედურები გამოტოვებული იყო ან გაცემული ანგარიში შეაძლოა ადეკვატური არ იყო, მოიცავდა თუ არა საპასუხო ზომები შემდეგს: • სათანადო ზომების მიღებას შესაბამისი პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესასრულებლად; • იმ სიტუაციებში, როდესაც ანგარიში არ მიიჩნევა ადეკვატურად, მიღებულ იქნა თუ არა სათანადო ზომები, მათ შორის განხილულ იქნა თუ არა იურიდიული რჩევის მიღების საკითხი.				

ნაწილი ე - ხმს-ის შეფასება

უნდა შეივსოს იმ პირ(ებ)ის მიერ, ვისაც ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ეკისრება(თ).

შეფასება უნდა ჩატარდეს დროის კონკრეტულ მომენტში, წელიწადში ერთხელ მაინც.

	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
1. გამოვლენილი ნაკლოვანებები მიმოიხილეთ „ბ“ ნაწილში ჩამოთვლილი ის ნაკლოვანებები, რომლებიც ხმს-ის ყოველწლიური მონიტორინგის (და ციკლური მონიტორინგის, თუ ეს შესაფერისია) შედეგად გამოვლინდა და შეაფასეთ, ხმს-ზე ამ ნაკლოვანებების ინდივიდუალური და აგრეგირებული გავლენა?				
2. რემედიაციის ღონისძიებები მიმოიხილეთ განხორციელებული რემედიაციის ღონისძიებები და განიხილეთ, საჭიროა თუ არა დროებითი ღონისძიების გატარება ნებისმიერი ისეთი ნაკლოვანების მიმართ, რომელთან მიმართებითაც რემედიაციის ღონისძიება არ განხორციელებულა?				
3. საქმიანობის შეფასება შეაფასა თუ არა შესაბამისმა პირმა იმ პირ(ებ)ის საქმიანობა, რომელსაც საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ეკისრება(თ), ასევე იმ პირ(ებ)ის საქმიანობა, რომელსაც ოპერატიული პასუხისმგებლობა ეკისრება(თ) (როდესაც ისინი სხვადასხვა პირები არიან) მათი როლების გათვალისწინებით?				

დასკვნა

შენიშვნა: გარიგების ფაილების ციკლური მონიტორინგის დასრულების წელს, წარმოადგინეთ დასრულებული გარიგებების ფაილების ინსპექტირების/მონიტორინგის შედეგები (მაგალითად, შეავსეთ „გ“ დანართში მოცემული საკონტროლო სია), სანამ საერთო დასკვნას გამოიტანთ:

ხმს-ის შეფასების საფუძველზე:


- ☐ ხმს ფირმას უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ, რომ ხმს-ის მიზნები მიღწეულია.
ან
- ☐ იმ საკითხების გარდა, რომლებიც დაკავშირებულია ისეთ გამოვლენილ ნაკლოვანებებთან, რომლებსაც აქვთ სერიოზული, მაგრამ არა ყოვლისმომცველი გავლენა ხმს-ის დიზაინზე, დანერგვასა და ფუნქციონირებაზე, ხმს ფირმას უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ, რომ ხმს-ის მიზნები მიღწეულია.
ან
- ☐ ხმს ფირმას ვერ უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ, რომ ხმს-ის მიზნები მიღწეულია.

ხელმოწერილია იმ პირის/პირების მიერ, რომლებსაც ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ეკისრებათ

(ხელმოწერა და პოზიცია/პასუხისმგებლობა)

შეფასების პერიოდი: _____
შეფასების თარიღი: _____

ნაწილი 3 - კომუნიკაცია



	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
1. არსებობს თუ არა მტკიცებულება იმისა, რომ პარტნიორ(ებ)ი, რომელიც პასუხისმგებელია ხმს-ზე, სულ მცირე წელიწადში ერთხელ აწვდის ინფორმაციას შესაბამის პარტნიორებს და სხვებს შემდეგი საკითხების შესახებ: • გასული წლის განმავლობაში ჩატარებული მონიტორინგის პროცედურები, • ასეთი პროცედურებიდან გამოტანილი დასკვნები, და • გამოვლენილი სისტემური, განმეორებადი ან სხვა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების აღწერა და ასეთი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გატარებული ზომები.				
2. თუ ზემოთ მოცემულ „ე“ ნაწილში გაკეთებულია დასკვნა, რომ ხმს ფირმას ვერ უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ, რომ ხმს-ის მიზნები მიღწეულია, მიღებულ იქნა თუ არა დროული და შესაბამისი ზომები ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად?				
3. თუ ზემოთ მოცემულ „ე“ ნაწილში გაკეთებულია დასკვნა, რომ ხმს ფირმას ვერ უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ, რომ ხმს-ის მიზნები მიღწეულია, განხორციელდა თუ არა შესაბამისი კომუნიკაცია, საჭიროებისამებრ: • ყველა შესაბამის პირთან, რომელიც მონაწილეობს გარიგებებში და სხვა პირებთან, რომლებსაც ხმს-ის ფარგლებში გარკვეული ქმედებების განხორციელება ევალებათ, იმდენად, რამდენადაც ეს მათი პასუხისმგებლობისთვის რელევანტურია, და • გარე მხარეებთან ფირმის პოლიტიკის/პროცედურების შესაბამისად?				
4. თუ ზემოთ მოცემულ „ე“ ნაწილში გაკეთებულია დასკვნა, რომ ხმს ფირმას უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ, რომ ხმს-ის მიზნები მიღწეულია, მოხდა თუ არა იმის შეფასება, თუ რა ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოთ შესაბამის პირებს უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით?				

ნაწილი ზ - ხმს-ზე
პასუხისმგებელი პირ(ებ)ის
შეფასება



ფირმამ პერიოდულად უნდა შეაფასოს შემდეგი პირ(ებ)ის საქმიანობა:

- 1. პირი(ებ)ი, რომლებსაც ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ეკისრება(თ).
- 2. პირი(ებ)ი, რომლებსაც ხმს-ზე ოპერატიული პასუხისმგებლობა ეკისრება(თ).

პირის სახელი, რომელიც საქმიანობის შეფასებას ატარებს: _____

(პირი, რომელსაც ამ შეფასების განხორციელება ევალება, უნდა იყოს ობიექტური. იგი არ უნდა იყოს რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი პირი. ინდივიდუალური პრაქტიკოსის შემთხვევაში რეკომენდებულია მომსახურების პროვაიდერის გამოყენება.)

(საქმიანობის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ხმს-ის შეფასება (ზემოთ მოცემული „ე“ ნაწილი.)

პირ(ებ)ი	პირ(ებ)ის სახელ(ებ)ი	საქმიანობის შეფასებისა და დასკვნის დოკუმენტაცია
პირი(ებ)ი, რომლებსაც ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ეკისრებათ		
პირი(ებ)ი, რომლებსაც ხმს-ზე ოპერატიული პასუხისმგებლობა ეკისრებათ		

ეს შეფასება უნდა ჩატარდეს დროის კონკრეტულ მომენტში და ჩატარდეს მინიმუმ წელიწადში ერთხელ. ქვემოთ ჩამოთვალეთ ნებისმიერი ნაკლოვანება:

გამოვლენილი ნაკლოვანებები	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია

დანართი გ:
დოკუმენტირების
დამხმარე საშუალება -
დასრულებული
გარიგებების
ციკლური
ინსპექტირება

მიზანი: დოკუმენტირების ამ დამხმარე საშუალების მიზანია დაეხმაროს დასრულებული გარიგების მონიტორინგის განმახორციელებელ პირს დასრულებული გარიგებების ციკლური მონიტორინგის შესრულების დოკუმენტირების პროცესში.

დოკუმენტირების ამ დამხმარე საშუალებაზე მითითება გაკეთებულია „ბ“ დანართში, ციკლური მონიტორინგის შესახებ. დასრულებული გარიგებების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებები შეჯამებული „ბ“ დანართში და გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხმს-ის შეფასებისას.

დოკუმენტირების ეს დამხმარე საშუალება იყოფა ექვს (6) ნაწილად:

ნაწილი ა: ზოგადი მოსაზრებები

ნაწილი ბ: დასრულებული გარიგებების შერჩევა

ნაწილი გ: აუდიტის გარიგებები – გასული პერიოდის ფინანსური ანგარიშგება

ნაწილი დ: მიმოხილვის გარიგებები – გასული პერიოდის ფინანსური ანგარიშგება

ნაწილი ე: სხვა მარწმუნებელი გარიგებები

ნაწილი ვ: დაკავშირებული მომსახურება

ნაწილი ა: ზოგადი მოსაზრებები

ზოგადი მოსაზრებები	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
1. გაქვთ თუ არა (როგორც დასრულებული გარიგებების მონიტორინგის განმახორციელებელ პირს) თქვენზე დელეგირებულ ფაილებთან სამუშაოდ საჭირო შესაფერისი კომპეტენცია და შესაძლებლობები?				
2. მიმოხილული გარიგებებისთვის, ადასტურებთ თუ არა, რომ თქვენ (როგორც დასრულებული გარიგებების მონიტორინგის განმახორციელებელ პირი) არ იყავით არც გარიგების გუნდის წევრი და არც მოცემული გარიგების ხარისხის მიმოხილველი?				
3. გაქვთ თუ არა (როგორც დასრულებული გარიგებების მონიტორინგის განმახორციელებელ პირს, რომელიც დასრულებული ფაილების ინსპექტირებას ახდენს) საკმარისი დრო დასრულებული ფაილების ინსპექტირების ჩასატარებლად?				
4. თუ თქვენ ფირმის გარე პირი ხართ, გაქვთ თუ არა (როგორც დასრულებული გარიგებების მონიტორინგის განმახორციელებელ პირს) ხელი მოწერილი გარიგების წერილზე?				

ნაწილი ბ - დასრულებული
გარიგებების შერჩევა



	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
გარიგებებს დასრულებული გარიგებების მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ირჩევს? თუ პასუხია „დიახ“ - გადადით კითხვებზე, თუ არა, მაშინ დააფიქსირეთ იმ პირ(ებ)ის სახელ(ებ)ი, რომლებიც გარიგებებს არჩევენ და განსაზღვრეთ დასრულებული გარიგების მონიტორინგის განმახორციელებელი პირის ვინაობა, ვისაც გარიგების მონიტორინგი დაევალა, ქვემოთ, გარიგების ტიპის მიხედვით. შეხსენება: დასრულებული გარიგებების შერჩევა უნდა განახორციელოს ობიექტურმა პირმა.				

პირ(ებ)ის სახელ(ებ)ი	პოზიცია/პასუხისმგებლობა	შერჩევის დასრულების თარიღი

ნაწილი ბ - დასრულებული
გარიგებების შერჩევა
(გაგრძელება)

(დოკუმენტირების დამხმარე საშუალებების ეს ნაწილი უნდა გამოიყენოს დასრულებული გარიგებების შერჩევაზე
პასუხისმგებელმა პირმა.)

ზოგადი მოსაზრებები	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
1. მოიპოვეთ მიმოხილვის პერიოდის გარიგებების ტიპების სია გარიგების პარტნიორის სახელის თანხლებით?				
2. იმის განსაზღვრისას თუ რომელ გარიგებებსა და გარიგების პარტნიორებს აირჩევთ დასრულებული ფაილების ციკლური ინსპექტირებისთვის, გაითვალისწინეთ თუ არა შემდეგი საკითხები: • ხარისხის რისკებზე მინიჭებული შეფასებების მიზეზები; • საპასუხო ზომების დიზაინი; • ფირმის ხარისხის მართვის სისტემის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესის და რემედიაციის პროცესის დიზაინი; • ხარისხის მართვის სისტემის ცვლილებები; • ადრინდელი მონიტორინგის ღონისძიებების შედეგები, კვლავ შესაფერისია თუ არა ადრინდელი მონიტორინგის ღონისძიებები ფირმის ხარისხის მართვის სისტემის შესაფასებლად და იყო თუ არა ეფექტური ადრე გამოვლენილი ნაკლოვანებების მიმართ გატარებული რემედიაციის ღონისძიებები; და • სხვა შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის საჩივრები და ბრალდებები იმის თაობაზე, რომ სამუშაო არ შესრულდა პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად ან ფირმის მიერ ხმს 1-ის შესაბამისად დადგენილი პოლიტიკის ან პროცედურების შესაბამისად, ასევე გარე ინსპექტირებისა და მომსახურების პროვაიდერებისგან მიღებული ინფორმაცია. • ფირმის მიერ გატარებული მონიტორინგის სხვა ღონისძიებების ხასიათი, ვადები და მოცულობა და ამ მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებები და გარიგების პარტნიორები (იხილეთ „ბ“ დანართი).				
3. ასახეთ დოკუმენტურად ინსპექტირებისთვის განკუთვნილი დასრულებული ფაილების შერჩეული სიმრავლის ზომა და შერჩევის პროცესი? <i>[შერჩეული სიმრავლის ზომა პროფესიული განსჯის საკითხია, მაგრამ მისი ზომის განსაზღვრისას გათვალისწინებული ფაქტორები უნდა იყოს დოკუმენტირებული.]</i>				
4. დასრულებული ფაილების შერჩეული სიმრავლე მოიცავს თუ არა მინიმუმ ერთ დასრულებულ გარიგებას თითოეული გარიგების პარტნიორისთვის?				

ნაწილი გ: აუდიტის გარიგებები -
გასული პერიოდის ფინანსური
ანგარიშგება

ჩამოთვალეთ აუდიტის გარიგებები,
პარტნიორების მიხედვით, რომელთათვისაც
დასრულებული გარიგებები ინსპექტირებისთვის
შეირჩა და დასრულდა:

გარიგების პარტნიორი	დამკვეთის სახელი	წლის დასასრული	დასრულებული გარიგების მონიტორინგის განმახორციელებელი პირის სახელი	მითითება დასრულებული ფაილის ინსპექტირების საკონტროლო სიაზე
				[ამ საკონტროლო სიის მაგალითი მოცემულია ამ სერიის „დ“ დანართში]

ნაწილი დ: მიმოხილვის გარიგებები -
გასული პერიოდის ფინანსური
ანგარიშგება

ჩამოთვალეთ მიმოხილვის გარიგებები,
პარტნიორების მიხედვით, რომელთათვისაც
დასრულებული გარიგებები ინსპექტირებისთვის
შეირჩა და დასრულდა:

გარიგების პარტნიორი	დამკვეთის სახელი	წლის დასასრული	დასრულებული გარიგების მონიტორინგის განმახორციელებელი პირის სახელი	მითითება დასრულებული ფაილის ინსპექტირების საკონტროლო სიაზე
				[ამ საკონტროლო სიის მაგალითი ამ სერიაში მოცემული არ არის]

ნაწილი ე - სხვა მარწმუნებელი გარიგებები

ჩამოთვალეთ სხვა მარწმუნებელი გარიგებები, პარტნიორების მიხედვით, რომელთათვისაც დასრულებული გარიგებები ინსპექტირებისთვის შეირჩა და დასრულდა:



გარიგების პარტნიორი	დამკვეთის სახელი	წლის დასასრული	დასრულებული გარიგების მონიტორინგის განმახორციელებელი პირის სახელი	მითითება დასრულებული ფაილის ინსპექტირების საკონტროლო სიაზე
				[ამ საკონტროლო სიის მაგალითი ამ სერიაში მოცემული არ არის]

*მაგალითად ისეთი გარიგებები, რომლებიც შესრულებულია შემდეგი სტანდარტების შესაბამისად:

- მგსს 3000 (გადასინჯული) - მარწმუნებელი გარიგებები, გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტისა და მიმოხილვის გარდა
- მგსს 3400 - პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება
- მგსს 3402 - მარწმუნებელი დასკვნები მომსახურე ორგანიზაციის კონტროლის საშუალებების შესახებ
- მგსს 3410 - მარწმუნებელი გარიგებები სათბურის გაზების ანგარიშის შესახებ
- მგსს 3420 - მარწმუნებელი გარიგებები დასკვნის შედგენაზე ფასიანი ქაღალდების პროსპექტში გათვალისწინებული პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციასთან დაკავშირებით

სხვა მარწმუნებელი სტანდარტების სფერო დროთა განმავლობაში გაფართოვდება, მათ შორის, მას შეიძლება დაემატოს მდგრადობის მარწმუნებელი სტანდარტები. დოკუმენტირების ამ დამხმარე საშუალების გამოყენებისას ყოველთვის უნდა გადამოწმდეს მიმდინარე პერიოდში მოქმედი შესაბამისი სტანდარტების სია.

ნაწილი ვ: დაკავშირებული მომსახურებები

ჩამოთვალეთ დაკავშირებული მომსახურების გარიგებები, პარტნიორების მიხედვით, რომელთათვისაც დასრულებული გარიგებები ინსპექტირებისთვის შეირჩა და დასრულდა:

გარიგების პარტნიორი	დამკვეთის სახელი	წლის ბოლო	დასრულებული გარიგების მონიტორინგის განმახორციელებელი პირის სახელი	მითითება დასრულებული ფაილის ინსპექტირების კითხვარზე
				[ამ სერიაში არ არის მოცემული ყველა დაკავშირებული მომსახურების კითხვარის მაგალითები, თუმცა წამოდგენილია კომპილაციური გარიგებებისთვის - იხილეთ „ე“ დანართი]

*მაგალითად ისეთი გარიგებები, რომლებიც შესრულებულია შემდეგი სტანდარტების შესაბამისად:

დმსს 4410 (გადასინჯული) კომპილაციური გარიგებები

მგსს 3400 პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება

ნაწილი ზ: შედეგების შეჯამება

	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია
1. გამოვლინდა ისეთი ნაკლოვანებები, რომლებიც ჩანს, რომ არის სისტემური, განმეორებადი ან სხვაგვარად მნიშვნელოვანი და მოითხოვს სასწრაფო მაკორექტირებელ ღონისძიებას?				
2. არის მტკიცებულება იმისა, რომ ფირმის მიერ გაცემული ანგარიში შეიძლება არ იყოს ადეკვატური/შესაფერისი?				
3. იყო იმის მტკიცებულება, რომ გარიგების საჭირო პროცედურები არ ჩატარდა?				
4. მიეწოდა თუ არა პასუხისმგებელ პარტნიორ(ებ)ს, ასევე ხმს-ზე პასუხისმგებელ პირს წერილობითი ინფორმაცია ყველა ნაკლოვანების შესახებ? (ნაკლოვანებები განხილულ უნდა იქნეს ხმს-ის შეფასებისას და უზრუნველსაყოფილ უნდა იქნეს საჭირო რემედიაციის ღონისძიებები.)				

დანართი დ:

დოკუმენტირების
დამხმარე საშუალება -
დასრულებული
აუდიტის გარიგებების
ციკლური
ინსპექტირება

ნაწილი ა - ხმს-ის წლიური მონიტორინგი

დასრულებული გარიგების მონიტორინგის განმახორციელებელი პირის სახელი: _____

მოკლედ აღწერეთ, თუ როგორ შეესაბამება დასრულებული გარიგების მონიტორინგის განმახორციელებელი პირის კვალიფიკაცია ამ გარიგების მოთხოვნებს:
<i>[აღწერაში ნაჩვენები უნდა იყოს, რომ პირს მონიტორინგის ღონისძიებების ეფექტურად შესასრულებლად აქვს კომპეტენცია და შესაძლებლობები, მათ შორის საკმარისი დრო.]</i>

შესაბამისი სტანდარტები და მოთხოვნები: ყველა შესაბამისი ასს (მათ შორის ასს 220 (გადასინჯული) *ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის მართვა*), სათანადო ეთიკური მოთხოვნები, ხმს-ში მოცემული ფირმის პოლიტიკა და პროცედურები (ხმს უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ სტანდარტებს - ხმსს 1, *ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს*, და ხმსს 2, *გარიგების ხარისხის მიმოხილვა*)

დამკვეთის სახელი	
გარიგების პარტნიორი*	
გარიგების გუნდის წევრები, გარიგების პარტნიორის გარდა, თუ ეს შესაფერისია	
ინსპექტირებული ფაილის შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი:	
აუდიტორის დასკვნის თარიღი	
ინსპექტირების დასრულების თარიღი	
აღმოჩენილი ფაქტების განხილვის თარიღი	

შენიშვნა: დოკუმენტირების ეს დამხმარე საშუალება განკუთვნილია სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე პირისთვის, რომელიც მონიტორინგს ახორციელებს. ის არ ეხება ან არ განსაზღვრავს ყველა შესაბამის სტანდარტს და მოთხოვნას, არამედ კიდევ ერთხელ აძლევს მითითებებს მხოლოდ ძირითად მოთხოვნებზე აღნიშნულ პირს, რომელსაც აქვს საკმარისი კომპეტენცია და შესაძლებლობები და რომელიც თავად ისედაც იცნობს აუდიტის გარიგების შესასრულებლად საჭირო ყველა მოთხოვნას. ამ დამხმარე საშუალების ბოლო კითხვა საჭიროებს ყველა შესაბამისი მოთხოვნის გათვალისწინებას, მაშინაც კი, თუ ისინი დოკუმენტირების ამ დამხმარე საშუალებაში კონკრეტულად არაა განხილული.

დანართი დ:

დოკუმენტირების დამხმარე საშუალება - დასრულებული აუდიტის გარიგებების ციკლური ინსპექტირება

დასრულებული გარიგების ინსპექტირება (შემოთავაზებული პროცედურები)	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია	აღმოჩენილი ფაქტი დიახ/არა
1. მთლიანი ფაილის მომზადება უზრუნველყოფს თუ არა გამოყენებული მიდგომა (გამოყენებული კითხვარები) იმას, რომ ყველა შესაბამის ასს-ში არსებული მოთხოვნები შესრულდება გარიგების შესასრულებლად სათანადო მეთოდოლოგიის გამოყენებით?					
2. ეთიკური მოთხოვნები აჩვენებს თუ არა ფაილი დოკუმენტურად, რომ სათანადო ეთიკური მოთხოვნები დაკმაყოფილებულია?					
3. ხარისხი გარიგების დონეზე აჩვენებს თუ არა ფაილი დოკუმენტურად, რომ გარიგების პარტნიორმა პასუხისმგებლობა აიღო გარიგების ხარისხზე და რომ გარიგება შესრულდა ფირმის ხმს-ის პოლიტიკის/პროცედურების შესაბამისად?					
4. გარიგებაზე დათანხმება და მისი გაგრძელება მოიცავს თუ არა ფაილი ხელმოწერილ გარიგების წერილს, რომელიც ასახავს ასს 210-ის - <i>აუდიტის გარიგების პირობებზე შეთანხმება</i> - მოთხოვნებს და ხელმოწერილი/მოპოვებული იყო თუ არა ის გარიგების შესრულების დაწყებამდე? თუ ეს განმეორებითი გარიგებაა, არსებობს თუ არა დოკუმენტაცია იმის შეფასების შესახებ, შეიცვალა თუ არა გარემოებები და სჭირდება თუ არა ხელმძღვანელობას გარიგების არსებული პირობების შეხსენება?					
5. ხელმძღვანელობასთან და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან კომუნიკაცია დოკუმენტირებულია თუ არა ფაილში ხელმძღვანელობასთან და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან განხორციელებული კომუნიკაცია ნებისმიერ ისეთ საკითხზე, რომელიც მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული, მათ შორის, გარიგების დაგეგმვის საკითხზე? (იხილეთ ასს 260 (გადასინჯული) - <i>მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირება</i> და ასს 265 - <i>მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისა და ხელმძღვანელობის ინფორმირება შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ</i>)					
6. არსებობს თუ არა დოკუმენტირებული შეფასება იმის შესახებ, არის თუ არა შესაფერისი გარიგების ხარისხის მიმოხილვა ხმს-ის პოლიტიკის შესაბამისად <i>(იხილეთ ხმსს 2, გარიგების ხარისხის მიმოხილვა)</i>					

დასრულებული გარიგების ინსპექტირება (შემოთავაზებული პროცედურები)	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია	აღმოჩენილი ფაქტი დიახ/არა
7. გარიგების შესრულება - სუბიექტის და მისი გარემოს შესწავლა დოკუმენტირებულია თუ არა ფაილში, რომ შესრულდა რისკის შეფასების პროცედურები იმის უზრუნველსაყოფად, რომ აუდიტის ჩასატარებლად სუბიექტის შესახებ საკმარისი ცოდნაა/ინფორმაციაა მოპოვებული, მათ შორის ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: • ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების, სუბიექტის საადრიცხვო პოლიტიკა და მათში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება მიმდინარე წელს. სუბიექტის ორგანიზაციული სტრუქტურა, მფლობელობა და მმართველობა, და მისი ბიზნესმოდელი, მათ შორის, რამდენად არის ბიზნესმოდელში ინტეგრირებული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება. • დარგისთვის დამახასიათებელი, მარეგულირებელი ან სხვა გარე ფაქტორები. • სუბიექტის ფინანსური შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შიდა და გარე საზომები. • მიზნები, სტრატეგიები და ბიზნესის რისკები. • ფინანსური შედეგების გაზომვა და მიმოხილვა. • როგორ მოქმედებს თანდაყოლილი რისკფაქტორები მტკიცებების უზუსტობის ალბათობაზე. გასათვალისწინებელი საკითხები: • შეფასებები • ფუნქციონირებადობა (იხილეთ ასს 315 (გადასინჯული 2019 წელს) - <i>არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება</i> და ასს 250 (გადასინჯული) - <i>კანონმდებლობის გათვალისწინება ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს</i>)					
8. გარიგების შესრულება - არსებითობა დოკუმენტირებულია თუ არა ფაილში ის თანხები და ფაქტორები (მაგ., ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები, ხარისხობრივი ფაქტორები და შესაბამისი რაოდენობრივი კრიტერიუმები), რომლებიც გათვალისწინებულია არსებითობის დონის განსაზღვრისას (მათ შორის მთლიანი ფინანსური ანგარიშგების არსებითობა, სამუშაო არსებითობა და, თუ ეს შესაფერისია, ოპერაციების, ანგარიშგების ნაშთების ან გამჟღავნებული ინფორმაციის კონკრეტული კლასების არსებითობის დონე, საწყისი გამოთვლების ნებისმიერ შესწორებასთან ერთად)? (იხილეთ ასს 320, <i>არსებითობა აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების დროს</i>)					

დასრულებული გარიგების ინსპექტირება (შემოთავაზებული პროცედურები)	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია	აღმოჩენილი ფაქტი დიახ/არა
9. გარიგების შესრულება - არსებითი უზუსტობის რისკების შეფასება არის თუ არა ფაილში დოკუმენტირებული უზუსტობის თანდაყოლილი რისკების შეფასება ფინანსურ და მტკიცების დონეზე, მათ შორის იმ რისკების, რომლებიც მნიშვნელოვნადაა მიჩნეული? ეხება თუ არა მტკიცების დონეზე თანდაყოლილი რისკის შეფასება ოპერაციების, ანგარიშების ნაშთების და გამჟღავნებული ინფორმაციის კლასებს? (გახსოვდეთ, რომ ზოგიერთი სფერო, როგორიცაა ამონაგები და დაკავშირებული მხარის ოპერაციები, უფრო მეტად შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი რისკის მქონე და ისინი ცალკე უნდა იქნას გათვალისწინებული.) (იხილეთ ასს 315 (გადასინჯული 2019 წელს) - <i>არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება</i> - და ასს 240 - <i>აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტში თაღლითობასთან დაკავშირებით</i>)					
10. გარიგების შესრულება - შიდა კონტროლის სისტემის და კონტროლის დიზაინისა და დანერგვის პროცესის შესწავლა არის თუ არა დოკუმენტირებული ფაილში, რომ შესწავლილია სუბიექტის შიდა კონტროლის სისტემის კომპონენტები, მათ შორის სუბიექტის: • კონტროლის გარემო, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან. • რისკის შეფასების პროცესი. • საინფორმაციო სისტემა და კომუნიკაცია. • მაკონტროლებელი საქმიანობა (პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც რისკებს პასუხობენ, "შიდა კონტროლი"). • შიდა კონტროლის სისტემასთან დაკავშირებული მონიტორინგის პროცესი. არის თუ არა დოკუმენტირებული ფაილში შემდეგი საკითხების კონტროლის მექანიზმების დიზაინისა და დანერგვის შეფასება: • მნიშვნელოვანი რისკის სფეროები. • საჭურნალო გატარებები. • კონტროლის მექანიზმები, რომლებსაც უნდა დაეყრდნონ. • კონტროლის სხვა მექანიზმები, საჭიროებისამებრ. არის თუ არა დოკუმენტირებული ფაილში ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები, ასევე ნებისმიერი რისკი, რომლისთვისაც მხოლოდ ძირითადი პროცედურები ვერ უზრუნველყოფს საკმარის და შესაფერის აუდიტის მტკიცებულებებს? არის თუ არა დოკუმენტირებული ფაილში ნებისმიერი კონტროლის ნაკლოვანება, რომელიც გავლენას მოახდენს აუდიტზე და ხელმძღვანელობასთან და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან კომუნიკაციაზე, როდესაც ეს შესაფერისია? (იხილეთ ასს 315 (გადასინჯული 2019 წელს), <i>არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება</i>)					

დასრულებული გარიგების ინსპექტირება (შემოთავაზებული პროცედურები)	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია	აღმოჩენილი ფაქტი დიახ/არა
11. გარიგების შესრულება - კონტროლის ტესტი თუ იგეგმება კონტროლის საშუალებებზე დაყრდნობა, დოკუმენტირებულია თუ არა ფაილში კონტროლის რისკის შეფასება და კონტროლის ტესტირების შედეგები? განსახილველი საკითხები: • თუ ტესტირება როტაციულად სრულდება, ის არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ ყოფილა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ან ის არ ეხება მნიშვნელოვან რისკს. • ტესტირებამ უნდა მოიცვას იმ საანგარიშგებო პერიოდის საოპერაციო ეფექტიანობა, რომელზეც აუდიტი ტარდება (იხილეთ ასს 315 (გადასინჯული 2019 წელს), <i>არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება</i>)					
12. გარიგების შესრულება - განხილვები აუდიტის გუნდში დოკუმენტირებულია თუ არა ფაილში, რომ გუნდში განხილვები (ან თვითანალიზი, ინდივიდუალური პრაქტიკოსის შემთხვევაში) მიმდინარეობს? განხორციელდა თუ არა გონებრივი იერიში (აქტიური განხილვა) თაღლითობის პოტენციურ რისკფაქტორებთან დაკავშირებით? განხილულ იქნა თუ არა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების გამოყენება? (იხილეთ ასს 315 (გადასინჯული 2019 წელს) - <i>არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება</i> და ასს 240 - <i>აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტში თაღლითობასთან დაკავშირებით</i>)					
13. გარიგების შესრულება - საერთო სურათის ობიექტურად დანახვა (რისკი) დოკუმენტირებულია თუ არა ფაილში შეფასება იმისა, რომ საწყისი რისკების თავდაპირველი შეფასება კვლავ შესაფერისია, როდესაც მოიპოვება დამატებითი მტკიცებულებები, ან ისინი გადახედვას საჭიროებენ? (იხილეთ ასს 315 (გადასინჯული 2019 წელს) - <i>არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება</i>)					
14. გარიგების შესრულება - ძირითადი პროცედურები დოკუმენტირებულია თუ არა ფაილში საკმარისი ინფორმაცია იმის შესაფასებლად, თუ როგორ იქნა მტკიცებულებები მოპოვებული? გასათვალისწინებელი საკითხები: • პროცედურების შესაბამისი დიზაინი, რომელიც აკავშირებს იდენტიფიცირებულ რისკებს მტკიცების დონეზე • მომსახურე ორგანიზაციის გამოყენება • შერჩევის მეთოდოლოგია და შედეგები. და სხვ. (იხ. სხვადასხვა ასს-ები)					

დასრულებული გარიგების ინსპექტირება (შემოთავაზებული პროცედურები)	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია	აღმოჩენილი ფაქტი დიახ/არა
15. გარიგების შესრულება - შესაბამის საბუღალტრო ჩანაწერებთან შეჯერება დოკუმენტირებულია თუ არა ფაილში, რომ ფინანსური ინფორმაცია შეჯერებულია შესაბამის საბუღალტრო ჩანაწერებთან? (იხილეთ ასს 330, აუდიტორის პროცედურები შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის)					
16. გარიგების შესრულება – დასკვნა დოკუმენტირებულია თუ არა ფაილში საერთო სურათის საბოლოოდ ობიექტურად შეფასება და დასკვნის/მოსაზრების ჩამოყალიბების მხარდამჭერი მოსაზრებები? გასათვალისწინებელი საკითხები: • საბოლოო ანალიტიკური პროცედურების შესრულება საბოლოო ფინანსურ ანგარიშგებებზე. • შემდგომი მოვლენების მიმოხილვა. • დაუკორექტირებელი შეცდომების შეჯამება და ფაილში ჩართვა. • არსებითობის ხელახლა შეფასება. • ხელმძღვანელობისთვის/მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის მიწოდებული შემაჯამებელი ინფორმაციის (საკითხების) შეჯამება. • ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილის მოპოვება. და სხვ. (იხილეთ სხვადასხვა ასს, მაგალითად, ასს 450, აუდიტის პროცესში გამოვლენილი უზუსტობების შეფასება და ასს 580, ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია)					
17. აუდიტის ანგარიში მოიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საბოლოო ვერსია აუდიტორის დასკვნას, რომელიც შესაბამის ასს-ებს შეესაბამება? (იხილეთ, ასს 700 (გადასინჯული) - მოსაზრების ჩამოყალიბება და დასკვნის წარდგენა ფინანსური ანგარიშგების შესახებ; ასს 701 - აუდიტის ძირითადი საკითხების შესახებ ინფორმირება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში; ასს 705 (გადასინჯული) - მოსაზრების მოდიფიცირება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში; ასს 706 (გადასინჯული) - მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი და სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში; საჭიროებისამებრ)					

დასრულებული გარიგების ინსპექტირება (შემოთავაზებული პროცედურები)	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია	აღმოჩენილი ფაქტი დიახ/არა
18. აუდიტორის დასკვნა - თარიღი განსაზღვრეთ აუდიტორის დასკვნის თარიღი _____ არსებობს თუ არა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ აუდიტორის დასკვნის თარიღი შესაფერისია? ანუ, ასახულია თუ არა ფაილში ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების დამტკიცების დოკუმენტაცია და ეს იყო თუ არა დოკუმენტირებული დასკვნის თარიღამდე (ან მასთან ერთად)? (იხილეთ ასა 700 (გადასინჯული), მოსაზრების ჩამოყალიბება და დასკვნის წარდგენა ფინანსური ანგარიშგების შესახებ)					
19. მთლიანი დოკუმენტაცია აჩვენებს თუ არა ფაილის დოკუმენტაცია, რომ არსებული სტანდარტებისა და მოთხოვნების ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა? გასათვალისწინებელი საკითხები შეიძლება მოიცავდეს შემდეგი საკითხების დოკუმენტაციას: • აუდიტის დაგეგმვა და შესრულება. • თანამშრომლების/სხვების ზედამხედველობა. • თანამშრომლების/სხვების მიერ შესრულებული სამუშაოს მიმოხილვის დასრულება. • პროფესიული სკეპტიციზმი. • ზოგიერთი მოულოდნელი ელემენტი ან პროცედურა (თაღლითობა). • საჟურნალო გატარებების ტესტირება. • სპეციალისტის, იურისტის, ინჟინერის, აქტუარის, შემფასებლის და სხვ. გამოყენება. • აუდიტის ავტომატიზებული ტექნიკების გამოყენება. • ჯგუფის აუდიტისას გასათვალისწინებელი საკითხები, თუ ეს შესაფერისია. • შიდა აუდიტის გამოყენება, თუ ეს შესაფერისია. • სპეციალური გასათვალისწინებელი საკითხები, თუ საწყისი გარიგებაა. ა.შ. (იხილეთ ასს 230, აუდიტის დოკუმენტაცია და სხვადასხვა ასს-ები)					

აღმოჩენილი ფაქტების შეჯამება

აღმოჩენილი ფაქტი (ზემოთ აღწერილი)	პარტნიორისთვის/პრაქტიკო-სისთვის მიწოდებული	ხმს-ზე ოპერატიული პასუხისმგებლობის მქონე პირისთვის მიწოდებული დიახ/არა	გადატანილია „ბ“ დანართში დიახ/არა

დანართი ე:
დოკუმენტირების
დამხმარე საშუალება -
დასრულებული
კომპილაციური
გარიგებების ციკლური
ინსპექტირება

(შესაძლებელია დოკუმენტირების ამ დამხმარე საშუალების ფორმატის ცვლილება სხვა დაკავშირებული მომსახურებების საჭიროებებიდან გამომდინარე)

დასრულებული გარიგების მონიტორინგის განმახორციელებელი პირის სახელი: _____

მოკლედ აღწერეთ, თუ როგორ შეესაბამება დასრულებული გარიგების მონიტორინგის განმახორციელებელი პირის კვალიფიკაცია ამ გარიგების მოთხოვნებს:
<i>[აღწერაში ნაჩვენები უნდა იყოს, რომ პირს მონიტორინგის ღონისძიებების ეფექტურად შესასრულებლად აქვს კომპეტენცია და შესაძლებლობები, მათ შორის საკმარისი დრო.]</i>

შესაბამისი სტანდარტი: დმსს 4410 (გადასინჯული), კომპილაციური გარიგებები

დამკვეთის სახელი	
გარიგების პარტნიორი*	
გარიგების გუნდის წევრები, გარიგების პარტნიორის გარდა, თუ ეს შესაფერისია	
ინსპექტირებული ფაილის შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი:	
კომპილაციური გარიგების ანგარიშის თარიღი	
ინსპექტირების დასრულების თარიღი	
აღმოჩენილი ფაქტების განხილვის თარიღი	



დასრულებული გარიგების ინსპექტირება (შემოთავაზებული პროცედურები)	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია	აღმოჩენილი ფაქტი დიახ/არა
1. მთლიანი ფაილის მომზადება უზრუნველყოფს თუ არა გამოყენებული მიდგომა (გამოყენებული კითხვარები) იმას, რომ დმსს 4410-ში (გადასინჯული) - <i>კომპილაციური გარიგებები</i> - არსებული მოთხოვნები შესრულდება გარიგების შესასრულებლად სათანადო მეთოდოლოგიის გამოყენებით?					
2. ეთიკური მოთხოვნები აჩვენებს თუ არა ფაილი დოკუმენტურად, რომ სათანადო ეთიკური მოთხოვნები დაკმაყოფილებულია? (იხილეთ დმსს 4410.21)					
3. ხარისხი გარიგების დონეზე აჩვენებს თუ არა ფაილი დოკუმენტურად, რომ გარიგების პარტნიორმა* პასუხისმგებლობა აიღო გარიგების ხარისხზე და რომ გარიგება შესრულდა ფირმის ხმს-ის პოლიტიკის/პროცედურების შესაბამისად? (იხილეთ დმსს 4410.23)					
4. გარიგებაზე დათანხმება და მისი გაგრძელება მოიცავს თუ არა ფაილი ხელმოწერილ გარიგების წერილს, რომელიც ასახავს დმსს 4410 (გადასინჯული) მოთხოვნებს და ხელმოწერილი/მოპოვებული იყო თუ არა ის გარიგების შესრულების დაწყებამდე? თუ ეს განმეორებითი გარიგებაა, არსებობს თუ არა დოკუმენტაცია იმის შეფასების შესახებ, შეიცვალა თუ არა გარემოებები და სჭირდება თუ არა ხელმძღვანელობას გარიგების არსებული პირობების შეხსენება? (იხილეთ დმსს 4410.24-26)					
5. ხელმძღვანელობასთან და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან კომუნიკაცია დოკუმენტირებულია თუ არა ფაილში ხელმძღვანელობასთან და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან განხორციელებული კომუნიკაცია ნებისმიერ ისეთ საკითხზე, რომელიც მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული? (იხილეთ დმსს 4410.27)					
6. გარიგების შესრულება - სუბიექტის შესწავლა აჩვენებს თუ არა ფაილი დოკუმენტურად, რომ პრაქტიკოსმა იმ დონეზე შეისწავლა სუბიექტი, რაც საკმარისია გარიგების შესასრულებლად, მათ შორის: • სუბიექტის საქმიანობა და ოპერაციები; • სუბიექტის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა და ბუღალტრული ჩანაწერები; • ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები, მათ შორის მისი გამოყენების თავისებურებები იმ დარგში, რომელშიც სუბიექტი ეწევა საქმიანობას. (იხილეთ დმსს 4410.28)					

დასრულებული გარიგების ინსპექტირება (შემოთავაზებული პროცედურები)	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია	აღმოჩენილი ფაქტი დიახ/არა
7. გარიგების შესრულება - განხილვები ხელმძღვანელობასთან/მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან თუ პრაქტიკოსმა ხელმძღვანელობას/მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დახმარება გაუწია განსჯასა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, მოიცავს თუ არა ფაილი მათი განხილვების დოკუმენტაციას. (იხილეთ დმსს 4410.30)					
8. გარიგების შესრულება - საერთო სურათის ობიექტურად დანახვა შეიცავს თუ არა ფაილი დოკუმენტაციას იმის შესახებ, რომ პრაქტიკოსი გარიგების დასრულებამდე გაეცნო კომპილირებულ ფინანსურ ინფორმაციას სუბიექტის საქმიანობისა და ოპერაციების და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების გათვალისწინებით, რათა შეეფასებინა ეთიკური ვალდებულებების დაცვის საკითხი? (იხილეთ დმსს 4410.31)					
9. გარიგების შესრულება - შეცდომაში შემყვანი (ანუ, რომელიც არ არის სრულყოფილი/ზუსტი ან სხვა მხრივ დამაკმაყოფილებელი) ინფორმაცია შეიცავს თუ არა ფაილი დოკუმენტაციას იმის შესახებ, რომ პრაქტიკოსმა შეაფასა, იყო თუ არა რაიმე ინფორმაცია შეცდომაში შემყვანი, ჩანაწერების, დოკუმენტების, ახსნა-განმარტების თვალსაზრისით? თუ კი, წამოჭრა თუ არა მან ეს საკითხი ხელმძღვანელობის წინაშე და მოითხოვა თუ არა დამატებითი ან გასწორებული ინფორმაცია (იხილეთ დმსს 4410.32)					
10. გარიგების შესრულება - შესაფერის ჩანაწერებთან (ამოსავალ მონაცემებთან) შეჯერება შეიცავს თუ არა ფაილი დოკუმენტაციას იმის შესახებ, რომ კომპილირებული ფინანსური ინფორმაცია შეჯერდა შესაფერის საბუღალტრო ჩანაწერებთან? (იხილეთ დმსს 4410.38(ბ))					
11. ფინანსური ინფორმაციის საბოლოო ვარიანტი შეიცავს თუ არა ფაილი კომპილირებული ფინანსური ინფორმაციის საბოლოო ვარიანტს და შეიცავს თუ არა გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების აღწერას? (იხილეთ დმსს 4410.40)					

დასრულებული გარიგების ინსპექტირება (შემოთავაზებული პროცედურები)	დიახ	არა	არ არის შესაფერისი	კომენტარები/დოკუმენტაცია	აღმოჩენილი ფაქტი დიახ/არა
12. კომპილაციური გარიგების ანგარიში მოიცავს თუ არა კომპილაციური გარიგების ანგარიში ფინანსური ინფორმაციის საბოლოო ვარიანტს დმსს 4410 (გადასინჯული) შესაბამისად და შეტანილია თუ არა ის ფაილში? (იხილეთ დმსს 4410.37)					
13. კომპილაციური გარიგების ანგარიში – თარიღი განსაზღვრეთ კომპილაციური გარიგების ანგარიშის თარიღი _____ არის თუ არა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ კომპილაციური გარიგების ანგარიშის თარიღი შესაფერისია? ანუ, დოკუმენტურად არის თუ არა ასახული ფაილში ხელმძღვანელობის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის აღიარება კომპილირებული ფინანსური ინფორმაციის საბოლოო ვარიანტზე და იყო თუ არა ეს აღიარება მოპოვებული ანგარიშის დათარიღებამდე? (იხილეთ დმსს 4410.41)					
14. მთლიანი დოკუმენტაცია აჩვენებს დოკუმენტაცია იმას, რომ დმსს 4410-ში (გადასინჯული) - <i>კომპილაციური გარიგებები</i> - არსებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია?					

აღმოჩენილი ფაქტების შეჯამება

აღმოჩენილი ფაქტი (ზემოთ აღწერილი)	პარტნიორისთვის/პრაქტიკოსისთვის მიწოდებული	ხმს-ზე ოპერატიული პასუხისმგებლობის მქონე პირისთვის მიწოდებული დიახ/არა	გადატანილია „ბ“ დანართში დიახ/არა

დანართი ვ: დოკუმენტების დამხმარე საშუალება - მონიტორინგისა და რემედიაციის ანგარიში

მონიტორინგისა და რემედიაციის სრული ანგარიში უნდა:

- მოიცავდეს მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის შეჯამებას;
- აკმაყოფილებდეს ამ პროცესის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით ხმს 1-ის მოთხოვნებს; და
- აადვილებდეს ფირმის შიგნით კომუნიკაციას, საჭიროების შემთხვევაში.

ზოგიერთ ფირმაში შეიძლება შესაფერისი იყოს მონიტორინგისა და რემედიაციის ანგარიშის ორი ვარიანტის მომზადება, კერძოდ:

- ანგარიში, რომელიც მომზადებულია ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობის მქონე პირისთვის; და
- ანგარიშის მეორე ვარიანტი, რომელიც მოიცავს შესაბამის საკითხებს, რემედიაციის სახელმძღვანელო მითითებებზე, რომელიც დაურიგდება თანამშრომლებს.

თუ თქვენ ინდივიდუალური პრაქტიკოსი ხართ და იყენებთ მონიტორინგის განმახორციელებელ გარე პირს, მონიტორინგისა და რემედიაციის ანგარიში ასევე შეიძლება ასახავდეს გარე მონიტორინგის შედეგებს. თქვენ უნდა სთხოვოთ მონიტორინგის განმახორციელებელ გარე პირს, მოამზადოს ანგარიში, რომელიც თქვენს ყველა საჭიროებას აკმაყოფილებს. ამ დანართში წარმოდგენილია გარე მონიტორინგის ანგარიშის ნიმუში. შეგიძლიათ გარემოებების შესაბამისად საჭიროებისამებრ მასში ცვლილებები შეიტანოთ.

კომუნიკაცია	დიახ/არა	მითითება ანგარიშზე/მემორანდუმზე
არსებობს თუ არა მტკიცებულება იმისა, რომ ფირმაში ხმს-ზე პასუხისმგებელმა პარტნიორ(ებ)მა, სულ მცირე, ყოველწლიურად მიაწოდეს ინფორმაცია შესაბამის პარტნიორებსა და სხვებს შემდეგი საკითხების შესახებ: • გასული წლის განმავლობაში ჩატარებული მონიტორინგისა და რემედიაციის პროცედურები, • ასეთი პროცედურებიდან გამოტანილი დასკვნები, და • სისტემური, განმეორებადი ან სხვა მნიშვნელოვანი აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღწერა და ასეთი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მიღებული ზომები?		



ხარისხის მონიტორინგის
განმახორციელებელი პირის
ანგარიში

განკუთვნილია შემდეგი პირ(ებ)ისთვის: (ფირმის ხმს-ზე პასუხისმგებელი პარტნიორ(ებ)ი)
მიმოხილვის ჩატარების თარიღები: (დაწყების თარიღი - დასრულების თარიღი)
პერიოდი, რომლის მიმართაც ჩატარდა მიმოხილვა: (დაწყების თარიღი - დასრულების თარიღი)
ინდივიდუალური პრაქტიკოსის/პარტნიორ(ებ)ის სახელ(ებ)ი, რომელთა ფაილებიც მიმოვიხილე:

მე დამევალა ფირმის მონიტორინგის/ინსპექტირების ჩატარება, მათ შორის ხმს-ისა და დასრულებული გარიგების მიმოხილვა.

საერთო დაკვირვებები და დასკვნები

1. როგორც ჩანს ფირმაში ხმს-ის მართვა *[ეკისრება / არ ეკისრება]* ისეთ პარტნიორს ან სხვა პირს, რომელსაც აქვს საკმარისი და შესაფერისი გამოცდილება და უფლებამოსილება.
(თუ დასკვნა უარყოფითია, ახსენით, რატომ.)

2. ფირმა *[ახდენს/არ ახდენს]* ხმს-ის დოკუმენტირებას, მათ შორის გამოვლენილი ხარისხის რისკების საპასუხო ზომებისას (პოლიტიკას/პროცედურებს და რემედიაციის ყველა ღონისძიებას).

(თუ ხმს-ის დოკუმენტაცია არასრულია, მიუთითეთ ის ახსნა-განმარტება, რომელიც ხმს-ზე პასუხისმგებელმა პარტნიორ(ებ)მა წარმოადგინეს.)

3. ჩემი აზრით, ხმს-ის დოკუმენტაცია სრულად [შეესაბამება / არ შეესაბამება] ხმსს 1-ის ყველა შესაბამის მოთხოვნას [ან იურიდიულის სხვა შესაბამის მოთხოვნებს].

4. მე [აღმოვაჩინე/ვერ აღმოვაჩინე] შემდეგი გამოტოვებული ან შეუსაბამო პროცესები/პოლიტიკები/პროცედურები, ან/და დოკუმენტაცია თქვენს ხმს-ში, შემდეგ კომპონენტებში:

	ხმს-ის კომპონენტი	კომენტარი (არა, ან შესაბამისი დეტალები)
1.	ფირმის რისკის შეფასების პროცესი	
2.	მმართველობა და ხელმძღვანელობა;	
3.	სათანადო ეთიკური მოთხოვნები	
4.	დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებებზე დათანხმება ან მათი გაგრძელება	
5.	გარიგების შესრულება	
6.	რესურსები: ადამიანური ინტელექტუალური ტექნოლოგიური	
7.	ინფორმაცია და კომუნიკაცია	
8.	მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი	

5. მე [აღმოვაჩინე/ვერ აღმოვაჩინე] მტკიცებულება იმისა, რომ ფირმაში ხმს-ზე პასუხისმგებელმა პარტნიორ(ებ)მა, სულ მცირე ყოველწლიურად მიაწოდეს ინფორმაცია შესაბამის პარტნიორებს და სხვა პირებს გასული წლის განმავლობაში ჩატარებული მონიტორინგის პროცედურების შესახებ, ამ პროცედურებიდან გამოტანილი დასკვნების შესახებ, ასევე სისტემური, განმეორებადი ან სხვა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების და ასეთი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად მიღებული ზომების შესახებ.

6. მე მიმოვიხილე თითოეული პარტნიორის მინიმუმ ერთი გარიგება.

მიმოხილული გარიგებებისთვის, მე გადავამოწმე, რომ მე არ ვიყავი არც ამ გარიგების გუნდის წევრი, და არც გარიგების ხარისხის მიმოხილველი.

მიუთითეთ თითოეული შერჩეული გარიგების დეტალები (მათ შორის პარტნიორის სახელი, გარიგების ტიპი, დამკვეთის სახელი და დასკვნითი თარიღი (შესაბამისი ფინანსური წლის დასასრული))

7. მე [აღმოვაჩინე/ვერ აღმოვაჩინე] ნაკლოვანებები ფაილებში ასახულ გარიგებებში, რომლებიც ჩანს, რომ არის სისტემური, განმეორებადი ან სხვაგვარად მნიშვნელოვანი და მოითხოვს სასწრაფო მაკორექტირებელ მოქმედებას.

მიუთითეთ დეტალები თითოეული ასეთი აღმოჩენილი ნაკლოვანების შესახებ.

8. მე [აღმოვაჩინე/ვერ აღმოვაჩინე] მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს, რომ ფირმის მიერ გაცემული ანგარიში შეიძლება არაადეკვატური იყოს.

მიუთითეთ მტკიცებულებების დეტალები, რომლებიც მიუთითებს, რომ გაცემული ანგარიში შეიძლება არ ყოფილიყო ადეკვატური.

9. მე [აღმოვაჩინე/ვერ აღმოვაჩინე] მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს, რომ ფირმის მიერ გაცემული ანგარიში შეიძლება არაადეკვატური იყოს.

მიუთითეთ მტკიცებულებების დეტალები, რომლებიც მიუთითებს, რომ გაცემული ანგარიში შეიძლება არ ყოფილიყო ადეკვატური.

10. მე ანგარიშში ავსახე ყველა გამოვლენილი ნაკლოვანება, მათი გამომწვევი მიზეზ(ებ)ის ჩათვლით, ხმს-ზე პასუხისმგებელი პარტნიორ(ებ)ის მიმართ წარდგენილი ჩემი მიმოხილვის დროს.

11. განხილული ფაილებისთვის, მე შევავსე შესაბამისი ფაილების ინსპექტირების საკონტროლო სიები. [თან ერთვის ამ ანგარიშს, დანართების სახით].

ხარისხის მონიტორინგის
განმახივციელებელი
პირ(ებ)ის სახელი(ებ)ი:

ხარისხის მონიტორინგის განმახივციელებელი
პირის ანგარიშის თარიღი:

დანართი ზ:
განმარტებები

ცხრილში, კომენტარებთან ერთად, მოცემულია ხმს 1-ში წარმოდგენილი განმარტებები.
მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვის, განხილვებისა და დოკუმენტების მომზადების ეტაპზე გამოიყენოთ სტანდარტის ტერმინოლოგია.

ამონარიდი - ხმს 1, პუნქტი 16	კომენტარები
ხმს 1-ის მიზნებისთვის, მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:	
(ი) ფირმა – ინდივიდუალური პრაქტიკოსი, პროფესიონალ ბუღალტერთა ამხანაგობა ან კორპორაცია ან პროფესიონალ ბუღალტერთა სხვა ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის სუბიექტი, ანდა სახელმწიფო სექტორის ანალოგიური სტრუქტურული ერთეული. (იხ. პუნქტი გ18)	გაითვალისწინეთ ტერმინ "ფირმის" ინკლუზიური ხასიათი. თუ თქვენ ხართ ინდივიდუალური პრაქტიკოსი თანამშრომლების გარეშე, სტანდარტის წაკითხვისას გაიაზრეთ, რომ ის თქვენც გეხებათ, თუმცა უმთავრესია გამოავლინოთ და გაითვალისწინოთ მისი გრადაციის შესაძლებლობები.
(კ) საფონდო ბირჟაზე კოტირებული სუბიექტი – სუბიექტი, რომლის აქციები ან სავალო ფასიანი ქაღალდები კოტირებული ან დაშვებულია საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში ოფიციალურ საფონდო ბირჟაზე, ან იყიდება ოფიციალური საფონდო ბირჟის ან სხვა ანალოგიური ორგანოს მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად.	საკითხი ამ სერიაში არ არის განხილული. სტანდარტების კითხვისას, შეგიძლიათ უგულვებელყოთ საფონდო ბირჟაზე კოტირებულ საწარმოებთან დაკავშირებული ნებისმიერი დისკუსია, თუ თქვენს პოლიტიკაში განსაზღვრავთ, რომ ასეთ დამკვეთებს არ იღებთ.
(ლ) ქსელის ფირმა – ფირმა ან სუბიექტი, რომელიც ეკუთვნის ფირმის ქსელს.	საკითხი ამ სერიაში არ არის განხილული.
(მ) ქსელი – მხვილი სტრუქტურა, რომელიც: (იხ. პუნქტი გ19) (i) შექმნილია თანამშრომლობისთვის; და (ii) აშკარად მიზნად ისახავს მოგების ან დანახარჯების განაწილებას, ან გააჩნია საერთო საკუთრება, საერთო კონტროლის ან მართვის სისტემა, საერთო ხარისხის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, საერთო ბიზნესსტრატეგია, იყენებს საერთო საფირმო ნიშანს ან საერთო პროფესიული რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს.	საკითხი ამ სერიაში არ არის განხილული. სტანდარტების კითხვისას, შეგიძლიათ უგულვებელყოთ ქსელთან და ქსელის ფირმებთან დაკავშირებული ნებისმიერი დისკუსია, თუ თქვენ არ ხართ ქსელის წევრი და ამ საკითხს მიუთითებთ ფირმის ხასიათის მიმოხილვისას/დოკუმენტირებისას.
(პ) პროფესიული განსჯა – შესაბამისი პრაქტიკული მომზადების, ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება პროფესიული სტანდარტებით განსაზღვრულ კონტექსტში, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ფირმის ხარისხის მართვის სისტემის შექმნის, დანერგვისა და ფუნქციონირებისთვის შესაფერისი სამოქმედო კურსის შესახებ.	პროფესიული განსჯა გამოყენებულ უნდა იქნეს ხმს-ის განხორციელების პროცესის ყველა ეტაპზე. ასეთი განსჯა დოკუმენტურად უნდა ასახოთ დოკუმენტაციის ზოგად პრინციპებში.
(ჟ) პროფესიული სტანდარტები – აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს სტანდარტები, როგორც განმარტებულია აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „ <i>ხარისხის მართვის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარის წინასიტყვაობაში</i> “ და ასევე სათანადო ეთიკური მოთხოვნები.	სტანდარტების წაკითხვისას, გაითვალისწინეთ, რომ იგი მოიცავს შესაბამის გარიგებებთან დაკავშირებულ სტანდარტებს და სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს.

ამონარიდი - ხმს 1, პუნქტი 16	კომენტარები
(რ) ხარისხის მიზნები – ხარისხის მართვის სისტემის კომპონენტებთან დაკავშირებული, დასახული სასურველი შედეგები, რომლის მიღწევაც უნდა უზრუნველყოს ფირმამ.	გაითვალისწინეთ ტერმინი „ფირმის“ ინკლუზიური ხასიათი. თუ თქვენ ხართ ინდ. პრაქტიკოსი თანამშრომლების გარეშე, სტანდარტის გაცნობისას გაითვალისწინეთ, რომ ის თქვენზეც ვრცელდება, თუმცა გრადაციის განსხვავებული შესაძლებლობებით.
(ს) ხარისხის რისკი – რისკი, რომელიც გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ: (i) წარმოიქმნას; და (ii) ინდივიდუალურად ან ხარისხის სხვა რისკებთან ერთად უარყოფითად იმოქმედოს ერთი ან რამდენიმე ხარისხის მიზნის მიღწევაზე.	გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გამოავლენთ ბევრ რისკს, მაგრამ ხარისხის რისკი არის ის, რომელსაც აქვს წარმოშობის გონივრული „ალბათობა“ და ექნება ხარისხის ერთ ან მეტ მიზნის მიღწევაზე უარყოფითი ზემოქმედების გონივრული „ალბათობა“.
(ქ) მომსახურების პროვაიდერი (ხმს 1-ის კონტექსტში) – ფირმის გარე ფიზიკური პირი ან ორგანიზაცია, რომელიც ფირმას აწვდის ხარისხის მართვის სისტემაში ან გარიგებების შესრულებისას გამოსაყენებელ რესურსებს. ტერმინი „მომსახურების პროვაიდერი“ არ მოიცავს ფირმის ქსელს, ქსელის სხვა ფირმებს და არც ქსელის ფარგლებში არსებულ სხვა სტრუქტურებსა და ორგანიზაციებს; (იხ. პუნქტები გ28, გ105)	მცირე ფირმებში ზოგჯერ იყენებენ ისეთ მომსახურების პროვაიდერებს, როგორებიცაა საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული (სტ) მომსახურების პროვაიდერები, ტექნიკური მხარდაჭერის გუნდი, დროებითი კონტრაქტორები, რომლებიც ჩართულნი არიან გარიგებების შესრულებაში ფირმასთან დაუკავშირებელი სუბიექტის მხრიდან და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ შეამჩნიოთ სტანდარტში მომსახურების პროვაიდერებთან დაკავშირებული მითითებები და გაიაზროთ, რომ თქვენი ხმს-ის კომპონენტები მათ ეხებათ. თქვენი ფირმის სტრუქტურის შეჯამებისა და დოკუმენტირებისას აუცილებლად აღწერეთ მომსახურების პროვაიდერები, მოიპოვეთ და განიხილეთ შესაბამისი ხელშეკრულებები, რათა განსაზღვროთ, როგორ არის თავსებადი ეს შეთანხმებები ხარისხის მიზნებთან, ხარისხის რისკებთან და საპასუხო ზომებთან, ასევე, როგორი ურთიერთობა შეიძლება დაგჭირდეთ მომსახურების პროვაიდერებთან.
(ღ) თანამშრომლები – ფირმის მიერ დაქირავებული პროფესიონალები, პარტნიორების გარდა, მათ შორის ექსპერტები	მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ მცირე ფირმამ ექსპერტი დაიქირაოს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტანდარტების კონტექსტში ფირმის ექსპერტები "თანამშრომლებად" მიიჩნევიან.
(ყ) ხარისხის მართვის სისტემა – სისტემა, რომელიც ფირმამ შექმნა, დანერგა და ამუშავებს იმისთვის, რომ მიიღოს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ: (i) ფირმა და მისი პერსონალი თავიანთ პასუხისმგებლობებს ასრულებენ პროფესიული სტანდარტებისა და შესაფერისი საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად და გარიგებებსაც ასრულებენ ამგვარი სტანდარტებისა და მოთხოვნების დაცვით; და (ii) ფირმის ან გარიგების პარტნიორების მიერ გაცემული დასკვნები (ანგარიშები) კონკრეტული გარემოებების შესაფერისია.	ჩვეულებრივ მოიხსენიება, როგორც ხმს.

ცხრილში, კომენტარებთან ერთად, მოცემულია ხმს 1-ში მონიტორინგისა და რეგულირების პროცესთან დაკავშირებით წარმოდგენილი განმარტებები.


ამონარიდი ხმს 1-ის მე-16 პუნქტიდან	კომენტარები
ა) ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ნაკლოვანება (ხმს 1-ში გამოიყენება ტერმინი „ნაკლოვანება“) – აღნიშნული ნაკლოვანება მაშინ არსებობს, როდესაც (იხ. პუნქტები გ10, გ159-გ160): (i) დადგენილი არ არის ხარისხის მიზანი, რომლის მიღწევაც ხმს-ით მოითხოვება; (ii) სათანადოდ არ არის გამოვლენილი ან შეფასებული ხარისხის გარკვეული რისკი ან რისკები (იხ. პუნქტი გ11); (iii) გარკვეული საპასუხო ზომა ან ზომები მისაღებ დონემდე არ ამცირებს დაკავშირებული ხარისხის რისკის რეალიზების ალბათობას, ვინაიდან ეს საპასუხო ზომა (ზომები) არ არის სათანადოდ განსაზღვრული, გატარებული ან სათანადოდ არ ფუნქციონირებს; ან (iv) ხარისხის მართვის სისტემის რომელიმე სხვა ასპექტი არ არსებობს, ან არ არის სათანადოდ განსაზღვრული, დანერგილი, ან სათანადოდ არ ფუნქციონირებს. (იხ. პუნქტი გ12)	ზოგჯერ, ტერმინებს „აღმოჩენილი ფაქტი“ და „ნაკლოვანება“ თანმიმდევრულად არ იყენებენ. მნიშვნელოვანია სტანდარტის ენის გამოყენება დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად. როგორც ხმს 1-ის, გ10 პუნქტშია განმარტებული, ფირმა ნაკლოვანებებს აღმოჩენილი ფაქტების შეფასების საფუძველზე ავლენს. ნაკლოვანებას შეიძლება წარმოშობდეს აღმოჩენილი ფაქტი, ან მათი კომბინაცია. აღმოჩენილი ფაქტი ან მათი კომბინაცია არის თუ არა ნაკლოვანება უნდა დადგინდეს პროფესიული განსჯის საფუძველზე რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფაქტორების გამოყენებით. აღმოჩენილი ფაქტ(ებ)ის შეფასება, ასევე გამოვლენილი ნაკლოვანების სერიოზულობისა და ყოვლისმომცველობის შეფასება, მათ შორის გამომწვევი მიზეზის ანალიზი, კომპლექსური საკითხია, შესაბამისად მნიშვნელოვანია ამ პროცესისა და გამოტანილი დასკვნების დოკუმენტირება.
ბ) გარიგების დოკუმენტაცია - შესრულებული სამუშაოს, მიღებული შედეგებისა და პრაქტიკოსის მიერ გამოტანილი დასკვნების ამსახველი ჩანაწერი (ზოგჯერ გამოიყენება ტერმინი „სამუშაო დოკუმენტები“).	ამ სერიაში გამოყენებულია ტერმინი „სამუშაო დოკუმენტები“
გ) გარიგების პარტნიორი - პარტნიორი ან ფირმის მიერ დანიშნული სხვა თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია კონკრეტულ გარიგებასა და მის შესრულებაზე, ასევე დასკვნაზე (ანგარიშზე), რომელიც გაიცემა ფირმის სახელით და, რომელსაც, აუცილებლობის შემთხვევაში, სათანადო უფლებამოსილება მინიჭებული აქვს პროფესიული, საკანონმდებლო ან მარეგულირებელი ორგანოსგან. (ტერმინებში „გარიგების პარტნიორი“ და „პარტნიორი“ იგულისხმება სახელმწიფო სექტორის ეკვივალენტური ტერმინი, როდესაც ეს შესაფერისია).	გარიგების პარტნიორის განსაზღვრის საკითხი არ დგას ინდივიდუალური პრაქტიკოსის შემთხვევაში, რადგან ისინი ერთი და იგივე პიროვნებაა, თუმცა 2-5 პარტნიორიანი ფირმისთვის, გარიგების პარტნიორის, ასევე მისი პასუხისმგებლობის მკაფიოდ და ზუსტად განსაზღვრა მნიშვნელოვანია.

ამონარიდი ხმსს 1-ის მე-16 პუნქტიდან	კომენტარები
ვ) გარიგების გუნდი - კონკრეტული გარიგების შემსრულებელი ყველა პარტნიორი და თანამშრომელი, ასევე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც პროცედურებს ატარებს მოცემულ გარიგებასთან დაკავშირებით. (იხ. პუნქტი გ13)	არ არის განხილული ამ სერიაში. სტანდარტების წაკითხვისას, შეგიძლიათ უგულებელყოთ ქსელთან და ქსელის ფირმებთან დაკავშირებული ნებისმიერი განხილვა იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ ხართ ქსელის წევრი. ეს საკითხი უნდა დააფიქსიროთ ფირმის ხასიათის განიხილვისას/დოკუმენტირებისას.
ზ) გარე ინსპექტირება – ფირმის ხარისხის მართვის სისტემასთან ან ფირმის მიერ შესრულებულ გარიგებებთან დაკავშირებით გარე ზედამხედველობის სამსახურის მიერ ჩატარებული ინსპექტირება ან გამოკვლევა. (იხ. პუნქტი გ14)	მიუთითეთ „ნებისმიერი სხვა პირის“ ჩართულობაზე, რომელიც პროცედურებს ასრულებს.
თ) აღმოჩენილი ფაქტები (ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებით) – ინფორმაცია ხარისხის მართვის სისტემის დიზაინის, დანერგვისა და ფუნქციონირების შესახებ, რომელიც მიღებულია მონიტორინგის ღონისძიებებისა და გარე ინსპექტირების ჩატარების შედეგად და სხვა რელევანტური წყაროებიდან და მიანიშნებს ერთი ან რამდენიმე ნაკლოვანების არსებობაზე. (იხ. გ15-გ17 პუნქტები)	გაითვალისწინეთ, რომ ფაქტები შეიძლება აღმოაჩინოთ არა მხოლოდ უშუალოდ მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელებისას, არამედ შეიძლება გარე ინსპექტირების ან სხვა შესაბამისი წყაროებიდანაც.

დანართი თ: რესურსები


1

იხილეთ IAASB-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი სტანდარტები: <https://www.iaasb.org/focus-areas/quality-management> ვებ-გვერდზე მოცემულია სამი სტანდარტი, ასევე პირველად დანერგვის სახელმძღვანელოები და სხვა რესურსები.




2

ეწვიეთ IFAC-ის ვებ-გვერდს: <https://www.ifac.org/knowledge-gateway/discussion/quality-management>. ვებ-გვერდზე ნახავთ სხვადასხვა რესურსს, რომელიც დანერგვის პროცესში დაგეხმარებათ.



3

იხილეთ განახლებული ეთიკის კოდექსი ბულალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) ვებ-გვერდზე: <https://www.ethicsboard.org/>



[2024 Handbook of the International Code of Ethics for Professional Accountants](#)

დანართი ი: დოკუმენტირება - კიდევ ერთხელ

ამ დანართში ხელახლაა განხილული ხმს 1-ში მოცემული მოთხოვნები დოკუმენტირებასთან დაკავშირებით, ასევე ამ სერიის სამივე ნაწილში წარმოდგენილი დოკუმენტირების დამხმარე საშუალებები, რათა ხაზი გაესვას დოკუმენტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მნიშვნელოვნებას.

როგორც ამ სერიის პირველ ნაწილში იყო განხილული, ხმს-ის დანერგვის გზაზე ერთ-ერთი მთავარი ელემენტია იმის გაცნობიერება, თუ რა მდგომარეობაშია ახლა თქვენი ფირმა და როგორ შეგიძლიათ ისარგებლოთ იმით, რაც უკვე არსებობს ხარისხის მართვის მიმართულებით. ეს მოითხოვს თვითანალიზს/რეფლექსიას და იმის გაცნობიერებას, რომ შეიძლება საჭირო გახდეს შეხედულებების ცვლილება. წარსულში, თქვენი ხარისხის კონტროლის სტანდარტებზე ფოკუსირებით შესაძლოა თქვენს ფირმას უკვე შემუშავებული და დოკუმენტირებული ჰქონდეს პოლიტიკა და პროცედურები (შედეგები) ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს სახით.

აქედან გამომდინარე, მხოლოდ შედეგები ან პოლიტიკა და პროცედურები არ საჭიროებს დოკუმენტირებას. ხმს 1-ის თანახმად ფირმის ხმს ისე უნდა იყოს დოკუმენტირებული, რომ საკმარისად აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ის უნდა ეხმარებოდეს პერსონალს მთლიანად ხმს-ის თანმიმდევრულად გააზრებაში, მათი როლებისა და პასუხისმგებლობების ჩათვლით, რომელიც უკავშირდება როგორც ხმს-ს, ისე გარიგებების შესრულებას;
- ის უნდა უზრუნველყოფდეს საპასუხო ზომების თანმიმდევრულად დანერგვას და ფუნქციონირებას;
- ის უნდა უზრუნველყოფდეს მტკიცებულებებს ხმს-ის დიზაინის, დანერგვისა და ფუნქციონირების შესახებ, რაც დაეხმარება ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობის მქონე პირ(ებ)ს ხმს-ის შეფასებაში.

რისკის შეფასების პროცესი

ხარისხის რისკების დოკუმენტაცია შეიძლება მოიცავდეს ხარისხის რისკების შეფასების შედეგების მიზნებს, ე.ი. წარმოქმნის ალბათობას და მის გავლენას ხარისხის მიზნების მიღწევაზე. ამ სერიის პირველ ნაწილში რეკომენდირებული იყო იმ პროცესისა და ანალიზის დოკუმენტირება, რომელიც განხორციელდა ხარისხის მიზნების დასადგენად, ხარისხის რისკების გამოვლენის და შეფასების, ასევე ამ რისკებზე რეაგირების მიზნით. ეს ხელმისაწვდომს გახდის ფირმის მიერ ხმს-ის შემუშავებისას მიღებული გადაწყვეტილებების ისტორიას. აღნიშნული დოკუმენტაცია შეიძლება მოიცავდეს შეხვედრების დღის წესრიგს, ოქმებს, სამუშაო წიგნებს და ა.შ.

გარიგების დოკუმენტაცია

ხმს-ში გარიგების შესრულების კომპონენტი მოიცავს გარიგების დოკუმენტაციას. ფირმამ გარიგების დოკუმენტაცია უნდა შეადგინოს დროულად გარიგების დასკვნის თარიღის შემდეგ და სათანადოდ შეინახოს იგი, იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს ფირმის საჭიროებები, ასევე კანონი, რეგულაციები, სათანადო ეთიკური მოთხოვნები ან პროფესიული სტანდარტები.

გარიგების დოკუმენტირების მოთხოვნები ასახულია კონკრეტული გარიგების შესაბამის სტანდარტში. ეს ამ სერიაში არაა დეტალურად განხილული. თუმცა, გარიგების შესრულებისთვის საჭირო ბევრი პოლიტიკა და პროცედურა ხშირად შეიძლება ასახული იყოს ფირმის მიერ გამოწერილი

ესენია დოკუმენტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნების ძირითადი პრინციპები. ხმს-ის პროცესის ყველა ნაწილში გამოყენებულ უნდა იქნეს პროფესიული განსჯა. ასეთი განსჯის/გადაწყვეტილებების დოკუმენტირება დოკუმენტირების ზოგად პრინციპებში მოიაზრება.

აუდიტისა და მიმოხილვის სახელმძღვანელოებში (ან ანალოგიურ სახელმძღვანელოში) ან ფირმის მიერ გამოყენებულ ტექნოლოგიურ და ინტელექტუალურ რესურსებში. ამ შემთხვევებში, პოლიტიკა და პროცედურა უნდა უზრუნველყოფდეს, რომ გამოწერილი და დაკავშირებული სახელმძღვანელოების დოკუმენტაცია (მათ შორის სტანდარტიზებული შაბლონები) განახლებულია ხარისხის მართვის სტანდარტების შესაბამისად. მე-2 ნაწილში მოცემულია დოკუმენტირების რამდენიმე ისეთი დამხმარე საშუალება, რომლებიც შეიძლება გარიგების შესრულების კომპონენტისთვის იქნეს გამოყენებული.

ქვემოთ შეჯამებულია ხმსს 1-ის დოკუმენტირების მოთხოვნები:

ხმსს 1-ის მოთხოვნები დოკუმენტირებასთან დაკავშირებით (ხმსს 1, 57-60 პუნქტები)		კომენტარი ან/და მითითება ამ სერიის ნაწილებზე
დოკუმენტირების მოთხოვნები უნდა მოიცავდეს შემდეგს:		
(ა) იმ პირ(ებ)ის განსაზღვრა, ვისაც ხმს-ზე საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება და ხმს-ზე ოპერატიული პასუხისმგებლობა ეკისრება(თ).	იხილეთ ამ სერიის მე-2 ნაწილის „გ“ დანართი, შემთხვევის ანალიზი, რომელიც მოიცავს მაგალითს, რაც დაგეხმარებათ ხმს-ზე პასუხისმგებლობების დოკუმენტირებაში ინდივიდუალური პრაქტიკოსის შემთხვევაში.	
(ბ) ფირმის ხარისხის მიზნები და ხარისხის რისკები	იხილეთ ამ სერიის 1-ელი ნაწილის „დ“ დანართი, ხარისხის მიზნების შესახებ, ასევე იმ კითხვების განხილვის შესახებ, რომლებიც დისკუსიისა და დოკუმენტირების პროცესში დაგეხმარებათ.	
მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგს:		
(i) მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელების მტკიცებულება (ii) აღმოჩენილი ფაქტების შეფასება, გამოვლენილი ნაკლოვანებები და მათი შესაბამისი გამომწვევი მიზეზ(ებ)ი (iii) რემედიაციის ღონისძიებების გამოვლენილი ნაკლოვანებების მიმართ და ასეთი ღონისძიებების დიზაინისა და განხორციელების პროცესის შეფასება (iv) მონიტორინგისა და რემედიაციის შესახებ კომუნიკაცია (v) დასკვნა ხმს-ის შეფასებაზე	მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის დოკუმენტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ამ ნაწილშია განხილული და წარმოდგენილია დოკუმენტირების ხუთი დამხმარე საშუალება: • „ბ“ დანართი შეიძლება გამოიყენოთ ხმს-ის ყოველწლიური მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესისა და ხმს-ის შეფასების დოკუმენტირებისას. • „გ“ დანართი შეიძლება გამოიყენოთ კონკრეტული გარიგებებისთვის ციკლური მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის დოკუმენტირებისას. • „დ“ დანართი შეიძლება გამოიყენოთ დასრულებული აუდიტის გარიგებების ინსპექტირების დოკუმენტირებისას, როგორც მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის ნაწილი. • „ე“ დანართი შეიძლება გამოიყენოთ დასრულებული კომპილაციური გარიგებების ინსპექტირების დოკუმენტირებისას, როგორც მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის ნაწილი. • „ვ“ დანართი შეიძლება გამოიყენოთ მონიტორინგის განმახორციელებელი პირის ანგარიშის მომზადებისას.	
ხმს-ის დოკუმენტაციამ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:		
ფირმამ უნდა განსაზღვროს ხმს-ის დოკუმენტაციის შენახვის პერიოდი, რომელიც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ფირმამ შეძლოს ფირმის ხმს-ის დიზაინის, დანერგვისა და ფუნქციონირების გაკონტროლება, ან უფრო ხანგრძლივი პერიოდი, თუ ამას კანონი ან რეგულაცია მოითხოვს.	ხმს-ის დოკუმენტაციის შენახვა უნდა ხდებოდეს პერიოდულად. ვინაიდან ხმს-ის შეფასება ყოველწლიურად ხდება, პრაქტიკული იქნება დოკუმენტაციის ყოველწლიური ვარიანტის შენახვა, რომელიც შეფასების თარიღს ემთხვევა. ვინაიდან ხმს-ს ბევრი კომპონენტი აქვს, რეკომენდებულია ელექტრონული ვერსიის დაარქივება და მისი უსაფრთხოდ შენახვა შეფასების დოკუმენტაციასთან ერთად.	

ქვემოთ მოცემულია ამ სერიის მე-2 ნაწილში წარმოდგენილი ნიმუშებისა და დოკუმენტირების დამხმარე საშუალებების შეჯამება, რაც შეგიძლიათ ამ ნაწილში მოცემულ დამხმარე საშუალებებთან ერთად გამოიყენოთ:

- მე-2 ნაწილში მოცემული ნიმუშების შეჯამება:
- ნიმუში 1 რისკების შეფასების სამუშაო წიგნის ნიმუში
 - ნიმუში 2 ხარვეზების ანალიზის შესაძლო ფორმატი
 - ნიმუში 3 შემთხვევის ანალიზი: სათანადო ეთიკური მოთხოვნები
 - ნიმუში 4 შემთხვევის ანალიზი: დათანხმება და გაგრძელება
 - ნიმუში 5 ხარვეზების ანალიზის საილუსტრაციო მაგალითი

- მე-2 ნაწილის დოკუმენტირების დამხმარე საშუალებების შეჯამება:
- დამოუკიდებლობის დასტური (მე-2 ნაწილის „დ“ დანართი)
 - დამკვეთებთან ურთიერთობასა და გარიგებებზე დათანხმება და მათი გაგრძელება (მე-2 ნაწილის „ვ“ დანართი)
 - რესურსები და გარე კონსულტაციები (მე-2 ნაწილის „ზ“ დანართი)
 - გარიგების ხარისხის მიმოხილვა (მე-2 ნაწილის „თ“ დანართი)

პროექტები, კონსულტაციები და IFAC-ის სხვა პუბლიკაციები ქვეყნდება IFAC-ის მიერ და მათზე საავტორო უფლება აქვს IFAC-ს.

IFAC არ იღებს პასუხისმგებლობას იმ პირზე, რომელიც მოქმედებს ან არ მოქმედებს ამ პუბლიკაციაში მოცემული მასალის შესაბამისად, თუ მისი ზარალი გამოწვეულია დაუდევრობით ან სხვაგვარად.

IFAC-ის ლოგო, "International Federation of Accountants" და "IFAC" წარმოადგენს IFAC-ის სავაჭრო ნიშნებს და სახელწოდებას, რომლებიც დარეგისტრირებულია აშშ-ში და სხვა ქვეყნებში.

სავტორო უფლება © 2024 ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (IFAC). ყველა უფლება დაცულია. წინამდებარე პუბლიკაციის გამრავლების, შენახვის, ან გადაცემის, ან სხვა ანალოგიური მიზნით გამოყენებისთვის საჭიროა IFAC-ის წერილობითი ნებართვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დოკუმენტი გამოიყენება ინდივიდუალურად, არაკომერციული მიზნით. ნებართვის მისაღებად დაგვიკავშირდით: permissions@ifac.org.